



შენათული მწერლობა



1926-1930



1990



2008-

4
2009

ქართული იმპერიზმი

სალიტერატურო ჟურნალი

დარსებულია
1926 წელს

აღდგენილია
1990 წელს

განახლებულია
2008 წელს

4

ივლისი

2009

აგვისტო

რედაქტორი

ლევან ბრეგაძე

სარედაქციო ჯგუფი

მაია კუდავა
ნინო მინიშვილი
პაატა ნაცვლიშვილი
მეგი ობოლაშვილი
ნინო ყულოშვილი
გვანცა ჯობავა

კონცეფცია და დიზაინი:
© პაატა ნაცვლიშვილი, 2008.

ISSN 1512 - 4444

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2008.

აოიზია

ვანო ჩხიკვაძე. ლექსები 5

მხატვრული პროზა

ვლადიმერ ჯოლოგუა. გიჟ-ასათურა 10

ესეისტიკა / დოკუმენტური პროზა

რეზო აღამია. ტრაპიზონული დღიურიდან 20

ახალი თარგმანები

**იოჰან ვოლფგანგ გოეთე. სცენები „ფაუსტიდან“
(თარგმანი დავით წერედიანისა) 27**

მწერლის ლაზორატორია

ზაზა აბზიანიძე. ლეონიძისეული საგანძური 44

„ადრე წასული კაცის ფიქრები“

ემზარ კვიციანიშვილი. ცაში დამწვარი ფრთები 51

შტრიხები პორტრატისთვის

68 როსტომ თიგვიშვილი. ლომი

საყვანვილო ლიტერატურა

72 გიზო ზარნაძე. წიგნიდან: „მისმინე, ტატო!“

წიგნები

78 „არტანუჯი“ გთავაზობთ

79 „ინტელექტი“ გთავაზობთ

პოეზია

ვანო ჩხიკვაძე

დაბრუნება



უცხო სოფელში, მდინარის გაღმა,
გარინდული რომ გავყურებ ახლა —

ვაშლის ხეებში სასხლავის ტკაცუნს
ეხმინება ბულბული სტვენით,
კრამიტს ასწორებს ჭარმაგი კაცი
და ჩაჰხვიხვინებს თოფრაკში ცხენი.

ჭაღების ზემოთ, მდინარის გაღმა,
მონუსხული რომ გავყურებ ახლა —

მთებზე იღვრება სინათლის თასი,
ზარების რეკვას მადლი ღვთიური
მოაქვს და ძველი ნაღველი მავსებს —
მონატრებული და მშობლიური.

ნეტავ ვის ვეძებ მდინარის გაღმა,
სევდიანი რომ გავყურებ ახლა —

სკოლისკენ გარბის ბილიკი ყველა,
ზარის წკრიალზე ჟიჟივებს სკოლა,
და ღობეებზე გაკრული ელვა —
აყვავებული ტყემალი ბოლავს...


ნეტავ რა ხდება მდინარის გაღმა,
მონუსხული რომ გავყურებ ახლა.

საახალწლო ვიტრინასთან


ცბიერი „სანტა“ თვალებს უპაჭუნებს
ცრემლიან გოგოს და სევდიან ბიჭუნას:

– მიყიდე!

– მიყიდე!



საქართველო
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვიტრინის ნაჭუჭი

მიფრინავს, ფიფქების ბრჭყვიალში მიცურავს.

შეგმოსეს, ქვეყანავ, ნახმარი ძონძებით,
აგკიდეს მათხოვრის მშიერი გულდურა.

– მიყიდე! –

რამდენი ბავშვეური ოცნება,
ჩიტყვით ჩამკვდარა,
ბედი გაბუტულა...

მე ვილას შევტირო –

ვით ბიჭი გავროში,

ვკვდები ბარკადზე მუასედ.

არ მინდა ნალკოტი,

სადმე უდაბნოში,

სამშობლო მიყიდე, ძია სემ!

ღლის ქრონიკა

რეკლამა. რეკლამა.

ციმციმებს ეკრანი –

საშინელებათა სკივრი –

ვაითუ ამ დღემ ისე ჩაიაროს,

არავინ მოკლან და არავინ გაძარცვონ.

რეკლამა. რეკლამა.

ჟურნალის გარეკანი

იმედისმომცემი პოეტის პორტრეტით...

მერე, „პოეზიის ნიმუშს“

(კვირის სენსაცია)

ძალამოცემული იონჯას ყუათით,

გამოთქმით კითხულობს სახედარი –

თურმე ისეთი იოლი და სასაცილოა

ჩვენი ხელობა,

რომ სახედარიც რანდავს სტრიქონებს.

მეტი რა გვეთქმის – ჩვენი ვაშა და

„ლოცვა-კურთხევა“ პროექტის ავტორს...

კიდე რა მოხდა? –

ხელისუფლება ხსნის უფასო სასადილოებს,

რომ ამით მაინც დაახსოვოს
 ამ უთავბოლო ქვეყანას თავი.

რეკლამა. რეკლამა.

ისევ აყროლდა პანდორას ყუთი –
 იყიდება სასაფლაო –
 საქართველოს არქივი –
 მალე მკვდრებიც სართულებად „იცხოვრებენ“,
 მაშ, როგორ, ცოტა მიინ-მოინიონ,
 ცოცხლებს თუ უჭირთ,
 მკვდრები წითელი კოჭები მყვანან?..



კიდევ – ერაცში მიდიან ბიჭები,
 რუსული ფორმა ამერიკულმა შეცვალა –
 არ შეცვლილა მხოლოდ შინაარსი
 (რა გინდა სხვისი მკვდრის სატირალში,
 როცა შენი არ დაგიმარხავს?)...

რეკლამა. პაუზა.

ლაშებმორღვეული დედაკაცი
 ლაპარაკობს საქართველოში
 მამაკაცების გონებრივ იმპოტენციაზე,
 ხოლო ნამყვანს
 (მოსუქებულა ჩვენი გოგო),
 დიღებდაჭიმული გულისპირიდან
 ლამის ამოუხტენენ გაავებული ძუძუები.

მომდევნო სიუჟეტი –

რამდენიმე არასამთავრობო დეგენერატი –
 საქმეს ურჩევს ხელისუფლებას,
 ვითომ დავობენ, ვითომ წუხან
 (ჩვენს ქვეყანაში ხომ ყველაფერი ვითომ ხდება),
 ვითომ არცხვენენ ყოჩაღ მელას და ფხიზელ
 კატას,
 ბურატინოს ოქრობევით რომ ჩაიჯიბეს
 ჩვენი დანაზოგი...

კიდევ?..

მინდორში მიქლოშინებენ
 ქონმოძალებული რეზერვისტები,
 და მე ვფიქრობ რეზერვისტ მწერლებზე,



მონინავე „პოზიციიდან“
ღრმა ზურგში რომ გადაისროლეს...

რალაც კარგიც ხომ უნდა თქვან –
თურმე ცოტათი გაიფდა ბაზარზე კვერცხი,
როგორც ეტყობა, მინც იმძლავრა,
გრიპის შიშით განწყვეტილი
ქათმების მოდგმამ
(ნეტავ, გვაჩვენონ
ჩვენი საყვარლად ლაბაბა მინისტრიც,
ყველა მელას ცოდვას რომ გადააჭარბა)...

მერე კვლავ და კვლავ შეგვახსენეს,
როგორ ხარობენ საქართველოს ტელეარხები
ნიკოლ კიდმანის დაფეხმძიმებით.
სამაგიეროდ, აქამდე ვერავინ გაიგო,
ნახალწლევს
(უკვე მერამდენედ),
ჩემს სამშობლოს მუცელი რომ მოეშალა...

მერე, სპორტი... მერე, ძილისნინ,
კონტრაცეპტივის რეკლამა და...
მორჩა, დამთავრდა ეს ერთი დღეც
ჩამოაღნა კედლის კალენდარს...

და ჩემთვის ვფიქრობ:

– მას შემდეგ, რაც ავადმყოფი ერი გვინოდეს,
სულ ვამტკიცებთ, რომ ჯანმრთელები ვართ –
დღემდე ჯანმრთელი სიძულვილით გვძულს
ერთმანეთი...

ნეტავ სულ ასეთები ვიყავით? –
ჩვენს ერთადერთ, მთავარ მონმეებს,
ყველაფერი რომ დაეჯერებათ,
ჰკითხეთ საქართველოს სასაფლაოებს,
ვინ ვართ და რა ვართ!

ჰკითხეთ დაცხრილულ კედლებსა და
დახვრეტილ ძეგლებს,
ეკლესიების გაბზარულ „ნაუს“,
ჰკითხეთ სისხლიან ქვაფენილებს,

„ნამალს“, კაპრონის
 თოკის გამძლე და ცოდვიან ყულფებს.
 ჰკითხეთ გაოცებულ თვალებს,
 რომლებშიც მკვდარი თევზივით ჩაყინულა
 შეკითხვა – რატომ?
 ბოლოს და ბოლოს, იმ ცრემლს ჰკითხეთ,
 მარიამის ღვთიურ ნამწამზე
 ჩამოსავარდნად რომ კანკალებს...



მე?..
 მე ნურაფერს შემეკითხებით,
 მაინც ვერაფერს ვერ დამტყუებთ,
 მუნჯი ვარ,
 ქვა ვარ!



ავანთე შანდალი. ჭიქები ავავსე.
 ღვიძავს რადიოლას ნაცნობი ვალსით.
 – ვიცეკვოთ?
 – ვიცეკვოთ, ვიცეკვოთ, ლამაზო –
 ეს ხელი წელზე და, ეგ ხელი – მხარზე!

საყურე ტუჩებთან, ტუჩებთან – ბიბილო,
 თითები ითვლიან ხერხემლის მალეებს.
 თვალებში მწყურვალი მინდორი ბიბინებს,
 ჩახსნილი დეკოლტე მაჩქარებს – მალე!

– ვიცეკვოთ?
 – ვიცეკვოთ, ჩემო ქალბატონო,
 ეს ხელი წელზე და ეგ ხელი – მხარზე.
 ისეთი ახლო ხარ, ერთმანეთს გვატოლებს
 ჩვენი მაჭანკალი – ნაცნობი ვალსი.

ავანთე შანდალი.
 ჭიქები ავავსე...

მხატვრული პროზა

ვლადიმერ ჯოლოგუა

გიჟ-ასათურა



გიჟ-ასათურა ყველა ენას, ბერძნული იყო, ქართული, აფხაზური, სომხური თუ რუსული, ერთნაირად ფლობდა. მისი ლექსიკა და კილოც ადგილობრივი იყო — მეთევზეების, მეთუნეუქეების, ზაზარში ყველისა და ხორცის გამყიდველების, მძღოლებისა და დალაქების სასაუბრო ენა. ამ მხრივ გიჟ-ასათურა არცერთ მათგანს არ უწევდა შეღავათს. ის ყველა ენას მისებურად აუღერებდა და ამახინჯებდა. ამიტომაც იყო შეუძლებელი ასათურას წარმომავლობის დადგენა, თუმცა კი ამაზე თავი არავის ასტიკვებია, ასათურა ცოტ-ცოტა ყველას ეკუთვნოდა; ყოველ შემთხვევაში, თავისიანად მიაჩნდა იმ ხალხს, ვისაც ის მათივე ენაზე ებაასებოდა, თუნდაც დამახინჯებული.

მისთვის რომ გეკითხათ, რანაირად ახერხებდა სხვადასხვა ენების ასე ადვილად ათვისებას, კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემდათ. სინამდვილეში მან ეს არ იცოდა. არც იმაზე უჭყლეთია ტვინი ოდესმე, თუ რა ღვთისგან მომადლებული წყალობით სარგებლობდა გიჟ-ასათურა.

მისი პაპა, როგორც ზღვისპირელები ირწმუნებოდნენ, პირველი გილდის ვაჭარი ყოფილა ოდესლაც. ერთადერთი ვაჭარშვილისთვისაც გადაუცია დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება. გვერდში ამოუყენებია და დიდი საქმეებისათვის ამზადებდა თურმე. ქალაქის შუაგულში, ქვითქირის ორსართულიან სახლში ცხოვრობდნენ, ზღვის ქუჩაზე. მოგვიანებით, როცა დრო შეიცვალა, ის სახლი ჩამოურთმევიათ მათთვის, რამდენიმე დუქანიც, თამბაქოს ფარდული და ერთიც ტრაქტირი, როგორც ეძახდნენ იმ სასაუზმეს, პატარა სასტუმროთი, რომლის ერთ-ერთ კედელზე მუქ-ვარდისფრად იყო წარწერილი: „Гостиница Франция“.

იმ ახალ დროს მოსისხლე მტრად ეჩვენებოდა, ვინც წარსულში მორჭმულად ცხოვრობდა, იმათი შვილებიცა და შვილიშვილებიც... სამაგიეროდ ვაჭარშვილისთვის ნიკოლოზის ოქროს მონეტები დაუტოვებია, რასაც საიმედოდ ინახავდა ხვიმირში.

სასტუმროს კედელზე წარწერა კი ვერა და ვერ ამოშალეს დროის მღებავებმა, თუნდაც ქალაქის საბჭოს განკარგულებით, საკურორტო სეზონის დადგომისთანავე, ცარცით გაათეთრებდნენ იმ ადგილს. მაგრამ წვიმების შემდეგ, რაც იშვიათობას არ წარმოადგენს ზღვისპირეთში, ის წარწერა კვლავ ამოტყვრებოდა დაბარებულივით და ნერვებს უშლიდა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს... თუმცა ისეთივე ცინცხალი როდი იყო, როგორიც ახსოვდა გაგარის ხანდაზმულ მოსახლეობას.

ასათურას მშობლებს ერთი ოთახი დაუტოვეს მათივე სახლის



სართულზე. სხვებში გაფხეკილი პროლეტარები შეასახლეს, იმ ახალი ქვეყნის მოამაგენი.

პირველ ხანებში, სანამ ვაჭარს ხეიმირში საიმედოდ ჰქონდა გადაძალადული ნიკოლოზის ოქროს მონეტები, არაფერი უჭირდათ, რადგან ასათურას მამამ იცოდა, სად და ვისთან გაეცვალა ისინი ფულზე ან პროდუქტზე... როგორც კი ხეიმირში ოქრო გამოილია, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ცოლ-ქმარი. ასათურაც შეეძინათ იმ ხანებში და ოჯახში მოთხოვნილება ერთიორად გაიზარდა. ასათურას მამა „მამალკანფეტებს“ ჰყიდდა ქუჩაში და იმით ირჩენდნენ თავს.

ვაჭრის ახალგაზრდა მეუღლე, სხვა დროს თუ პატივისცემით იყო გამსჭვალული ქმრისადმი, გაკოტრებულსა და დამცირებულს, ბოლოს და ბოლოს, ზურგი შეაქცია თურმე, საყვარელიც გაუჩენია და ზღვისპირელთა მითქმა-მოთქმის საგნად გაუხდია თავი.

მოგვიანებით, ვაჭარსაც ჩაანვეთეს ყურში, ცოლი რომ ლალატობდა. იმას ფული აკლდა, თავმოყვარეობა კი არა... ეჭვიანობის ნიადაგზე მოუკლავს ის ქალი და გაუციმბირებიათ, საიდანაც ის არც დაბრუნებულა.

ასათურა მარტოკა დარჩა. ბიძამისმა ნაიყვანა და ერთხანს სოფელში იზრდებოდა. არაიშვიათად გამოიპარებოდა, ქალაქში ჩამოვიდოდა, თავის ოთახში ჩაიკეტებოდა და ტიროდა. იხსენებდა, საავადმყოფოში ნემსი რომ გაუკეთეს პატარას და დედას გული წაუვიდა. „ასე თუ ვუყვარდი დედას, მამაჩემს რატომ ლალატობდა?“. ფიქრობდა გულუბრყვილოდ. მერე სანაპიროსკენ გაუტევედა ზღვის ქუჩით. ეს გახლდათ ყველაზე მოკლე და ხმაურიანი ქუჩა გავრაში, სადაც განთავსებული იყო ღვინისა და პურის ქარხნები, არტელ „შრომის“ სამკერვალო, გასტრონომი, სასურსათო საწყობი, საქალაქო ვაზეთების რედაქცია, სტამბა... და რაც მთავარია, ბენის დუქანი, როგორც ეძახდნენ იმ სალუდეს, ნესტიან სარდაფს, რომელიც მინის ქვეშ იყო მოწყობილი.

აქ ყველა ქვა და ბუჩქი ნაცნობი იყო მისთვის. წყალს ზღვისპირიდან ეზიდებოდნენ, საერთო ონკანიდან. იქვე შორიახლო იდგა სახურავპოლიავებული საზოგადოებრივი ჩეჩმაძე, რომელსაც შესასვლელი კარი ჩამოგლეჯილი ჰქონდა, ფანჯრის მინა — ჩაღვნილი. ჭერზე სულ მუდამ გადაამწვარი ნათურა ეკიდა. ზღვაურის დროს ტალღები შიგ იჭრებოდა შხუილით. მაგარი გული უნდა გქონოდა, ჩეჩმაში შესვლა გაგებედა... იქ კოჭებამდე წყალი იდგა და, ესეც რომ არა, თითით თვალს ვერ მიატანდი. უმრავლესობა ჩეჩმაში ცხვირის შეყოფას თავს არიდებდა. იქვე კედელთან მოისაქმებდნენ, რათა ტალღის შემოტევის შემთხვევაში გაქცევის საშუალება ჰქონოდათ. და გარბოდნენ კიდევ, ზოგი შარვალჩახდილი, ზოგიც კაბის კალთებაკრეფილი... არა უშავს, ტალღა ნაბილულად გიღოს ავდიოდ არეცხავდა და ჩეჩმაძე ნესრიგში მოჰყავდა.

გიჟ-ასათურა ადრიდანვე შეუდგა შრომას. ჯერ იყო და ბაზარში დაარიხინებდა ტვირთით გაძეჭილ მაზიდას, შემდეგ პურის ქარხანაში ცლიდა ფქვილით სავსე ტომრებს. ბოლოს კი სამრეწველო



საქონლის სანყოფიში მოეწყო მტვირთავად. არც კერძო სამუშაოს არიდებდა თავს და, ერთი სიტყვით, ფულს გვარიანად შოულობდა გიჟ-ასათურა.

ომგამოვლილი ქვეყანა ფეხზე დგებოდა. ქალაქში მოაგარაკეთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა. მოთხოვნილებამაც იმატა სამრეწველო საქონელზე. ჩაცმა-დახურვას მონყურებული ხალხის რიგები ხმარობდა მაღაზიებთან. გიჟ-ასათურა საქმეს ძლივს აუდოდა. ამიტომაც გაიჩინა თანამოსაქმე — რომელიღაცა წარმოებიდან ლოთობისთვის გამოჰანდლურებული მიხია, რომელსაც წესრიგისაკენ მოუწოდებდა ყოველდღე. მხოლოდ სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ აძლევდა დალევის უფლებას, და თუკი რამე არ მოეწონებოდა მის ქცევაში, ბოთლს დაამსხვრევდა თავზე.

ასათურას მამისეული სახლის პირველი სართული ქალაქის „ნებაყოფლობით სახანძრო საზოგადოებას“ ეჭირა. ამ საზოგადოების თავმჯდომარე, ერთობ ოდიოზური პიროვნება, და მისი მოადგილე, ბუხენვალდის ტყვეს რომ წააგავდა ფერ-ხორციტ, კამათლებს ამღერებდნენ ეზოში მთელი დღე. ასათურა მათ „მუქთამჭამელებს“ ეძახდა და ათას სიბინძურეს აყრიდა ზემოდან. ისინიც უჩიოდნენ ქალაქის საბჭოში, მილიციაში, პროკურატურაში და სხვა ინსტანციებში, მაგრამ ასათურა, როგორც იტყვიან, ყოველთვის მშრალი ამოდიოდა წყლიდან.

მილიციის მუშაკებს „კუსონიკებს“ ეძახდა, დასცინოდა და გაურბოდა მათ. და თუ შინ მიაკითხავდნენ, მოხერხებულად დაუძვრებოდა ხელიდან თუნუქის სახურავის მეოხებით... საქმე ისაა, რომ სახლს, სადაც ასათურა ცხოვრობდა, მიდგმული ჰქონდა ერთ-სართულიანი ფიცრული, რომლის სახურავი ასათურას ფანჯრის ქვემოთ გადიოდა. ეს გახლდათ გვერდითი ფანჯარა, მეორე კი ზღვის ქუჩას გადაჰყურებდა.

ასათურა რახარუხით ჩაირბენდა იმ ფიცრულის სახურავს და შუა ეზოში მოადენდა ბრაგვანს.

ფიცრულში მცხოვრები დედაკაცები წყველა-კრულვას არ აკლვდნენ გიჟ-ასათურას:

— შენ არ გაიხარე მაინცდამაინც, შე მეუდრეგო, შენა!

— ისემც გიქნია, კისერიც მოგიტეხია, ხვადაგო!

მეზანძრეები ცალკე ჯაჯლანობდნენ, „კუსონიკები“ კინჩხისტეხით მისდევდნენ, მაგრამ მისი მოხელთება არც ისე იოლი საქმე იყო.

სხვა დროს, როცა ქეჩოში წაველებდნენ ხელს და ვირის აბანოსკენ წააჩინდრიკებდნენ, უბიდან ამოიტანდა ქალადის ფურცლებს, სამორიგეოს იატაკზე დაყრიდა და გამოაპანდლურებდნენ. დიდ დანაშაულს ის არ ჩაიდენდა, პატარას კი პატიობდნენ გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ. ბოლოს და ბოლოს, ვირის მუშა იყო, არ ეცვა, არ ეხურა, თბილ საქმელს არავინ დაახვედრებდა, არავინ ურეცხავდა, ხმელა პურზე გადადიოდა ხანდახან.

ფეხზე ნასხვისარი, უზომოდ დიდი „ბათიკები“ ეცვა, პურის ქარხნის ღუმელთან გამშრალ-გამობრეცილი. სიარულის დროს ხელები უმოძრაოდ ეკიდა მხრებზე, ხოლო ფეხებს ისე მიადგამდა,



თითქოსდა ვინრო თხრილის თავზე მიაბიჯებდსო... პერანგსა და ქურთუკზე ხომ ყველა ღილი აწყვეტილი ჰქონდა. ქუდს კი საერთოდ არ იხურავდა, არც თავსხმაში. წვერსაც იშვიათად იპარსავდა და მხრებში ოდნავ მოხრილი დაჩლახულობდა ნასხვისარ ბათინკებში... საშუალო ტანისა, ძვალმსხვილა და ჯანიანი.

საუბრის დროს სიტყვებს ნთქავდა, თითქოს მოსწრება ყოფილიყოს. გიჟი იყო, სულელი კი არა. დაზოგილი თანხა შემნახველ საღაროში შეჰქონდა, სახარჯოს უბეში იტენიდა. სულელი მიხაი იყო. ასათურას რჩევები ჩირის ფასად არ უღირდა. ნათქვამს წესიერად არც მოუსმენდა.

ესენი მეტწილად ბენოს დუქანში უბერავდნენ, სადაც ქალაქის ლოთი-მფოთები იკრიბებოდნენ ხოლმე. ასათურას ხმაურთან დროსტარება არ უყვარდა, არც ფეხი ეშლებოდა სიარულის დროს. მაგრამ ნაბახუსევე ერთი უცნაური თვისება დასჩემდა: შინდარუნებული, არაიშვიათად, გადმოდებოდა ვინრო ფანჯარასთან, ზღვის ქუჩას რომ გადაჰყურებდა, და წელზევით გაშიშვლებული შუშის ნატეხით მუცელს დაისერავდა...

მუცელი ვარდისფრად შეეღებებოდა და ცნობისმოყვართა შემფოთებაზე გიჟივით ხარხარებდა. ამ უცნაური საქციელის გამო შეარქვეს სწორედ გიჟი. ეს როგორღაც გამოწვევას ჰგავდა, მაგრამ ვისკენ იყო მიმართული ეს გამოწვევა, გაურკვეველი რჩებოდა... იქნებ ზღვისპირელთა ყურადღებას იქცევდა ამით?... ვერავინ მიხვდა ამ ახირების გამოწვევ მიზეზს.

ასათურა ამ დროს სიამოვნებას განიცდიდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა რომელიმე მოაგარაკე დედაკაცს, რომელიც პირველად შეესწრებოდა ამ უცნაურობას, გული შეუღონდებოდა და წყლის შხეფებით მოაბრუნებდნენ.

ერთხელ, როდესაც მორიგ წარმოდგენას მართავდა, ვიღაც უცხო მამაკაცმა, პათეტიკურად წამოიძახა:

— შეხედეთ, ის ხომ უკეთურ სისხლს აძლევს გამოსავალს. ეს ხომ სინამდვილეა, არა წარმოდგენა.

ასათურამ გარკვევით მოისმინა, რაც იმ კაცმა თქვა და მიაძახა:

— ამო, სქელო, ამ უკეთურ სისხლს შეგასმევ! იმდენს შეგასმევ, ხვალ დილაზე არწყევდე... ხე-ხე, ბე-ბე! აბა, შეხედე! — რამდენიმეჯერ დაისვა შუშის ნატეხი მუცელზე, რის შემდეგ სისხლი თქრიალთან წამოვიდა, — ამო, ამოდით, თქვე ჩათლახებო, თითო რუმკა ყველას შეხვდება... ააა, ხა-ხა-ხა, ჩაიფსით, ხომ?! —


— ეს შერეკილი ვინაა, ხალხო! პატრონი არ ყავს ამ ქვეყანას?! — აღმუთება გამოთქვა კურორტის მთავარმა აგრონომმა, ნაიალალარ ხარს რომ ჰგავდა.

— ზემოდან შარდავს პირდაპირ, ამყარადა აქაურობა! — შესჩვილა სახანძრო საზოგადოების თავმჯდომარემ.

— მერე?! რატომ ხმას არ იღებთ?!

— ხმას როგორ არ ვიღებთ, მარა საშველი მაინც არ ჩანს. ნაიყვანებენ, გამოუშვებენ... ისევ ნაიყვანებენ, ისევ გამოუშვებენ.





— არ გამოაშვებინოთ! დააპატიმრებინეთ! — ხმას აუნია აგრო-
ნომმა.

— შეი, ყვავილების ნაჩაღნიკო! დასაპატიმრებელი შენ თითონ
ხარ, ბაღში გედის კვერცხებს რო იპარავ და ყიდი!

— რაის კვერცხებსო?! ვის უბედავ, შე მართლა ტვინმერყეულო,
შენა! ვირის აბანოს მოგანატრებ, დამაცა!

— ხახვიც არ დამაჭრა ყურებზე! ბე-ბეე! ხე-ხეე!

— ორგანოს მუშაკებს კუსოჩნიკებს ეძახის, — ცეცხლზე ნავთი
გადაასხა თავმჯდომარემ.

— დარეკეთ ახლავე მილიციაში! ტელეფონი არ გაქვთ?

— დიახ.

— დარეკეთ და გამოიძახეთ!

ასათურა მიხვდა, საქმემ სეიოზული სახე რომ მიიღო, მაგრამ
სანამ წითელქუდიანები გამოჩნდებოდნენ, დრო კიდევ ჰქონდა,
თავისი აკვირებული „სიმღერით“, რომლის მოსასმენად დიდი
მოთმინება იყო საჭირო, დაეტკბო ცნობისმოყვარეთა სმენა:

ორი ქოთანა ვიყიდე,
ყურიანა და უყურო,
ნა ტოტ სვეტ ვმესტე პაედიშ,
ფულიანა და უფულო,
დელია, დელია,
ჩქინ ლავრენტი ბერია...
არი ესტელ, სირანუშ,
ხოჩიშ, ბუდუ ია ტვიო მუჟ.

იმთ შორის, ვისაც კუსოჩნიკებს ეძახდა, განსაკუთრებულ ყუ-
რადღებას მხოლოდ ხიმბას მიმართ იჩენდა ასათურა. ხიმბა ამ უბნის
ინსპექტორი იყო, სოფელ კალდახვარში ცხოვრობდა. ხიმბას, ისევე
როგორც ასათურას, ოთხი კლასის შემდეგ სკოლაში არ უფლია. გა-
ნათლებილია რა გითხრათ, მაგრამ ადათ-წესს ზედმინეწვით იცავდა.
ის ასათურას ფულს არ სძალავდა, როგორც სხვები. ამიტომაც იმ-
სახურებდა განსაკუთრებულ პატივს.

ხიმბა ბენოს დუქანში სადილობდა. ბენო დანახარჯის ნახევარს
ახდევიანებდა. იქნება რაღაცაში გამომადგესო ეს ხბოსავით კაცია.
ხიმბა ამას ვერც ხედებოდა.

გიჟ-ასათურას გაფრთხილებული ჰყავდა ბენო, ლუდი უფასოდ
მიერთმია ხიმბასთვის. ის ხან ერთ კათხას დალევდა, ხანაც უარს
ამბობდა დალევაზე, მაგრამ ბენო ორი კათხის ფულს ახდევიანებდა
ასათურას.

ერთხელ ჰკითხა:

— კი მარა, რა დაიმსახურა ხიმბამ ასეთი?

ქვედა ტუჩი გირივით ჩამოუვარდა ასათურას, რითაც ის
„ღმიღლს“ გამოხატავდა.

— მააგე, — თქვა, — ყველაზე წესიერი კუსოჩნიკია მაგნებს
შორის.

ის იყო, სიმღერას მორჩა, რომ რომელიღაც ბიჭმა დაუყვირა:

— კუსონიკები მოდიან, ასათურ!

ეზოში მართლაც გამოიჩინნენ წითელქუდიანები.

ასათურა, როგორც სჩვეოდა, თუნუქის სახურავზე ჩახტა, მაგრამ ეზოში სხვები დალანდა. ეტყობა, გაიგეს, საიდანაც ითესებოდა და ხაფანგში მოაქციეს.

ისევ ოთახში შებრუნდა. სკამს ფეხი მოატეხა და კარის სახელურს გაუყარა ურდულივით, საიმედოდ ჩაკეტა. მერე ფანჯრიდან გადაიხედა. ორი წითელქუდიანი კიბეზე ამოდიოდა.

— კუსონიკებო, ხიმბა მომიყვანეთ. მხოლოდ მაგას გავულებ კარს. დანარჩენები მონყდით აქაურობას!

— სირანუშს ამოგიყვანთ მანდ, არ გინდა?

— გააკეთეთ, რასაც გეუბნებით, თორე ფანჯრიდან გადავხტები. პასუხს თქვენ აგებთ, ხალხია მონმე!

— ამას უყურე! გიჟი კი არა, ჭკუის კოლოფია. ულტიმატუმი არ წამოგიყენა?! — ჩაილაპარაკა იმ ორიდან ერთ-ერთმა.

ასათურა გაღებულ ფანჯრის სიცარიელეში გამოისევტა. შებარბაცდა, მაგრამ შეიკავა თავი.

— ხიმბა მოვიდეს, — დაიყვირა ხელმეორედ, — მხოლოდ მაგას გავყვები საძალეში. დანარჩენებმა კი დაახვიეთ აქედან!

მოიყვანეს ხიმბა. ის დაბნეული აფეთებდა თვალებს.

— ნუ გეშინია, შენ არაფერს დაგიშავებს, — დაამშვიდეს.

— მე არაფრის არ მეშინია!

— ხიმბა, ამოდი! დანარჩენებმა მოუსვით აქედან! არ გეყურებთ?

ხიმბა დინჯად აჰყვა კიბის საფეხურებს.

მილიციელები წავიდნენ და ხალხიც გაიკრიფა თანდათან.

...გიჟ-ასათურა დღე და ღამე ჰყავდათ დამწყვედელი იმ ავადსახსენებელ „კპზ“-ში. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა დაედო ბრალად. არ დაუკლიათ არც მუშტი, არც წიხლი. გული მოიფხანეს იმის გამო, „კუსონიკებს“ რომ ეძახდა. მერე კი სანყოფის გამგემ, სადაც ასათურა მუშაობდა, მილიციის უფროსთან ჩააწყო საქმე და გამოაპანდურეს.

ორი ღამის უძინარს და დალილავებულს ქუჩაში ონავარი ბიჭბუჭები აედევნენ მანჭვა-გრეხით:

ასათურა აბდალი,
უყვარს აჯაპსანდალი,
ასათურას უყვარს ოხრახუში,
გავაკუე, მოხვდა ყურში,
სირანუშ, ია ტეოი მუჟ,
სირანუშ — ოხრახუშ...





როგორც კი გამოენთო, ადგილს მოსწყდნენ კარკაციტო. შხეფე-ბივით ვაცივიდნენ სხვადასხვა მხარეს და თავიდან დაინყეს გამოჯავრება.

— არ მომეშვებით, ოხრებო?! აი ეხლა მე თქვენ...

და კვლავ გამოენთო. ბოლოს მუშტი მოუღერა და სამუშაოსაკენ გაუყვა ჩლახუნით.

ხახუტას ბევრჯერ დაუხსნია „საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი“, რადგან კარგი ურთიერთობა ჰქონდა მილიციის უფროსთან. გიჟ-ასათურას ბავშვობის დროინდელი მეგობარი იყო ხახუტა. ასათურა უკვე მუშაობდა, როდესაც ხახუტა სათევზაო სეინერზე მოეწყო მეზადურად. შემდეგ დაანინაურეს — თევზის საკონსერვო ქარხნის საამქროს უფროსად დანიშნეს. ისინი იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს. თუმცა გიჟ-ასათურას ხახუტაზე ახლობელი არავინ ჰყავდა, მაგრამ მასთან ურთიერთობას მაინც გაუბოდა გარკვეული მოსაზრებით... არადა, ხახუტას არასოდეს უგრძნობინებია მისთვის უპირატესობა. არც ჭკუა უსწავლებია. ხუმრობითაც კი არ გაუკილავს მისი უცნაური ქცევა ხახუტას. ასათურა ამას ყველაფერს ხვდებოდა. ის კი არა, ორ-სამჯერ შემთხვევით რომ გადააწყდნენ ერთმანეთს, ხახუტამ დაბეჯითებით უთხრა: „თუ რამე დაგჭირდეს, არ მომერიდო, ბიჭო!“ — არც ამ ნათქვამს ივინყებდა ასათურა, გულში კი ფიქრობდა: „თვითონ იყოს კარგად, მე არაფრის გამო არ შევანუხებ“.

ასე გადიოდა დრო.

ერთხელ კი ასათურამ ყური მოჰკრა, ხახუტას მოურჩენელი სენი შეეყარაო. მეორე დღესვე ეწვია სახლში მნოლარე ავადმყოფს.

დასახლის ქმრისგან ჰქონდა გავონილი მათი ბავშვობის-დროინდელი მეგობრობის შესახებ. სკამი გამოუტანა სტუმარს, მაგრამ ასათურა არ დაჯდა.

— რა იყო, ხახუ, ცუდად ხარ? — წყნარად იკითხა.

— ხო, წერილი უნდა წავილო გაღმა...

— კარგი, ერთი... არც იფიქრო მაგაზე!

— ანი, გინდა იფიქრე, გინდა არა... სულერთია.

სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ კედლის საათის წიკნიკი ისმოდა.

— დაჯე, ნუ ფოკუსნიკობ, — ღიმილით უთხრა ავადმყოფმა.

ასათურა უხერხულად დაეშვა სკამზე.

— ნუხელ დედა ენახე სიზმარში, — თქვა.

— გახსოვს დედაშენი?

— ისე რა... სახე დამავინყდა ოღონდ.

— რაო, რას გეუბნებოდა?

— მეძახხა... ერთი ნუთით გამოიხედო.

— მერე?..

— მეგონა, ცხადში ხდებოდა ყველაფერი. კართან კი არავინ იყო. ფანჯრიდანაც გადავიხედე, მაგრამ ზღვის ქუჩაზე კაციშვილი არ ჭაჭანებდა.

— სასაფლაოზე ადი. უკანასკნელად როდის იყავი?

— დიდი ხანია არ ვყოფილვარ... კვირას არ ვმუშაობთ, მივალ აუცილებლად.

დიასახლისმა ტაბლაზე დაწყობილი სასმელ-საჭმელი შემოიტანა.

— ნემსიც გამიკეთე, ბარელამ, — სთხოვა ქმარმა.

ქალმა თხოვნა შეუსრულა.

— გამაყურებელია, — ასათურას ეუბნება ხახუტა. მერე საწოლზე წამოჯდა და სირჩები კონიაკით აავსო.

— შენთვის შეიძლება?

— ან იყველაფერი შეიძლება, ფიქრი ნუ გაქვს.

— მკურნალობ რამეს?...

— ბა რა! ჰე, გაგვიმარჯოს, ასათურა გიჟო!

— გაგვიმარჯოს, ხახუ!

გადაკრეს.

— პატარა ხანს, სამი საათი მაინც, კარგად ვიქნები.

— მერე?

— მერე კი ისევ ნემსი და დოზანა! დოზაც უნდა გავზარდო ყოველდღე, ასე!

— ცოტა ფული იმასვექენი, საწყენად თუ არ მიიღებ... — შეაპარა მოსულმა.

— მაქ ფული, ეგ რო შევლოდეს...

რალაცის თქმა უნდოდა კიდევ, მაგრამ გადაიფიქრა, ხელიც კი ჩააქნია, სათქმელად არ ღირსო.

— ისევ შალოსთან მუშაობ, ასათურ?

— კი, შალოსთან.

— გამოისყიდე, ბიჭო, ის სახლი, გაქვს ამის საშუალება. სხვა თუ არა, მამაშენი საფლავშიც გაიგებს ამ ამბავს, გაუხარდება.

— ამ ჩემ ფეხებს სახლი!

— ბა, რაღად გინდა, ფულს რო ინახავ სალაროში, გამოისყიდე სახლი, შეირთე ცოლი... მომვლელი მაინც გეყოლება.

— ამ ჩემ ფეხებს ცოლი!

— იყავი მაშინ ასე, რიყის ქვასავით და იძახე: „სირანუშ, ია ტვოი მუჟი“! მეორეს კი არ დავადგამენ ანი. სანამ ჯანზე ხარ, გააკეთე, რასაც გეუბნები. მერე გვიან იქნება.

ასათურას პასუხი არ გაუცია.

— მუცელს აღარ იმახინჯებ?

— არა, შევეშვი...

ხახუტას გაგონილი ჰქონდა ასათურას უცნაური წარმოდგენების ამბავი, მაგრამ ორივე თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა უკვე, თავ-თავიანთ წრეში ტრიალებდნენ, ბავშვობის დრო კი წარსულს ჩაბარდა. თუკი მაშინ ბევრით არაფრით განსხვავდებოდნენ ერთ-მანეთისგან, ამჟამად სხვაობა დიდი იყო მათ შორის. ბედმა ისინი სხვადასხვა გზით ატარა და სამუდამოდ დააშორიშორა ერთმანეთს.



F/22/17

სამართლებრივი
პარლამენტის
ეროვნული
გზაობის



— შევეშვიო?! არ მითხრა! ქალები ხომ გადარეული გყავს იმ უცნაური ახირებით და... ის კი არა, მოსკოვშიც გაგისხენეს, აქ რო ცირკებს აწყობდი... შენ რა, მართლა უკეთურ სისხლს უშვებ, როგორც გადმომცეს, თუ სხვა რაღაც მიზეზია?.. გამხადე მაგის ფილოსოფოსი!

— აბა, მე რა ვიცი...

— მართლა არ იცი თუ მალადავებ?

— მართლა არ ვიცი, ხო გეუბნები.

ხახუტა გულში დაეთანხმა. ასათურას ტყუილის თქმა არ ეხერხებოდა. ბოლოს და ბოლოს ზღვისპირელებიც შეეჩვივნენ იმის ახირებას, როგორც იმ მატარებლის ხმაურს, შუაგულ ქალაქში რომ გადაიოდა.

ქალაქს ართობდა ასათურას უცნაური ქცევა, არავინ განიკითხავდა ამის გამო, მაგრამ არც არავის ებრალებოდა. ამ ქალაქმა სიბრალოლი საერთოდ არ იცოდა, თუმცა ასათურა სიბრალოლს არც საჭიროებდა. აქ ყველა გამარჯვებისთვის იბრძოდა, დახლიდარი იყო, დალაქი, მოაგარაკე თუ აშკი... ქალაქი კი იმით იმასხვრებდა, ვინც რაღაცით გამოირჩეოდა სხვებისგან. გიჟ-ასათურაც დამიხსოვრა ქალაქმა, როგორც გიჟი, რომელიც შუშის ნატეხით მუცელს იმახინჯებს. ეტყობა, მასში რაღაც ცხოველური ჟინი ბორგავდა, რისი გააზრებაც ასათურას არ შეეძლო. ეს იმის გონებრივ შესაძლებლობას აღემატებოდა... ალბათ ის ჟინი უბიძგებდა მოქმედებისკენ, რაც მის უცნაურ ახირებაში გამოვლინდა ბოლოს...

ზღვა ხან ურჩხულს აგონებდა ასათურას, ხანაც უწყინარ ლეკვს. ის ყოველთვის გვერდით ეგულებოდა, სადაც არ უნდა ყოფილიყო. იშვიათად თუ გაუტევედა საბანაოდ, ისიც კვირადღეს. შემჩნეული ჰქონდა, სადაც კი მოკალათდებოდა, მის ირგვლივ ადგილი მაშინათვე დაცარიელდებოდა ხოლმე...

ავადმყოფს კი ასათურას სათამაშო გარმონი გაახსენდა რატომღაც. პატარა სახელური ჰქონდა. დაატრიალებდი თუ არა, სასიამოვნო მელოდიას გამოსცემდა. ახლა უკვე აღარ ახსოვდა ის მელოდია. „დროის დამუხრუჭება რომ შეიძლებოდა, ბავშვობის წლებიდან აღარც გამოვიდოდი...“ — გაიფიქრა თავისთვის.

— სიკვდილზე თუ ვფიქრობ, ასათურა გიჟო?

ამ სიტყვებზე ასათურას გირივით ჩამოუვარდა ტუჩი. ის იღიმოდა.

— რას იკრიჭები!

— მაგისთვის არა მცხელა, ხომ იცი...

— მართალი ხარ. მაგაზე არც მე ვფიქრობდი წინათ... ბედნიერი დროა ის დრო, რომელსაც სულაც არ გრძნობ.

— ეს როგორ?...

— ყურყუმალა როა, თავისივე ცხიმით იოხავს ბუმბულს, წყალმა რო არ დაამძიმოს, ადამიანი კი — ქონებაო, თანამდებობაო, სახელიო... სისულელეა! სისულელე ყოფილა... ამას ყველაფერს ერთი დღის სიცოცხლე მირჩვენია. როცა შენთვის ხარ და შენს გარშემო არაფერი ხდება, არც სამწუხარო და არც სასიხარულო, ეს დროა



ყველაზე საუკეთესო. ის არც ჩანს და არც გამძიმებს. პაპა იანი თუ გახსოვს, სათევზაო სეინერის კაპიტანი?

— მახსოვს, აბა რა...

— ასი წელი იცოცხლა იმ ბერძენმა. ბოლოს, დაბადების დღე ჰქონდა, წყნარად ჩაილაპარაკა: „რა მოკლე ყოფილა ეს მართონი“.

დიახსახლისმა კარი შემოაღო.

— ექიმი მოვიდა, — თქვა.

ასათურა წამოდგა.

— იქნება რაიმე გჭირდება, ხახუ?

— მჭირდება... ბენოს დუქანში რო ჩახვალ და შენებურად შეუბერავ, გამიხსენე მაშინ, ასათურა გიყო.

...ის ფული, რომლის გამორთმევაზე თავი შეიკავა ხახუტამ, ასათურამ მის ცოლს დაუყარა მაგიდაზე და ტყვიასავით გავარდა გარეთ.


...ხახუტას წლისთავზე ასათურა ცოტა ადრე ავიდა სასაფლაოზე, სანამ სხვები გამოჩნდებოდნენ. დოქით ღვინო და თაიგული აიტანა. მერე ბენოს დუქანში შეუბერა თავის ჯამაათთან ერთად. ხახუტა არაერთხელ გაიხსენეს და შესვეს მისი შესანდობარი.

ორი დღით ადრე კი, სანამ ხახუტას წლისთავს აღნიშნავდნენ, ისე გამოეცხადა მშობელი დედა ასათურას და ნაღვლიანად უთხრა: „ნუ გეშინია, შვილო... ან სულ ერთად ვიქნებით“.

გიჟ-ასათურას არც ახსოვდა, დღით სახანძრო საზოგადოების თავმჯდომარეს რომ წაეკინკლავა და სახეში შეაფურთხა. იმან თავისი მოადგილე დაიყენა მონმედ და მილიციამი უჩივლა.

გვიან ღამით თავზე წამოადგნენ ნითელქუდიანები. ის არ ელოდა დაუპატიჟებელ სტუმრებს. ეგრევე გადაეშვა გაღებული ფანჯრიდან, რახარუხით ჩაირბინა თუნუქის სახურავი, მაგრამ ბოლო წამს ფეხი დაუცდა, კეფით დაასკდა მკერვი საგანს და სულიც განუტევა. გიჟ-ასათურას იმ წელს ოცდათხუთმეტი შეუსრულდა.





რეზო ადამია

ტრაპიზონული დღიურიდან

(დასასრული. დასაწყისი №№ 1, 2, 3, 2009)

24 ოქტომბერი, 1999 წ. „სუმელას“ მონასტარი

ტრაპიზონი და მისი შემოგარენი, მინისქვეშეთიდან დაწყებული, ცივილიზაციათა მაღალი კულტურის და ხელოვნების ძეგლებითაა სავსე, ქალაქი რომელიც თავის დროზე წარმოადგენდა ტრაპიზონის უძლიერესი იმპერიის ცენტრს, რასაც ადასტურებს უმთავრესი ციხის ნანგრევების თავზე, ქვეყნის მოთვალთვალედ დაშენებული იმპერატორის ოდა, რომლისგანაც მხოლოდ კედლებია შემორჩენილი.

დღევანდელი დღე მზიანი და მშვიდი განწყობილებით დაიწყო, სივრცის უსასრულობაში ჩაძირული, ერთ დროს ლაზეთის ზღვა, უხმოდ განოლიდა და ნისლოვან ბურუსში კოსმიურად თვლემს.

ყოველივე წინასწარ დავეგეგმეთ და დილაადრიან ბატონი ნეჯათ ზენგინი, ტრაპიზონის დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი, ჩემი ლაზი, ბატონი ნათე ბანაში, საქართველოს კონსულის გიორგი ჯანჯღავას მოადგილე, რომელიც ნიჭიერი დიპლომატი და კეთილი ადამიანი გახლავთ, და თქვენი მონა მორჩილი ქალაქიდან შორეულ მთებში გავდევართ მამათა მონასტრის „სუმელას“ მოსანახულებლად. ხოლო დღეს ჩემი პირადი და მთავარზე მთავრი ამოცანაა ამ მიტოვებული ლაზური უძველესი ისტორიული ძეგლის ფერწერულ ტილოზე გადატანა. როგორც ყოველთვის ბატონი ნათე მანქანას პროფესიული დახეწილობით მართავს და გზადაგზა გვეგებება ულამაზესი პეიზაჟები, კოხტად მორთული თურქული სოფლები, საგულდაგულოდ დამუშავებული ყანები და ეზოები. ყოველი სოფლის ცენტრში აღმართული დამჩქებთან ერთად თეთრი მინარეთები, რომლებიც მედიდურად გადმოჰყურებენ ირგვლივ გარემოს, ზეცისაკენ უცნაურად მიილტვიან და მითოლოგიური ღრუბლისფერი ფრინველივით საამოდ გასუსულან. აქაური შესანიშნავი მეჩეთების უმეტესობას ურთიერთისაგან განსხვავებული არქიტექტურა აქვს, მაგრამ მინარეთების უჩვეულო გეომეტრიული ფორმა განსაკუთრებულია: დღევანდელ საპლანეტათაშორისო რაკეტებს მოგაგონებთ. ამ ფორმით აგება შორეულ ეპოქაში უცხოპლანეტელებმა ხომ არ ასწავლეს არაბთა წინაპრებს? აქ უთუოდ არაბთა უძველესი ცივილიზაციის ხაზგასმული ელემენტებია ჩასახული.

მივდევართ საგზაო ნიშნებისადმი მორჩილი სიჩქარით — შეუჩერებლოვ, და ურთიერთს გადაბმული სოფლები და კანტიკუნტი დასახლებებიც შეწყდა. მშვენიერი კეკლუცი ხეობა თანდათან ვიწროვდება და ხშირტყიანი მთები უფრო და უფრო გოლიათურნი ხდებიან; მათ უწყვეტ წყებას ბოლო არ უჩანს, თითქოს დამძიმდა და მოიქუფრა ხეობა. მუქი კლდენარევი მთები გახშირდა, მრავალი მათგანი წაგორებულა ან




ნამონოლილივით გადაწეულია სიგრძივად, ზოგიერთი გაავებული დევებივით ზელმართულან და ასე გავედივართ მშვენიერებათა სანახებს, ალტაცების მომგვრელ რამდენიმე ათეულ კილომეტრს, და, გგონია, ამდაგვარ სანახაობათა უსასრულობაში ივლი!

მაგრამ რას ვხედავთ მოულოდნელად: ჩვენ წინ აღიმართა საოცრება — ბუნებრივი უზარმაზარი კლდოვანი მთა და მის მკვერთესა და უდრეკ მკერდზე მიდულაბებული ვერცხლიფრად ანთებული უმშვენიერესი მონასტერი, რომლის ღვთიურ შუქს სამოთხედ უქცევია ხეობის სივრცე და გარემო. სამწუხაროდ, დღესდღეობით უკაცრიელია აქაურობა. მხოლოდ უხილავი ფრინველები და ანგელოზები დაფრინავენ და ირგვლივ ჯანსაღი სულია უკიდევანო... ათას ხუთას ნელზე მეტს ჩქეფდა ამ მინაზე ქრისტიანული ცხოვრება და ბერმონაზვნური მსახურება. დღე და ღამე გაისმოდა აქ ეკლესიური ტკბილგალობანი და უფლის სადიდებელი ლოცვანი, ქვეყნის, სულისა და, საერთოდ, ადამის მოდგმის გადასარჩენად. სამწუხაროდ, ზოგიერთ რელიგიათა ფანატიზმმა და გულქვაობამ ჩააქრო ადგილობრივი მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაცია, სულიერი და კულტურის ცენტრები მოიშალა და უკაცრიელ უდაბნოდ იქცა.

კოლხურ-ლაზური კულტურის უძველეს ძეგლებს, აქ მიზანდასახულად მხოლოდ ბიზანტიურს მიაკუთვნებენ. დღევანდელი ღამები კი ჩვენებურიანო, გვეუბნებანი, რაც სრული ჭეშმარიტებაა. ბიზანტიის იმპერია დღეს არ არსებობს და სამუდამო განსასვენებელშია, ღამურ-ქართული მარად უკვდავი ეროვნული ფენომენი პლანეტის სახეზეა.

როგორც კი ყველასაგან მიტოვებული, მხოლოდ ღმერთის საუფლო „სუმელა“ გამოგვეცხადა და ჩვენ წინაშე ამალეებული წარდგა ღვთის და სამყაროს უდიდეს ტაძრად, მისმა ელვარე კოსმიურობამ, საკვირველმა სულიერებამ და სრულიად უცხო გარემომ ტანში ჟრუნტელი ამიტეხა და მკლავებზე ბურძღლები დამაყარა. მონასტერში დროის უქონლობის გამო არ ავსულვარ და იქაურობა არ დამითვლიერებია თორემ, უთუოდ მწარედ გავლიზიანდებოდი, დეტალურად რომ მეხილა უსასტიკესი იმპერიებისაგან ორჯერ დაპყრობილი „სუმელა“. ღამური ქართული სიამაყე, ლეგენდა „სუმელა“ ჯვარს გაკრული მაცხოვარებით, სრული მიმტევებლობით ყველას შეუნდობს მძიმე დანაშაულს და შორს გამხედვარი წმინდანურად მეტყველებს: არ იციან, რასა იქმან!.. ნაღდი ღამური მონასტრის პირველადი სახე, თითქმის მინის ქვეშ რომ ინახება, „სუმელას“ ბიბლიურ-კოსმიური სულიერებითაა გააქლენილი



„სუმელას“ მონასტერი

და ამ უზარმაზარ კლდე-მთასთან, ვერავითარი მიწიერი ბოროტი ძალა ვერ გაყრის...

მონასტერში ასვლით და მისი დეტალური შესწავლით აურაცხელი შიშბეჭდილებას და ცოდნას კი მივიღებდი, მაგრამ ამ დროისათვის ჩემთვის მცირედი ვირჩიე — „სუმელას“ მთლიანი ხედის, ფერწერული ტილოს შექმნა. ნებისმიერი მხატვრის ცხოვრების შინაარსს უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ამ სახის საქმიანობა ამართლებს. შესაფერისი ადგილი ავირჩიე და სამუშაოდ მოვეწყვე. „სუმელა“ კი განდგომილი უცხო პლანეტისავით უსასრულობის სივრცეში წმინდანურად იმზირებოდა.

ჩემგან ოდნავ მოშორებით, ამაღლებულსა და მოწმენდილ ბორცვზე, ბატონი ნეჯათი და ბატონი ნათე, ხმელი ხის ტოტებისაგან ცეცხლს ანთებენ და ცისფერ-ნაცრისფერებში არეული კვამლის დაკლანილი სვეტიც აღიმართა. დიდი ხნის მეგობრებით სამივე დღეს ერთ ბირთვად შეკრულები ვართ, მაგრამ ფერწერამ და „სუმელამ“ ძალაუნებურად ურთიერთისაგან გამოგვყო. რა თქმა უნდა, საერთო საქმეში ჩვენი ერთიანობა მაინც არ დარღვეულა, რადგან პირადად ყოველმხრივ ვცდილობდი მთლიანობის შენარჩუნებას. ბატონმა ნეჯათმა ერთი ჭიქა რაქიც მომიტანა და დამალეინა, თევზი და შავი პურიც მიმაყოლებინა. ჩემს მეგობარ რეჟისორს დიდი მადლობა მოვახსენე და რაქისაგან შინაგანად უფრო ავენთე. ენთუზიაზმით შეეუდეთი „სუმელასთან“ ერთად უზარმაზარ ქანდაკებად აღმართული წმიდა მთის ხატვას და მოულოდნელად ჩვენ წინ დაიწყო უფლისმიერი საოცრების გამოცხადება მუქი ლურჯი ცის სიღრმიდან: კოსმიური ცურვით დინჯად ნამოვიდა თეთრი-მტრედისფერი ღრუბელი, გარკვეული დროით „სუმელას“ გადაეფარა. ზეციურად მოეაღერსა, თბილი ვერცხლისფერი ანგელოზთა ნისლოვანი კაბა ჩააცვა და მზრუნველად გაათბო, შორეულიდან მოყოლებული ჭრილობები მოუშუშა იდუმალი მღამითი და ციურ ტაძრად გარდასახა... შემდგომ თანდათანობით ზეძალამ მოხსნა ტაძარს თეთრი ანგელოზური სამოსელი და ღვთიური მოკრძალებით განზე მიდგა, წუთიერად გაირინდა, მერმე თითქოსდა შეუმჩნეველად ამოძრავდა, უზარმაზარ მთის ქიმს ნელი სვლით გადაუარა, და დასავლეთის ცის შორეულ სიღურჯეში გაქრა. მისგან განწმენდილი მონასტერი მზის შუქზე ათასობით წმიდა სანთლად აენთო, ალივლივდა და ღრმა საიდუმლოებით მოსილი „სუმელა“ მონასტრულ ლოცვად გარდაიხასა.

უსასრულო ფიქრს, უდიდეს საიდუმლოებას და რამხელა სევდას მოიცავს ეს ლეგენდა მონასტერი. აბა, ვინ მოსთვლის რამდენი თაობის ბერებს ულოციათ აქ. წარსულის რელიგიური იდუმალების სკივრშია ყოველივე ჩაკეტილი. აჟუამად მათი ნიჭი, გენია და ღვთისნიერი სულიერება უხილავ შორეულშია მოფარებული, რომელიც ცოცხალი ადამიანებისათვის მარად გაუცხოებული და მიუნდომელია.

ყოველი დროის ფუნჯის ოსტატებს და გენიოსებსაც გაუჭირდებოდათ იმ კოსმიური სილამაზის და ღვთიურობის გადმოცემა, რაც ამ წმიდა მთის ირგვლივ ტრიალებს. ამაღლებული და ღვთიური, დედამინისა და ციური სამყაროს ამოუხსნელი ფორმა, კოსმოსისა და ჩვენი პლანეტის ცოცხალი ხიდი.





წახელ აქ, მთაში, უწვიმია და საკმაოდ ცივა. ამჟამად მზე თავისი გულუბრებით გვანვდის თბილ სხივებს და ხალისიან განწყობილებას. მთელი დღის განმავლობაში აქაურობა ყოველ ხუთ წუთში იცვლის თავის იერსახეს, ფერს, განწყობლებასა და კოლორიტს. ვინ მოთვლის იმ ფერთა სიუხვეს, რა ფერთა უთვალავი გამაცვ რიალებს ირგვლივ. ვერცერთი დიდი კომპოზიტორის მუსიკა ვერ შეედრება მათ მუსიკალობას, რომელიც მოტივის უხმო სივრციდან მომდინარეობს. აქ მხოლოდ სამყაროსა და ღვთის მუსიკა ორკესტრირებს. ეს კომპოზიტორები ურთიერთისაგან სრულიად განსხვავებული არიან, მაგრამ დაბეჯითებით მჯერა — ბეთხოვენი, მოცარტი, შოპენი, ბახი, ჩაიკოვსკი, ფალიაშვილი, ვერდი, ბიზე, ტოსკანინი და ვაგნერი გასაოცარ მუსიკას ჩამოკრფდნენ ამ ლეგენდა მთის გარემოდან და უმადლესი დონის შედეგები დაიბადებოდა.

...მაგრამ მარად მოძრავი მზე გაგვექცა! რაც გინდ ეფერო და ესიყვარულო ამ კოსმიურ გავარვარებულ დღისკ, ის მაინც ერთი წამითაც არ შეგიჩრდება... უმზოდ დარჩენილ ჩვენულ ქვეყანას მოუსალამოვდა და სიზნელები გაეხვია. ამავე დროს კოსმიურმა შემოღამებამ სრულიად განსხვავებული ციური შუქები ჩამოგზავნა, სადაც შეზავებულია უთვალავ ვარსკვლავთა და ძალიან შორეულ სხივთა ნიუანსები. აქაური ღამის სიღამაზეს ახლავს ჩრდილთა გოლიათური მორგვნებებიც (განსაკუთრებით მთაში), რის შედეგადაც იბადება უთვალავი ზღაპარი, ლეგენდა, შიში, ოცნება, მოღანდება, ფანტასტიკური ხილვა და გამოცხადება. მზე შეუჩერებლად დაშორდა დედამიწის ჩვენს მხარეს და ბეთხოვენის მეცხრე სიმფონისმაგვარი კოსმიური სხივთა მუსიკა ქუხილით გაიყოლია...



„სუმელა“ ლაზურ-მეგრულად, სამებას ნიშნავს. ძველი მეექვსე საუკუნისაო, ზოგიერთი ისტორიკოსი გვამცნობს, ზუსტი მეცნიერული მტკიცება? არა! „სუმელას“ მონასტერი IV ან III საუკუნისაა, უფრო ადრეული თუ არა. ეგრისის სამეფოში თუ ლაზიკაში იმ პერიოდში შენდება არქეოპოლისის ორმოც მონაშეთა ეკლესია, რომლის მხოლოდ ფუნდამენტია აღმოჩენილი და კიდევ რამდენიმე უძველესი სალოცავი. დამპყრობელი ბიზანტიის იმპერიის პერიოდში მონასტრის გაფართოება და კედლების ამაღლება ხდება XI-XII საუკუნეებში, შემდგომ ისევ მეორედ განახლება XIV საუკუნეში.

ლეგენდაა ეს მთა! ბატონ ნათეს აფორიაქებული ვეუბნები, ჯერ ტილოზე ბიბლიური მთა უნდა დავხატო, მერმე მის ბრწყინვალე სამკაულად „სუმელას“ მონასტერი მკერდზე ჩავუსვა-მეთქი. ზემდინენით ფერწერულია დღევანდელი ჩემი მოტივი. ღრმა მუქ მომწვანო-ლურჯად გამოიყურება მთის ქიშხე გადაკრული ბუნებრივი ტყის ზოლი, შემდეგ გრანიტით ჩამოირეცხება უზარმაზარი კლდის კედელი, მრავალფერად აფერადებული, ზოგჯერ ვერცხლისფერია, შიგადაშიგ მოვარდისფერო, ეკერ-ავერ, ნათელი ნითელი აგურისფერი გადაჰკრავს. კლდის კედლებზე მომწვანო კეთილშობილი ფერები ლალად თამაშდებიან, მთლიანი კედლის ფერთა მრავალსახეობას კალმით ვერ აგინერთ, უფრო მიახლოებით ფუნჯით ვეცდები დაგვიხატოთ. მდიდრულსა და დიადურ „სუმელას“, მთის ძირიდან ვეებერთელა შერეული ხეთა ტყე აწვება, უშველებელი ნაძვისხეებიანი წინწარი, გიგანტურ



წაბლის ხეთა რიგია ირგვლივ. მასიური ტყის უშრეტეი ენერჯით და მიწისძვრის ძალისხმევით მაღლა-მაღლა ეწევა და ზეციური ამაღლები-საკენ აპყავს უზარმაზარი მონასტერი, ირგვლივ საამოდ ხმინაობს ბუმბერაზ მრავალწლიან ხეთა ფოთლების თამაში, მუქი წინწარისა და სხვადასხვა ჯიშის მცენარეების ფერთა ციმციმი, ზღაპრული ფორმით კოსმოსისაკენ რომ ანებივრებს, კოლხურ ვერცხლის მონეტად ხატულ ძველ ლაზურ „სუმელას“.

ვერ მორევია ღვთის უდრეკ სავანეს ვერაგი დრო, ვერც უცხო და მკაცრი რელიგია, რომელიც მეხვიით ჭექს მის ირგვლივ... ბოლომდე ჩემეულად ვერ მითქვამს სათქმელი და მინდა გავიმეორო, რომ სრულიად სხვა სილამაზეა აქ. ყოველგვარ მშვენიერებასა და დიადურობაზე უფრო ამაღლებული, ჭეშმარიტად სამყაროს უსასრულობასთან წილნაყარი. კრისტალური პაერთ, ფრესკისეული ცისფერებით, კოსმოსის ჯადოთი, მიწის მშვენიერებით და უხილავი სილამაზით გაჯერებული „სუმელას“ ქმნილება. სრული სახით მხოლოდ უფაი გრწნობს და ხედვს მის ფიერებს, პაერივით გამჭვირვალე სევდას, მარტვილობას, უფალივით უდანაშაულოდ ჯვარზე გაკვრას, რითაც მონასტრის ყოველი ფორმა, სახე და განწყობილება ქვეყნიერების მარადიულობის უსაშველო დრამას შერწყმია. გასაიდუმლებულა, გაუცხოებულა, გამართობლებულა, მისულ სევდის ოკეანეში მონარნარე თეთრ იაღქნიან ია-იასფერ ნავად გარდაქმნილა, რომელშიც ლეგენდად ქცეულ ლაზს სათევზაო ოქროსფერ ბადეზე ხელი უშვია და შორეული სივრცის მომზირალია. ცისფერი, მწვანე, ნითელი და ვერცხლისფერი თევზები, ლაღად დასეირნობენ მის ირგვლივ, მთვარე და ვარსკვლავები დღევანდელ დღედ ქცეულა ლეგენდა-ნავში მჯდომი ლაზისათვის...

მცირედ ადღევებული ჩემს მეგობარს, ნათეს, ვეუბნები: აი თურმე რაში ყოფილა საქმე! რა, ბატონო რეზო? — მეკითხება, ბატონი ნათე. რა და, ის გასაიდუმლოებული, ხელით შეუხებელი და გონებაშიუხელომელი, ის თავისებური სიამაყე, მტკიცე ხასიათი, გულადობა, ლაზებში რომ ამონანათებს ხოლმე, „სუმელადან“ მოდის თურმე ანუ შორეულიდან მომდინარე „სუმელას“ გავლით გაედინება უსასრულობაში. მგონი აქ უფრო მივავენი ჭეშმარიტებას, ჯიმა... ბატონი ნათე კეთილი ღმირით მიყურებს და უხმოდ მიუბრუნდება ცეცხლს შესაკეთებლად, სადაც ალუმინის ქვება შემდგარი და თეთრად გაკრიალებული, ზურგზე მუქლურჯზოლიანი თევზები იხარშება — საბოლოოდ, ნაცრისფერს რომ გადაიკრავენ ხოლმე.

დღე მიიწურა. სურათზე მუშაობა ჩქარი ტემპით უნდა წარვმართო, თორემ მალე მთის ბინდი ჩამოწვება და უფრო დაბნელდება. მე კი ვგრძნობ: ამჟამად არც თურქული რაქი მერევა და ვერც ღამეული მთის სიცივეს ვგრძნობ, მხოლოდ „სუმელამ“ მშთანთქა და მთლიანად მას ვეკუთვნი. აფორიაქებულმა ისეე მივმართე ბატონ ნათეს, ყველაფერს მოვატოვებდი ჩემეულს და „სუმელას“ მონასტერს მუდმივ დარაფად სიკვდილის მოსვლამდე დაფუდგებოდი-მეთქი. კარგია, ჯიმა, მაგრამ... და ისეე ეღიმება ბატონ ნათეს...

ძველ კოლხურ სივრცეში ყველაზე ლამაზად და ღრმამინარსიანად სიტყვა „ლაზი“ ფლერს, ასეთია ჩემი შინაგანი ხედვა და განცდა... ილოცე, ჩემო ლაზო, იქ, სადაც შავმა ბედმა გარგუნა, ილოცე გამუდმებით, რთა გადაარჩინო შენი ჯიმი და ჯილაგი.

„სუმელას“ სურათზე მუშაობისას ეს ფიქრებიც მიღრღნიდა გონებას. ხოლო ჩემი მეგობრების, ბატონი ნეჯათისა და ბატონი ნათეს კეთილშემგობრული საუბარი ხატვისას სასიამოვნო ფონს მიქმნიდა. მშვიდად დაღამდა. მეგობრები და სუფრა დროებით დავეტოვე, მთელი დღის განმავლობაში, ერთმანეთის ლოცვა და სიტყვიერი მოფერება არ მოგვეკლებია. მაგიდასა და ჩემს



რეზო ადამია, ნეჯათ ზენგინი, ნათე ბანაში

მოლბერტ-„ეტიუდნიკს“ შორის ვინრო გზა იყო გატკეპნილი. „ეტიუდნიკში“ აჩქარებით ჩავალაგ-ჩავკეტე ხელსაწყოები და სხვა ნივთები და „სუმელას“ ნერტილდასმულ სურათთან ერთად მანქანასთან ჩავიცანე.

ჩვენიან ახლოს მუქი მწვანე ფერის უკაცრიელი საგუშაგო დგას. უკვე მეორედ ავტომატებით შეიარაღებულმა სამხედროებმა ჩამოგვაკითხეს და მეგობრულად გაგვესაუბრნენ. ერთ-ერთი ლაზი იყო, რიგითი ჯარისკაცი, სულ გვიღიმოდა, ძალიან კარგი ვაჟკაცი ჩანდა. ბატონი ნეჯადი და ბატონი ნათე ლაზ ჯარისკაცს გამოესაუბრნენ, ჩემი ვინაობაც მოახსენეს — „ეფენდი გურჯი რესამიო“, უთხრეს (ეს ბატონი ქართული მხატვარიაო). გაუხარდა და განცვიფრებული მიყურებდა. მერმე ოთხივემ სამახსოვრო ფოტოც გადავიღეთ.

ამჟამად ჩაბნელებულ ხეობაში მხოლოდ „სუმელა“ და ჩვენი ვიმყოფებით, მაგრამ დაეიჯერო, რომ აქ მარტონი ვართ?! ვდგაყარ სიბნელეში, აქაურობით ალტაცებული, რადგან მთის ღამე გაუგონარ და არნახულ იდუმალ სიღამაზეს გვთავაზობს. მუქ უზარმაზარ სვეტად აღმართულა „სუმელას“ კლდე-პერანგი მთა, შავ ფიქრ-დარდად თავს დაგვედგომია და ღამის ურთულესი, უხმო მუსიკა კოსმიური ნარნარით მოდის მისგან, მხოლოდ გენიალური ლუდვიგ ბეთხოვენი თუ ამოიკითხავდა ამ უხილავ საოცრება ნოტებს... ღამეულმა სიბნელემ, ნამებული „სუმელაც“ მიიერთა და სევდიან მდუმარებაში ჩაძირა. მთლიანად ეს უზარმაზარი, მუქი ლეგენდებით სავსე, ზეცად ატყორცნილი მთა ღამეული დუმლის ლოცვად გარდაიქმნა, კალმასივით ასხმარტალბებული ციური ვარსკვლავები ირგვლივ სანთლებად დაენთო. ბებერი მთვარე აღმოსავლეთიდან ამოუხსუნდა და გამარტოხელდა. გაოგნებული მივჩერებივარ ამ კოსმიურ სურათებს და საიდანღაც ვეებერთელა ჩალისფერი ძალდი დინჯი ნაბიჯებით მომიახლოვდა, მუხლიდან კოჭამდე დამყნოსა. მხოლოდ თვითონ იცის, როგორი ადამიანის დიაგნოზი დამისვა: ნაღდად მჯერა, ეს დათვივით ძალდი ჩემი ზნეობის გარკვევაში შეცდომას არ დაუშვებს... მაგრამ მაინც ძალღია! შესაძლებელია მთელი დღე შორიდან გვითვალთვალეზა კიდეცა. ადგილობრივი ძველი ისტორიიდან გამომდინარე, აქ ყველა გითვალთვალეზს, გსწავლობს და სწავლობენ მას, შენ და მე... ძალდი-მოჩვენება დგას უძრავად და თვალეზში მიყურებს. მერმე ძალღს თოხის ტარის სიმსხო კუდი შეუტოკდა და მაშინვე ვიგრძენი: ჩვენი დაძმავაცება იწყებოდა. მორიდებით და მოზომილად მოკლეთმიან გასრიალებულ შუბლზე ხელი გადავუსვი, თვალეზი არც კი დაუხამხამებია ისე მიყ-

ურებს. ბანჯგელიანსა და მეჭეჭიან ნიკაპზე გაშლილი მარჯვენა ხელის თითებით უშიშრად მოვეფერე და ბაქული-მეთქი, წყნარი ხმით მივმართე. ძალს გაეღიმა, დათვივით ხახა დაალო და ხელების ლოკვა დამიწყო. ბატონმა ნათემ მითხრა, მაშინ ზემოდან გაოგნებულნი გიყურებდითო. ბატონი ნეჯათი ცუდის მოლოდინის განცდისაგან დაპატიარავდა და წარბები შუბლზე ჰქონდა აყრილიო.

სავსე მთვარემ და ვარსკვლავებმა თითქმის ხეობაში გაისიერნეს. ღამეა, ჩვენ სუფრას დავუბრუნდით და ხალისიანი განწყობილებით ქეიფის ბოლო აკორდიც ჩავატარეთ... ბოლო სადღეგრძელოთი „სუმელა“ და მისი შემოგარენი ისევ დავლოცეთ, აქაური ღამის მასპინძელიც არ გამოვტოვეთ, რომელიც ქვემოდან დინჯად გვითვალთვალბდა. ამასობაში დღევანდელი დღის მოვლენების დასასრულიც თავისი სკივრითურთ გამოგვეცხადა. სამწუხაროდ, სამყაროს მთლიანობის გარდა სამყაროშივე ყველაფერს დასასრული აქვს... მიუხედავად სიბნელისა და დაღლილობისა სამივე დაფაცურდით და ადგილმდებარეობა საგულდაგულოდ მოვასუფთავეთ. ძალს საჭმელი დაუყარეთ, მაგრამ პირი არ დაუკარებია, არც კი დაუყნოსავს. განმარტოების მერე შეჭამს, აბა რა იქნება, ჩავილაპარაკე და „სუმელას“ ნახატით დანყებულნი ყველაფერი მანქანაში ჩავალაგეთ.

ძალი ქუჩის განაპირას დინჯად იდგა და თვალს არ გვაშორებდა. ბატონმა ნათემ მანქანა დაქოქა და ძრავის ხმა მთელ ხეობას მოედო. ბატონი ნეჯათი და მე მხიარული განწყობილებით მანქანაში ჩავსხედით და ადგილიდან დავიძარით.

ნუთიერი დუმილის შემდგომ ზოგმა ალაპი ახსენა, ზოგმა უფალი. ძალი ამჟამად რატომღაც გაკვირვებული შემოგვეცქეროდა, ნიჩაბივით მარჯვენა თათი ცხვირზე ჩამოსივსა და დააცემინა. კლდე-მთაზე სიბნელებში გამოლიანებული „სუმელას“ სევდიან მონასტერთან ერთად ყოველივე უკან დაგვრჩა. მშობლიური განუყრელობით, მხოლოდ მთვარე და ვარსკვლავები მოგვედგინენ ბნელთ მოცულ ხეობაში...

ნათე ბანაში, რეზო ადამია.
ნეჯათ ზენგინის ფოტო



იოჰან ვოლფგანგ გოეთე
სცენები „ფაუსტიდან“

მარტას ბაღი

მარგერეტე და ფაუსტი

მარგერეტე

მინდა, ჰაინრიხი, რაღაც გთხოვო...

ფაუსტი

რად გინდა თხოვნა,
თქვი, საყვარელო!

მარგერეტე

ნებას მომცემ, რწმენაზე გკითხო?
გულით სუფთა ხარ, კეთილი ყოვლად,
რწმენა კი, რა ვქნა, გაკლია თითქოს.

ფაუსტი

დავეხსნათ მაგას, ჩემო ბავშვო! მიყვარხარ, იცი.
თავის განირვაც შემოძლია, ვინც მიყვარს, მისთვის.
ყველას თავისი რწმენა ჰქონდეს და ეკლესია.

მარგერეტე

არა, ეგ არა! უნდა გნამდეს, როგორც წესია.

ფაუსტი

წესია?

მარგერეტე

წმინდა საიდუმლო გნამს ზიარების?





ფაუსტი

მწამს.

მარგერეტე

გულით არა. არც საყდარში დაიარები.
ნუთუ არასდროს აღსარების არ გიდგას ჟამი?
გწამს კია ღმერთი? ნეტავ შველა შემეძლოს რამით...

ფაუსტი

ჩემო ძვირფასო, ფიქრობ, ვინმეს ხელენიფება,
თქვას მაგ კითხვაზე გადაწყვეტით: „დიახ, მწამს ღმერთი“?
ღვთისმსახურთა თუ ბრძენმეტყველთა პასუხი მკვეთრი,
გეტყვი, დაცინვად უფრო ისმის, ვიდრე მტკიცებად.

მარგერეტე

ანუ არა გწამს?

ფაუსტი

გეხვეწები, ნუ სჯი მარტივად.
რით უნდა მივწვდეთ?
სახელს დავდებთ — ზღვარს გადავდივართ.
თავი მილიადაც გვესახება, უფლის ხატადაც.
რომელი იტყვის: „მწამს, გათავდა!“ „არ მწამს, გათავდა!“
ყოვლის მომცველი,
ყოვლის მპყრობელი
საკუთარ თავზეც, შენზეც, ჩემზეც თანაბრად სუფევს.
ცა მაღალია, მიწა მყარია,
და, ღამის ბნელში,
მონუსხულნი ვარსაკვლავებს ვუმზერთ!
როცა თვალეში ჩაგაცქერდები
და ყველაფერი შენკენ მოილტვის,
შენი გულისკენ, შენი ფიქრისკენ,
უჩინრად ხილულ საიდუმლოს გრძნობ შენს გარშემო?
აივსე მისით, მინდობილად გადაეხსენი,
და, როცა მწვავე ნეტარებით მოგიცავს განცდა,
დაარქვი გული, სიყვარული, ბედნიერება,
დაარქვი ღმერთი, სულერთია, რა სახელს მისცემ.
რაა სახელი? ამოფშვინვა, ბოლქვი კვამლისა,
ბურუსის დარად ეფარება ცის სიკაშკაშეს!

მარგერეტე

ამასვე ამბობს პასტორი ჩვენი,
ოლონდ ცოტათი სხვაგვარი ენით.

ფაუსტი

თავის ენაზე ამბობს ყველა, ყოველი რჯული.
მე — ჩემს ენაზე, ისე როგორც მკარნახობს გული.

მარგერეტე

ლამაზად ისმის, მაგრამ ცრუა ეს ლაპარაკი.
არა და არა, ქრისტიანულს არ ჰგავს არაფრით.

ფაუსტი

ძვირფასო ბავშვო!

მარგერეტე

და თან ისიც ლოდივით მანევს,
მაგნაირ წრეში რომ გიყურებ.

ფაუსტი

რანაირ წრეში?

მარგერეტე

შენს თანამგზავრზე გეუბნები, მაგ პირჭმახ კაცზე,
სახის, ასეთი ამაზრუნის, არ ვარ მნახველი,
შემომხედავს და თითქოს გულში ჩამასო ეშვი,
რალაც ბნელი და შეუვალი მიჰყრობს ნალველი.

ფაუსტი

სულ უმიზეზოდ ეშინია ჩემს დედოფალას!

მარგერეტე

მოდის უხამსი და ყველაფერს ირგვლივ მობლაღავს.
არ მჭირს არავის სიძულვილი, მაგრამ ეს ლიზღი,
ახლოს თუ არის, მაბაბანებს შიშით და ზიზღით.
ფლიდიც მგონია ამასთან ერთად.
თუ ცოდვას ვამბობ, შემინდოს ღმერთმა!





ფაუსტი

რა ვქნათ, არსებობს ეგეთი ხალხიც.

მარგერეტე

მაგრამ მათ გვერდით ცხოვრება არ ღირს.
დადის, დაძვრება, როგორც ავსული,
დამცინავი და ბოლმით ავისილი.
არ შეუძლია, უყვარდეს ვინმე,
ზედ ანერია უხიაგ შუბლზე.
მხუთავს, ვიხრჩობი, ამომდის გმინვა,
საკვირველია, შენ როგორ უძლებ!

ფაუსტი

ოი, გუმანი ანგელოზური!

მარგერეტე

ხელშესაშლელად განგებ მოსული
უცებ რომ თავზე ნამოგვედგომია,
ალარც მიყვარხარ, ასე მგონია,
ასე მგონია, შენს თავს მაგლოვებს!
ვერც ლოცვას ვამბობ მის სიახლოვეს!

ფაუსტი

ანტიპათია ჰქვია მაგას. დანყნარდი, ნუ თრთი!

მარგერეტე

კარგი, ნავედი.

ფაუსტი

მომისმინე, რისი თქმა მსურდა...
ნუთუ არასდროს დამიდგება ნანატრი ნუთი,
გულდანყნარებით მკერდი მკერდზე და სული სულთან...

მარგერეტე

ახ, მარტო ვინვე, დედაჩემი არ იყოს ახლოს.
არ ჩაკეცტავდი შემოსასვლელს ურდულზე ღამით!
მაგრამ ძილი აქვს, — უმნიშვნელო აღვიძებს ჩქამი,
იქვე, ადგილზე, გავთავდები, ერთად რომ გენახოს.

ფაუსტი

ეს გამომართვი, ჩაუწვევებ სასმელში სამ წვეტს.
დილაშდე ისე დაიძინებს, თავს აღარ აწვეს.

მარგერეტე

შენი გულისთვის, ღმერთო ჩემო, რას არ ჩავდივარ!
ხოშ არას აწენებს?

ფაუსტი

არ მენდობი? არა ნამდვილად.

მარგერეტე

რალა რა დამრჩა უკითხავი თუ საკითხავი!
ნებას დაგყევი ყველაფერზე, რაც არ მითხარი.
იმდენი დავთმე, თავს ბედკრულმა იმდენი ვიდე,
აღარც კი ვიცვი, დასათმობი მაქვს რამე კიდე?
(გადის.)

(შემოდის მეფისტოფელი.)

მეფისტოფელი

რაო ფარვანამ?

ფაუსტი

ვეღარ იშლი, მსტოვარო, თვალთვალს?

მეფისტოფელი

ვერ დაგიმაღავ, გულისყურით გისმენდით მართლა.
დიდად ვიამე! რაზე მსჯელობთ თურმე მარტონი!
კატეხიზმობი გამოცადეს დოქტორ-ბატონი?
უყვართ გოგონებს, როცა ვაჟი ღვთისმორჩილია,
ტლინკებს არ აყრის, ხასიათი უფრო რბილი აქვს.

ფაუსტი

შე ყიამყრლო, ყველაფერზე კადრულობ ღლიცინს?
ცდილობს, წაწყმედა ამაცილოს, მშვენივრად იცი.



**მეფისტოფელი**

მოგდო საბელი? ლამის არის ცრემლმა დაგლამოს!

ფაუსტი

ყბა დააყენე, შე ნეხვის და ცეცხლის ნაგრამო!

მეფისტოფელი

თურმე ფიზიოგნომისტიკაც ესმის გოგონას,
ჩემი სახე და სიპირჭმახე ამაზრზენია!
მიხვდა, ნიღბიდან დაფარული არსიც მოუონავს,
თუ ეშმად არა, შემიგულა ბოროტ გენიად...
მოკლედ, ამაღამ?

ფაუსტი

შენ რა მაგით?

მეფისტოფელი

როგორ თუ მე რა?
მეც მიხარია, ჩემიცა მაქვს მანდ გულის ძვერა.

წყაროზე**გრეტხენი და ლიზხენი, კოკეპით ხელში****ლიზხენი**

გაიგე, ბერბელს რა შემთხვევია?

გრეტხენი

სად გავიგებდი, ვზივარ კერასთან,
არვის ვწვევივარ, არვინ მწვევია.

ლიზხენი

მეც, ეს წუთია, მითხრა სიბილამ.
აშუსპრდა გოგო, მეტი ირბინა
და, ეგეც ეგრე, ხიჯათს ვერ ასცდა!

გრეტხენი

მაინც რა მოხდა?

ლიზხენი

ზღვარს გადამხტარა,
ერთის მაგივრად ორი გამხდარა.

გრეტხენი

ღმერთო!

ლიზხენი

ახია, მაშ, რა ეგონა!
ყელზე ეკიდა, მკერდზე ეკონა.
ცეკვას და თამაშს არ აკლდებოდა,
პირველი ვარო, ყუნწში ძვრებოდა.
თავი მიაჩნდა მზეთუნახავად.
სხვები ვინ ვყრივართ, ვისი რაღა ვართ!
შეჰფართქალებდა სანუკვარებლად,
ღვინოს და პაშტეტს ანუგბარებდა.
თან საჩუქრებსაც ურცხვად ართმევდა.
მოწყდა ყვავილი! აღარ გამრთელდა.

გრეტხენი

საწყალი გოგო!

ლიზხენი

ნუ გებრალება!
ის გაიხსენე, ჩვენი წვალეზა,
დედა რომ ღამე დაგვსვამდა დგომთან!
ჩვენ ვსაქმობდით და მაგისტვის ღვინდა!
სამალავები, ბნელი შუკები,
გრძელი ამბავი საჭუკჭუკები!
ახლა იგემოს, მიიზღას ფასი,
შემოიმშვენოს ცოდელის ფლასი!

გრეტხენი

იქნებ შეირთოს?





ლიზხენი

იპოვე შტერი!
 გარს ყვავილია ათასი ფერის.
 თან, რა გგონია, ადგა და ფრინდა!

გრეტხენი

ცუდი საქმეა.

ლიზხენი

შეუღლდნენ გინდაც!
 დაუკუნავენ ბიჭები გვირგვინს,
 კართანაც ბრელოს მოფუყრით ირგვლივ.
 (გადის.)

გრეტხენი, შინისკენ მიმავალი

ო, როგორ ვგმობდი, როგორ ვკიცხავდი,
 რა სითამამით განვიკითხავდი,
 თუ შეცდებოდა გოგო საწყალი!
 ხელში მეჭირა ცოდვის საწყავი.
 ვერ ვპოულობდი სიტყვებს საკმარისს,
 შავად შემემკო შავი ნაქმარი!
 დღეს რაღას იტყვი? შენს თავს რას ეტყვი?
 ვდგავარ, ვკანკალებ ცოდვით ნასეტყვი.
 არადა, ღმერთო, რა გრძნობამ შობა!
 რა სითბო ახლდა, რამხელა ნდობა!

ბალავნის ნიშთან

ნიშში მგლოვიარე ღვთისმშობლის გამოსახულება. მის წინ ყვავილებჩადგმული ლარნაკები.

გრეტხენი, თავის ყვავილებსაც ამატებს

მრავალმნუხარეო,
 ცრემლით მშუქარეო,
 დამხედე, მომაპყარ სახე,
 ვინ ძისა შენისა,
 გზა გავლე თმენისა,
 ნამებით სიკვდილი ნახე!

იდექი მტირალი,
მამისკენ მზირალი
და ოხვრას გზავნიდი ათასს.
ვინ იგრძნოს შენსავით,
ვინ მიხვდეს შენსავით, —
ტკივილი ძვლებამდე მატანს!

როცა კი მარტო ვარ,
ცრემლები მალტობენ,
ვტირი და ვტირი და ვტირი.
მოვსულვარ ვედრებით,
შენ გვიმედები!
მოვსულვარ მსხემი და მწირი.

არა დღე უცრემლო არ მაქვს,
დამხედე, წყალობა ჰყავი!
ცრემლები შევრიე ცვარ-ნამს,
დილით რომ გიკრეფდი ყვავილს.

მზემ ისევ მომისწრო დილას
სანოლზე წამომჯდარს, მტირალს.
გხედავ და იმედი მიკრთის!
მიმილე, კეთილად ზრახე,
წყალობით მომაპყარ სახე,
გამომხსენ სირცხვილს და სიკვდილს!

ღამე

ქუჩა გრეტხენის სახლის წინ

ვალენტინი, ჯარისკაცი, გრეტხენის ძმა

როდესაც სადმე, სუფრაზე, ლხინში,
პირს მოირღვევდა ვილაცა ყინწი,
წამოიწყებდა სატრფოთი ქადილს,
რომ მისი დარი არავინ დადის,
მსგავსია ამის, მსგავსია იმის,
ვიჯექ და მუჭში ვმაღავდი ღიმილს.
რანამსაც ჭიქას დადგამდა დაცლილს,
წამოვდგებოდი, ავწევდი სასმისს:
„აქოს, საქებრად ვინ უჩანს ვისაც,
მე სადღეგრძელოს ვსვამ ჩემი დისას,
მთელ ამ მხარეში გოგო არ ვიცი
ჩემი გრეტხენის შესადარისი!“





ჭიქაზე ჭიქის წკრიალ-წკარუნი —
 „დალოცვილ იყოს!“ „ესვამთ სიხარულით!“
 „არ არის გოგო“, იტყოდნენ ზოგნი,
 „მთელ ქვეყანაზე, გრეტხენის მჯობნი!“
 სხვა ზოგნი კიდევ, ყინჩნი აქამდე,
 ჩაჩუმდებოდნენ, ენებს ყლაპავდნენ.
 იყავ, იგლიჯე ახლა თმა-წვერი,
 სახე დამალე, ბნელში ჩაძვერი!
 გადაკრულები, გადმოკრულები,
 შხამის ეკლები, განზე თქმულები...
 ვუსმენ დაბლვერით ბოროტთა ხითხითს,
 ვზივარ და ვალებს ვერაფრით ვიხდი,
 ვერ ვეუბნები: „ჩაკვდი, მტყუარო!“
 რა შევაგებო? რით ვიუუარო?

ორნი მოდიან... გავდგები განზე.
 თუ ის კაცია, ავუგებ ანდერძს!

ფაუსტი და მეფისტოფელი

ფაუსტი

რა სიბნელეა! ერთადერთი მოკრთის ნათელი,
 ბაზილიკაში უქრობელი ბაზმა ანთია.
 იქით და იქით წყვდიადია გაუფანტველი...
 გულშიც, არ ვიცი, რა მიზეზით, ეს წყვდიადია.

მეფისტოფელი

მე კიდევ უინი შემიდგა კატის,
 სახურავებზე პარვით რომ დადის,
 საქმეს რომ ეძებს ბნელში საღვანებს,
 წაიმძუნავებს, წაიბაცაცებს.
 ისიც მიმატებს შიგნიდან ლიტინს,
 ზეგ ვალბურგობის ლამეა დიდი.
 აი სადა აქვს ფასი კატობას,
 აი სად იცი, ფხიზლობ რატომაც.

ფაუსტი

მანდ რალაც განძი ციალებს, მგონი.
 იქნებ მოვხელოთ რაიმე ღონით!

მეფისტოფელი

ტალერებია ღომისთავება.

კი, მაგ საქმეშიც უნდა ჩავებათ.

ფაუსტი

არაფერი ჩანს სხვა დანარჩენი?
რამე ისეთი, სატრფოს სამშვენი...

მეფისტოფელი

თუ არ მეშლება, ბრწყინავს ფარლული,
ალმასის თვლებით შემოსარკული.

ფაუსტი

კარგია, თორემ გული მიკვდება,
როცა უძღვენოდ მისვლა მიხდება.

მეფისტოფელი

ასეც არ ვარგა, ხელმადლიანო,
ზოგჯერ მუქთაზეც უნდა იამო.
ვარსკვლავიანი ღამეა წყნარი,
სერენადების შემიდგა ქარი.
რამეს ვუმღერებ, ზნეობით ავსილს,
უფრო ადვილად გატეხოს ნავსი.
(გიტარაზე მღერის.)

აქ რას ეძებ, ამ სისხამზე,
კატრინ, სატრფოს კარად?
რაც მომხდარა, საყვარელო,
ის მოხდება კვალად,
შინ შეგიყვანს ქალიშვილად,
გამოგიშვებს ქალად.

მერე მორჩა, ცალად ივლი,
გაფრენილა ჩიტი!
დაითმენდი, სანატრელო,
ცოტას მოიცდიდი,
სანამ ბეჭედს საქორწინოს
არ მოირგებს თითი!

ვალენტინი, წინ წამოდგება

შე მართლა კატავე, მანდ ვის გაღნავი?
სრულად მოგაგებ, რისიც ხარ ღირსი!
ჯანდაბას იქით შენი საკრავი!





ჯანდაბას იქით პატრონი მისი!

მეფისტოფელი

შუა გააპო საცოდავი ჩემი გიტარა!

ვალენტინი

თავიც ახლავე გაგეპობა, შე ვიგინდარავ!

მეფისტოფელი

აბა, დოქტორო, დაგვანახე, ფრთებს როგორ გაშლი!

კალამი გვერდზე მიაყუდე, დრო დადგა დაშნის.

მიდი, ეკვეთე, მინას შერიე!

შენ თავს დაესხი, მე ვიგერიებ.

ვალენტინი

მოიგერიე, მაშ, ეს დარტყმა!

მეფისტოფელი

რატომაც არა!

ვალენტინი

ამასაც მოჭრი?

მეფისტოფელი

უსიკვდილოდ.

ვალენტინი

ეშმაკი გფარავს!

ანაც ეშმაკი თვითონვე ხარ, წამერთვა მკლავი!

მეფისტოფელი

მოდ, აძგერე!

ვალენტინი, ძირს ეცემა

ვაი დედა!



მეფისტოფელი

მიდრიკა თავი.
დროზე ნავიდეთ, სანამ ვინმე გამოვარდნილა,
განგაშს ატეხენ, ვერ გავალწევთ მერე ადვილად.
პოლიციისა მე ვიცი და გავსილმა ქისამ,
მაგრამ სამთავროს დიდ ბეჭედთან ვერაფერს ვიზამ.
(გადიან.)

მარტა, სარკმლიდან

გამოდით, ხალხო!

გრეტხენი, სარკმლიდან

ჩირაღდნები!

მარტა

გამოჭრეს ყელი!
კაცს კლავენ, ხალხო, შველა გვინდა, არ დაახანოთ!

ხალხი

აქ ვილაც გდია!

მარტა, სახლიდან გამოდის

მკვლელი ნახეთ! რა იქნა მკვლელი?

გრეტხენი, სახლიდან გამოდის

ვინ გდია?

ხალხი

შვილი დედაშენის!

გრეტხენი

ლმერთო მაღალო!

ვალენტინი

მორჩა, მივდივარ, აღსრულდა ნება!
ადვილად ითქმის, ადვილვე ხდება.





აბა, ქალეზო, შეწყდეს ქოთქოთი,
მისმინეთ ყველამ, აქეთ მოგროვდით!
(ყველანი გარს შემოეხვევიან.)
ხარ, ჩემო გრეტხენ, ჯერ ისევ ბავშვი,
დახტი და ჭკუა არ გიდევს თავში,
ჰოდა, საქმესაც უძღვევი ცუდად.
თუ კახზა გახდი, ნურც ნულარ კენესი,
იცხოვრე შენი კახპური წესით,
ყველა ხელობას მიყოლა უნდა.

გრეტხენი

ძმაო! ვაიმე! რას ამბობს, ლმერთო!

ვალენტინი

ლმერთს დაეხსენი, შორს დაგრჩა ერთობ!
რაც მოხდა, მოხდა, რაღას ვუშველით,
იყავ მშვიდი და ნირშეუშვლი,
ერთი ნაგივა, მეორე მოვა,
დაგედებიან გროვად და გროვად,
რიგში ჩადგება მთელი ქალაქი,
გადაგივლიან ალაც-მალაცით.

თავიდან ცოდვა ბნელდაბნულ დადის,
შემოიბურავს ღამეულ რიდეს,
აქვს უთვალავი ხრიკი და ხლათი,
კლავენ, არ კვდება, ბლენძდება კიდევ.
უკვე არაფრის არა რცხვენია,
ამაზრზენია სახება მისი,
მაგრამ რაც უფრო ამაზრზენია,
უფრო თამამად გამოდის მზისით.

ის, რასაც ვხედავ, ახდება ხვალევი,
ყველა სიკეთეს განეშორები,
კეთროვანივით შეაკერთობ გამელებს,
არ გაგიჩვენ შენი სწორები.
ვერც საკურთხეველს გაეკარები,
დაგეხურება საყდრის კარები.
ვერ მოირთვენი ოქროს ძენკვებით,
ლანდი გახდები, ჩრდილი მალული,
ცეკვა-თამაშებს ველარ შეჰყვები
კოხტად საყელომომაქმანული.
საპყარ-გლახებთან დაიდებ ბინას,
ამოითვრება შენი მშვენება.




კიდევ შეგენდოს მაღალთა შინა,
სანამ იცოცხლებ, გდევს შეჩვენება!

მარტა

კედები, ცოდვილო! სინანულს მოდი!
სულს ნუ იმძიმებ ახალი ცოდვით!

ვალენტინი

შე მაჭანკალო, შენც გიდევეს წილი,
ხმას როგორ იღებ მაგის ჩამდენი!
გადაგითქვიფო ძველი და რბილი,
შემენდობოდა ცოდვა რამდენი!



გრეტხენი

ვაიმე, ძმაო...

ვალენტინი

მადროვე ცოტაც.
შენყვიტე ცრემლის ეგ ნიაღვარი!
როდესაც ურცხვად მინებდი ცოდვას,
მეც მაშინ მომკალ, ჩამეც ლაზვარი...
მორჩა, ეს იყო ცხოვრება ჩვენი!
მივდივარ, როგორც ჯარისკაცს შვენის.
(კვდება.)

ტაძარი

ღვთისმსახურება, ორგანი, საგალობელი.

გრეტხენი მლოცველთა შორის. მის უკან ბოროტი სული.

ბოროტი სული

სხვა იყავ, გრეტხენ,
სუფთა, აუმღვრეველი,
როცა, ჯერ ისევ უმანკო,
მოდოდი აქ, საკურთხეველთან,
დაფურცლულ ლოცვანს გადაშლიდი,
ლოცვებს იდუდუნებდი,
და გული შენი ცალკერძ ღმერთით,
ცალკერძ ბავშვური თამაშებით ჩქროლავდა!



გრეტხენ!
 ახლა სად გიდევეს გული?
 რა ცოდვას,
 რა სიავეს იზრახავ?
 თუ ლოცულობ დედის სულისათვის,
 ხანგრძლივი სატანჯველი რომ განემზადა
 შენი წყალობით?
 შენს ზღურბლთან ვისი სისხლი ანთხევია?
 რა იძრა,
 რა ფაჩუნებს შენს წიაღში,
 ძრწოლით სავსე, ძრწოლით ამავსებელი?

გრეტხენი

ვაიმე, ვაიმე!
 როგორ გავერიდო
 ამ შავ-ბნელ ფიქრებს,
 ჩემდაუნებურად
 თავში რომ დაფუთფუტებენ!

ქორო

Dies irae, dies illa
 Solvet saeculum in favilla!
 (ორგანის ხმა.)

ბოროტი სული

ვხედავ —
 რისხვის დღე მოინია!
 ცემენ საყვირები!
 საფლავები განხმულან!
 და შენი გული,
 ფერფლიდან აღმდგარი,
 საუკუნო ცეცხლისკენ მიიზიდება!

გრეტხენი

ნეტავი აქედან გადამკარგა!
 საგალობლები გულს მიფლეთენ!
 ორგანის ხმაზე
 სისხლი მეყინება!

ქორო

Judex ergo cum sedebit,

Quidquid latet adparebit,
Nil inultum remanebit.

გრეტხენი

სუნთქვა მიჭირს!
კედლები მხუთავენ!
თალები მძიმედ მანვებიან!
ჰაერი! ჰაერი!

ბოროტი სული

დაიმალე!
ცოდვა და ბრალი არ დაიმალება!
სინათლე? ჰაერი?
ვაი შენდა!

ქორო

Quid sum miser tunc dicturus?
Quem patronum rogaturus?
Cum vix justus sit securus.

ბოროტი სული

პირს გარიდებენ
წმინდანები!
ზარავთ ნათლიერთ,
ხელი გამოგიწოდონ!
ვაი შენდა!

ქორო

Quid sum miser tunc dicturus?

გრეტხენი

მეზობელო! თქვენი ფლაკონი!
(ძირს გულწასული ეცემა.)



პუბლიკაციის გასაფორმებლად
გამოყენებულია ევენ დელაკრუას
ნახატები: „ფაუსტისა და
ვალენტინის დული“ და „გრეტხენი
ტაძარში“

გერმანულიდან თარგმნა დავით წერედიანმა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მწერლის ლაბორატორია

ზაზა აბზიანიძე

ლეონიძისაშული საგანაშური



„გამომცემლობა „ნაკადულის“ ერთ-ერთ საგამომცემლო სერიაში („ბიბლიოთეკა ბავშვისათვის“) 2008 წელს გამოვიდა გიორგი ლეონიძის ერთტომეული „ნატურის ხე“, რომელშიც XX საუკუნის ქართული ლიტერატურის კლასიკოსის პოეზია და პროზაა წარმოდგენილი“. რაღაც ამგვარი სტანდარტული ინფორმაცია უთუოდ გამოჩნდებოდა შარშანდელი ჩვენი პრესის ფურცლებზე.

სწორედ ამ გამოცემაზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება. მაგრამ, ამჯერად, კიდევ იმიტომაც, რომ გიორგი ლეონიძის ლირიკული პროზის დანარჩენ გამოცემათაგან განსხვავებით, ამ „ნატურის ხეს“ თან ერთვის ჩინებული ლექსიკონი, რომელიც, პრაქტიკულად, მთელი ლეონიძისეული პროზის ეგზოპოლიტიკური მეტყველების სიმფონიას წარმოადგენს. შემდგენელი ამ სიმფონია-ლექსიკონისა გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქნი ელენე კოშორიძე.

ჟღერს მანერის ფაქიზი წვდომით გამოჩენილი ეს ლექსიკონი, სრულიად ბუნებრივად მიგვაბრუნებს ჯერ თვით ამ შედეგთან გასული საუკუნის ქართული პროზისა, მერე კი იმ იშვიათ ფენომენთან, რომელსაც „გიორგი ლეონიძის ლექსიკა“ ჰქვია და რომელსაც დღეს საუკუნეთა ქარტახილში გამოტარებულ და სასწაულებრივად გადარჩენილ საგანძურად აღვიქვამთ.

სამოციანი წლების დამდეგს, როდესაც „ნატურის ხის“ ნოველების გამოქვეყნება დაიწყო, ქართველმა მკითხველმა თავიდან აღმოაჩინა XX საუკუნის დასაწყისის გარეკახეთი, პატარა, მამით დაობლებული ბიჭოვოგის თვალთ დანახული.

„ნატურის ხეში“ განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოაჩინა, რამდენი რამ იყო გამოძერწილი გიორგი ლეონიძეში სწორედ იმ წლებით, მისი პატარაძეულით, ახალსოფელით, სადაც იგი მამიდან წაიყვანა სასწავლებლად, იმ ადამიანებით, იმ ურთიერთობებით – იმ სისათუთითაც და იმ სუსხითაც, რომელსაც აგრძნობინებს ხოლმე ცხოვრება მამით დაობლებულ პატარა ბიჭს.

როდესაც გიორგი ლეონიძის ბავშვობის წლებზე გვინდა შევიქმნათ წარმოდგენა, ალბათ, უმჯობესია, მისსავე მოგონებებს მივუბრუნდეთ. აი, ერთი ამონაწერი მისი „ავტობიოგრაფიიდან“:

„დავბადა გარე-კახეთში (დაზუსტებული მონაცემებით, გიორგი ლეონიძე 1897 წლის 27 დეკემბერს დაიბადა. – ზ. ა.), ჩემი საშობლო სოფელი პატარძელი, მართლაც, ივრის ხეობის თვალა: მაღალი მდებარეობა, საღი ჰავა, მშვენიერი წყაროები, განთქმულია მისი გემრიელი პური.

...ორი სიტყვა ჩემი გვარისათვის: ჩვენ, ლეონიძეები, მოსულელები ვართ პატარძელში და არა მკვიდრნი. ჩვენ, როგორც ყველა ლეონიძე, ვართ



შავშეთიდან, განთქმულ ტბეთის ტაძართან ახლოს, 5-6 კილომეტრის მანძილზე.

მამაჩემი ნიკოლოზ სიმონის ძე ლეონიძე (1864-1901) მე არ მასხოვს, რადგან წლინაზვერის დავობლებულვარ. მე დედაჩემის, სოფიო ნიკოლოზის ასულ გულისაშვილის (1864-1936), კალთაში აღვიზარდე.

...მამაჩემი დიდი პოეტური ბუნების მქონე ადამიანი ყოფილა და მწერლობის დიდი მოტრფიალე. იგი სწავლობდა გორის საოსტატო სემინარიაში ვაჟასთან, ბაჩანასთან ერთად. სოფრომ მკალობლიშვილი და შიო მღვიმელი თავის მოვონებებში ასხენებენ მას, როგორც ვაჟას დიდ მეგობარს – ერთად კითხულობდნენ, ერთად თევზაობდნენ, ერთად კრივობდნენო.

...მამაჩემი „აკაკის წრის“ წევრი ყოფილა გორში. 1886-1887 წლებში დაასრულა გორის სამასწავლებლო სემინარია და ხალხოსანთა ასპარეზზე დაიწყო მოღვაწეობა. ის ჯერ მთიულეთში მასწავლებლობდა (სოფელი ლუდა) მერე – ქვემო ჭალაში (ქართლი), შემდეგ – თავის პატარძელში. გაზეთი „ივერია“ მას აღნიშნავს, როგორც საუკეთესო მამულიშვილ მასწავლებელს, რომელიც ხშირად თავის ხარჯზე აჭმევდა მოწაფეობას, მონაწილეობდა წარმოდგენებში სოფლად. იგივე „ივერია“ მას „ჩინებულ“ ამსრულებელს ეძახის. მაგრამ მთავარი მისი სიყვარული იყო ქართული მწერლობა. ნიკო ლეონიძემ თვითონაც სცადა კალამი ბელეტრისტიკაში; როგორც ყურნალ „თეატრის“ ფოსტა გადმოგვცემს, მასზე იმედებს ამყარებდნენ... ნიკო ლეონიძე ჯერ ისევ ახალგაზრდა, 39 წლისა, გარდაიცვალა პატარძელში, სადაც მარხია.

...ოჯახის გაძლიერა დედამ ითავა და შაკაკოსანმა იმდენი მოიმეცადინა, რომ ხუთივე შვილი აღგზარდა (დედაჩემზე მაქვს დაწერილი – „პოეტის დედა“, „პატარა ქეო პატარძელში“, „ფორთოხალა“).

დედაჩემის კეთილი ხასიათი დღესაც განთქმულია მთელს გარე-კახეთში და ყოველთვის მაგალითად მოჰყავთ. საოცარი პურადი დიასახლისი იყო. პირველი ლექსი, რაც მან დამასწავლა, იყო:

„ნეტაეი ჩემი სასახლე მალა მთასზედა ამეგო,
გამელელ და გამომვლელისთვის ყოველდღე კარი გამელო,
რაც მეშოვა და მეპოვა, სულ ღარიბებზე გადმეგო“.

საოცრად უყვარდა ბუნება და ბევრი რამ აუხსნია ჩემთვის ბუნების ცხოვრებიდან.

...ნინოწმინდის დეკანოზის ასული – დედაჩემი – შინგაზრდილი ქალი იყო. სკოლაში არ მიეცათ, მაგრამ საიდან ჰქონდა ამდენი ცოდნა, მაგალითად, მშობლიურ ლიტერატურისა, დღესაც არ ვიცი. პირველად მან ჩამინერგა სიყვარული ჩვენი მწერლობისა და ჩვენი ისტორიისა. როდესაც იგი და მისი და მაიკო მოჰყვებოდნენ ერეკლეს ამბებს, მარიამ დედოფლის და ბაგრატიონების გადასახლებას რუსეთში, მე დიდხანს მეგონა, რომ ისინი ჩვენი ნათესავები იყვნენ. ისე მღელვარებით გადმოგვცემდნენ მათს ამბებს. არც მამიდები იყვნენ დაშორებულნი მწერლობის ინტერესებს: უფროსი, მარიამი, ილია ჭავჭავაძის ოჯახში დადიოდა ხშირად, როგორც ოღლა ჭავჭავაძის მამის, თადეოზის, ნათლული; უმცროსი, ტასო, გატაცებული იყო დიდტანიანი მოთხრობების წერით. საერთოდ, ჩვენს ოჯახში ლიტერ-





ატურის სიყვარულის ტრადიციები საკმაოდ იყო განმტკიცებული“ (გიორგი ლეონიძე 2001: 118-120).

გიორგი ლეონიძის ლექსებიდან და კიდევ უფრო მისი „ნატერის ხიდან“ კარგად ჩანს, რა იშვიათი უცხოშობლით გრძნობდა იგი კახური სოფლის კოლორიტს – პეიზაჟის, ხასიათების, ურთიერთობების განუმეორებელ დეტალებში გაბნეულს.

არის ნაწარმოებები, რომელთა სიუჟეტური ქარგა უკვე თავისთავად მოიცავს რაღაც ინტრიგას: სიტუაციები მოულოდნელ სიურპრიზებს გვპირდებიან და პერსონაჟები კი – უეცარ ფერისცვალებას. ამ მოლოდინით ატაცებულნი, ჩვენც წრფელი ინტერესით მივყვებით მონათხრობს; შემდეგ, როდესაც ჩვენს ცნობისწაღილი უკვე დაკმაყოფილებულია, ვხურავთ წიგნს და, როგორც წესი, აღარც ვუბრუნდებით მას...

„ნატერის ხეში“ ყველაფერი პირიქითაა: ხასიათები უკვე გამოძერწილია, ურთიერთობანი – საუკუნეობით დადგენილი, კონფლიქტები – ისევ და ისევ ამ, ტრადიციული გარეკახური სოფლის ჩარჩოს არგაცდენილი... მაგრამ – რა ხასიათები?! რა ურთიერთობები?! რა კონფლიქტები?! და, აქვე დავამატებ – რა ენა და რა იუმორი!

არ შემიძლია აქვე ერთი-ერთი პატარა ილუსტრაცია არ მოვიხზო. ამასთანავე, სრულიად გამიზნულად, არ ვიხსენებ „ნატერის ხის“ ქრესტომათიულად ცნობილ პორტრეტებს (მათ პოპულარობას, გულწრფელნი თუ ვიქტორიანი, თენგიზ აბულაძის კინოფილმმაც შეუწყო ხელი). ისეთ ჩანახატს შეგახსენებთ, მრავლად რომაა გაბნეული გიორგი ლეონიძის ამ არაჩვეულებრივ ავტობიოგრაფიულ წიგნში და „ნატერის ხის“ გაუნელებელ ხიბლს რომ განაპირობებს.

„ღვინჯუდანა“ ეს პორტრეტი, სტუმართა ჩამონათვალშია „სასხვათა-შორისოდ“ ჩახატული:

„ტყავის ფეშტემაღაფარებული ელამი კალატოზი ყიჭალა, სულ მივრალი! კედელს რომ ამოიყვანდა, უეცრივ ზემოდან ჩამოსამახებდა: „მეკცათო!“ და მართლაც ნავაგლახევი კედელი ან პირდაპირ წამოვიდოდა, ან გვერდზე გადმოინგროდა.

სოფელი მაინც მაღლიერი იყო ყიჭალასი: – სხვა არც მაგ სიკეთეს გვიზამდაო!“ (ლეონიძე 1962: 129).

ყიჭალას გახსენებაზე – საგანგებო გამოკვლევა შეიძლება დაწეროს „ნატერის ხის“ სახელთა პოეტიკაზე (პირველი ნაბიჯი, „ნატერის ხის“ დიქსიკონის შექმნა, როგორც მოგახსენეთ, უკვე გადადგმულია). მაგრამ, მოდი, ვერ ნუ დავტოვებთ ღვინჯუს პურმარილიან სახლში გამართულ ნათლობას და მისი სტუმრების ჩამოთვლას მივყევით. ყიჭალა უკვე ვახსენეთ. ახლა დანარჩენები?

თავად გოგლა (რაღაც „თავისით ჩაჯდა“ აქ გიორგი ლეონიძის მოფერებითი სახელი და აღარ გადაეკარგებ) ასე იწყებს თავის „მემორიალურ ნუსხას“:

„ვინდა არ იყო წვეული? ვინ არ გინდა, ისიც სულ გასახლებული ხალხი, ნათლობის სახელი თითონ რომ აღარ ახსოვდათ!“ (ლეონიძე 1962: 129).



აი, მერე იწყება ჩამოთვლა, თუ უფრო ზუსტი ვიქნები – ჩამოთვლა-დახასიათება. და კიდევ ერთი დაზუსტება, სწორედ სახელთა პოტიკასთან დაკავშირებით: ის, ავტორისეული, სხარტი, სახასიათო მონასში (სულ ორიოდღე შტრინხით რომ წარმოვევისახავს „სუფრის წვერის“ პორტრეტს), უმეტეს შემთხვევაში ასრულებს ან აგრძელებს იმ „პირველად დახასიათებას“, რაც უკვე აკუმულირებულია მეტსახელის მეტაფორაში. აბა დააკვირდით: ჩამონათვალი ყველაზე პატივსაცემი სახელებით იწყება: დეკაჟი, ფოლადგულა, ნათლია მგლეხარი... შემდგომ ამისა, ერთგვარი „სიჭკრელე“ (იმ სოციუმისავე კრიტიკიუმებით, ცხადია) – „მუშტრის ავთვალდაკრული მუწვირლმანე ჩანჩუხა“; „სოფლის დალაქი, თავებრა, მიკვირია კაცი...“; „თავანკარა კაცი, – გუთნიდედა თარიმანი“; „ტროფია – მეტყვეურე, – ანუ ტყის მცველი, გაურანდავი კაცი, თვალზუჭია...“; „მეშუშე კლიკო, – შემპარავი, ავის მდომი...“; „ენამძინარი, დეჭია მეველე – ყრუჩა...“; „თოხიტარა – ნალევა კაცი, უდღურა, უფრთიანო, უვარსკვლაო!...“; „ლობემძვარა, ასკიკილა, წიარუა, – ნაცარწაყრილი, გაბათილებული ცალკე სიღარიბისა, ცალკე ამარი ცოლისაგან“; „მეღორ-ხბოვე – ცხვირგატეხილი ბაჭყურა“; „უენო, უტყვი კოსინე – ძემვის მჭრელი...“

„და განა ვინგინდავინ ან ყველავენიმე? – განავრობს ავტორი, – არა, სულ ნარჩევი, დარბაისელი ხალხი! – რუმბია, ყლარტია, ბოტი, ბანჯურა, ლაჩინა, ხლართია, ზაქუტა, ოდოჭა, ფუმფლა, ყლინწო, ქეიშრაფა, ლინტალა, ბატატა, ხიწვა, ყბაღია, ტარაკუჭა, ლოპო, წვერიკაზმია, ლიტრიძირი!“ (ლეონიძე 1962: 131).

მეტსახელთა ამ მარგალიტებიდან ერთიც რომ არ იყოს საკუთრივ ლეონიძისეული, ქართული მკითხველი მაინც სამარადჟამო მოვალე იქნებოდა გოგლასი ამ იშვიათი განმის შემონახვისათვის.

აქვე უნდა თქვას, რომ ეს სიტყვით ტეობა, გნებათ – თრობა, გიორგი ლეონიძეს მხოლოდ როგორც მხატვარს როდი ახასიათებდა; ეს იყო მთელი მისი ცხოვრების გატაცებისა და ინტერესის საგანი და ამის საუკეთესო დასტური გახლავთ მისივე ძიებანი ონომასტიკის, ტოპონიმიკისა და, საზოგადოდ, ლექსიკოლოგიის სფეროში „ნამცკრევის“ პოეტური სახელით გაერთიანებული (იხ. გიორგი ლეონიძე „ნამცკრევი“, თბ., გამზა „ინტელექტი“, 2000 წ.).

ნიშანდობლივია ამ წერილთაგან ერთ-ერთის, „ქართული სახელების“ დასაწყისი: „უპირველესად, რამ გამაბედინა, რამ მაიძულა მეზრუნა ამ საქმისათვის, – ე.ი. მეჩხრიკა, მეძებნა, მეთვალყურებანი, ამესახა, ამეკრიფა ის „ქართული სახელები“, ქართული „სახელწოდებანი“, რომლებიც შექმნა, წარმოაჩინა ჩვენმა სინამდვილემ, ჩვენმა ისტორიამ, ჩვენმა ცხოვრებამ, სახელები, რომელთაც ატარებდნენ ჩვენი წინაპრები და რომელნიც, დღეს შეიძლება ატაროს ქართველმა, ნაცვლად იმ უმართებულო, უშკერი, უჯგრო და საჩითირო სახელებისა, რომელნიც ასე უზრუნველად და უცნაურად ვრცელდება ჩვენში“ (ლეონიძე 2000ა: 820).

აღბათ, ამიტომაც, რომ სულხან-საბასაძე მიძღვნილი ლეონიძისეული ლექსის ერთი სტროფი ყოველთვის გვიტოვებს მორე აღრესატის შეგრძნებას და, ვგონებ, მე არა ვარ ის ერთადერთი მკითხველი, ვინც საბასაძისეული ფიგურის ზურგსუკან თავად ავტორს ხედავს:





.....
 და როს ღრუბელი გულს გიბნელებდა,
 სამშობლოს ცაზე გამოხლართული,
 შენ სამკურნალო ბალახებივით
 მოგიკრეფვია სიტყვა ქართული...
 (ლეონიძე 2000: 165)

„ნატურის ხის“ პორტრეტების გალერეა ადამიანური ხასიათების სრულ დიაპაზონს მოიცავს – შესაძლოა, ეს იდეა არც იღო ავტობიოგრაფიული ნოველების თავდაპირველ ჩანაფიქრში, მაგრამ ხასიათების ამ მრავალფეროვნებამ და სიმდიდრემ ერთი გარეკახური სოფელი „მთელი დუნის“, მთელი უკიდევანო ქვეყნიერების პატარა მოდელად წარმოსახა – თავისი ბრძენებითა და შერეკილებით, თავისი ტრადიციის ბურჯებითა და ანარქისტებით, თავისი ცას მიჩერებული იდეალისტებითა და მიწას ჩაბლაუჭებული რეალისტებით...

მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ხედია „ნატურის ხის“ კენწეროდან გაშლილი თვალსაწიერისა და, ვგონებ, არცთუ მთავარი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ლეონიძისეული სოფელი, მაინც თვითკმარი ცხოვრებით ცხოვრობს, თავისი ფასეულობებით, თავისი ადრითი, თავისი დღესასწაულებითა და დრამებით... ერთი წელმაგარანი არიან, მორენი შეჭორვებულნი, მაგრამ არც ერთ მათგანს სხვაგან ცხოვრება არ წარმოუდგენია – სამყარო მათთვის ამ სოფლის შემოგარენითაა შემოსაზღვრული...

ერთი ნოველა „ნატურის ხეში“ მოვითხრობს ამ საუკუნეობით შექმნილი ერთობლიობიდან ამოვარდნილი „უძღები შვილის“ ისტორიას:

„ორმოც წელიწადზე მეტი იყო სოფლიდან თბილისში შეეტლვლე გაქცეული იაგორა და ერთხელაც არ გასხენებია სოფელი“ (ლეონიძე 1962: 50). ასე იწყება „მეტლვლე იაგორა“ – ერთ-ერთი ყველაზე სევდიანი ამბავი „ნატურის ხეში“ მონათხრობთაგან.

დაუბრუნდა გაციებულ მამისეულ კერას ქალაქის „უცხო მშენებებს“ დახარბებული „უძღები შვილი“. მაგრამ, ვაი რომ, გვიანი აღმოჩნდა ეს დაბრუნება – იმიტომაც, რომ ვლესური გარჯის გემოც დაკარგა და უნარიც, მაგრამ, კიდევ უფრო იმიტომ, რომ რაღაც უცხო სენი, რაღაც ცდუნება ერთთავად ღრღინის მის სულს, არ ასვენებს, ძილს უფრთხობს, აფორიაქებს, ბოლოს კი – სიცოცხლეს გამოასალმებს:

„– ახ, ვერა ვძღლებ უქალაქოდ, იქაურ სინათლეს ვენაცვალე! კაციც ის არის, ვინც ქვაფენილი გამოივინა! ვერა, ვერ ვიტან აქაურ ტალახს, აქაურ სინელეს! ქათმებთან ერთად როგორ დავიძინო? მარტო ვარ... მომწყინდა... შინ რა მინდა... თუ არა და ციხეში წავალ, იქ ხალხში მაინც ვილაპარაკებ...“ (ლეონიძე 1962: 52).

ჩვენი ციხეები დღემდე სავეა ასეთი „იაგორებით“. თუ აქ ვიტყვი, რომ „ნატურის ხის“ ჩრდილქვეშ მოთხრობილმა პატარა ამბავმა, ჩვენი ქვეყნისათვის XX საუკუნეში ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემა ასახა და ათასობით ადამიანის ხილული თუ უხლავი დრამის სათავეები დაგვანახა, – ალბათ, ზეაწეულად იელერებს. მაგრამ, ეს მართლა ასე!

„ნატურის ხე“ წარსულის აჩრდილების მოხმობაა. გარდასულნი აქ რიგრიგობით გამოიკვეთებიან ხსოვნის ბურუსიდან, რათა თავიანთი უბირი



და ტანჯული ცხოვრება ვაითამაშონ, – წერდა თამაზ ბიბილური, – ჩივისკაბიანები, თავშალიანები, ფარაჯიანები, ტყაპუჭუბიანნი, ქალაქნიანნი, უცნაურად რომ გაპარულან, უნანებლად რომ დაუტოვებიათ აკენი და ჯარა, ბოსტანი და თონე, ვენახი და მინდორი, დამიწებულები, უღმერთო ჯავით დასწრეტილები... ჩვენ უნდა ყველა მათგანის ცხოვრება თავიდან ბოლომდე ენახოთ, უფრო სწორად კი – მიმწეხრი, შემოდგომა მათი ცხოვრებისა...” (გიორგი ლეონიძე 2001: 393).

ისე მგონია, თამაზ ბიბილური, როგორც ძალზე ფაქიზი პროზაიკოსი, გუშანით ჩახვდა გიორგი ლეონიძის ლირიკული პროზის „სტიქიურ ისტორიებს“.

მისი პოეზიის ისტორიზმს რომ ჩაუტყვირდეთ – მკაფიოდ გამოკვეთილი კონცეფციითა და „პანთეონით“, სადაც ისტორიულ მოვლენათა და პიროვნებათა შეფასებისას (საკმარისია თუნდაც გიორგი სააკაძის ლეონიძისეული შეფასების ევოლუციას მივადევნოთ თვალის), ჩვენ არა მხოლოდ გმირად ვიწინასწარმეტყველებთ მებრძობს, არამედ ამ წარსულის მკვლევარსაც ვხვდებით, რომელსაც, დროთა განმავლობაში, ესა თუ ის თავისი მიმართება შეუძლია შეცვალოს კიდევ და აღიარებულ ისტორიულ სტერეოტიპებსაც დაუპირისპირდეს... მაგრამ, ყოველივე ამის მიღმა – იმ, ზეატაკებულ პათოსშიც და „ქართლის ცხოვრების“ თვალზეგაფართოებულ მკითხველშიც, ხედავთ სწორედ იმ „სულის მარგებელი საღამოებით“ ნაზარდ ყმაწვილს, რომელსაც, დედის მონათხრობით გულდათუთქულს, რუსეთის ადგილმჩენილი ბაგრატიონები სისხლით ნათესავები ჰქონია...

სამშობლოს ისტორიული ბედუკუღმართობის მძაფრი განცდა გიორგი ლეონიძის პოეტურ სტრიქონებს თვითმზილველის დამაჯერებლობას აძლევდა. როდესაც მის პროზაზე ვლაპარაკობთ, აქ ისევ და ისევ „ნატურის ხის“ ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილი პერსონაჟი, სოფლის ბავშვების მოძღვარი, ჩორეხი გვახსენდება: „სამშობლოს ბედით მუდამ მჭმუნვარე, ჭირნანახი, სევდით გულდაღამებული, მხოლოდ წარსულის ტრფიალი...“; ის ჩორეხი – „წარსულით რომ სუნთქავდა“, რომელსაც „ქართლის ჭირი“ ღრღნიდა, ვითარც მოურჩენელი სენი და რომელიც „თვალნათლივ ხედავდა საქართველოს ჭრილობებს“ („ჩორეხი“). აი, კიდევ ერთი თემა ლეონიძის შემოქმედების მომავალ მკვლევართათვის – ავტორისა და მისი პერსონაჟების სულიერი ნათესაობის კვლევა...

მაგრამ, ამჯერად, გიორგი ლეონიძის ლირიკული პროზის სტილიონსა და ლექსიკის მკვლევარს, ქ-ნ ელენე კოშორიძეს მინდა მიუბრუნდე, რომელმაც აკინძა და გამოამზურა ლეონიძისეული მარგალიტები... მან ცალკე შეისწავლა და განმარტა „ნატურის ხის“ ტოპონიმები, ცალკე – ლეონიძისეული სიტყვათქმანდობის ხელოვნება, აღწერა თითოეული ლეონიძისეული სიტყვის სემანტიკური დიაპაზონი („ნატურის ხის“ კონკრეტული კონტექსტის ჩათვლით), მათი „გეოგრაფია“ და ეტიმოლოგია. მაგალითისათვის: „საწუთროს ჯამი, – განმარტავს ელენე კოშორიძე, – ქვეყნიერების მარჯვენაგანი ჯამია, რომელშიც შეიძლება შეიდი ცის დანახვა, მთელი სამყაროს ხილვა. ტექსტი ასეთია: „როგორც გასახელებულ კაცს შეეფერება, ერთი საწუთროს ჯამში არ ჩაუხვდია, თორემ სხვა ყველაფერი იცოდა“





(„მეეტლე იაგორა“). ეს შესიტყვება დადასტურებულია ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში: „საწუთროს ჯაში ჩაგხედე, სოფელი დაეინახე“.

შესიტყვება „საწუთროს ჯაში“ ფართოდ ყოფილა გავრცელებული აღმოსავლეთის ქვეყნებში... არსებობს ირანის მითოლოგიური მეფის – ჯიმშედის ჯაში, სოლეიმანის ფიალა ან სარკე, რომელშიც მოჩანს მთელი სამყაროს ავი და კარგი. სუფიური გაგებით, „ქვეყნის მანვენებული ჯაში სატრფოს გულია, რომელშიც მოჩანს აშკარაც და ფარულიც“ (ლეონიძე 2008: 529).

ეს ეტიმოლოგიური წიაღსვლები იმდენად საინტერესოა, იმდენად ბუნებრივად ერწყმის და ავსებს ავტორისეულ ტექსტს, რომ ისღა დამჩნენია, „ნატურის ზის“ ახალგაზრდა მკითხველებს (რომლებზეც ვათვლილია „ნაკადულის“ ეს გამოცემა), ვურჩიო ისეთივე დაკვირვებით წაიკითხონ „ნატურის ზის“ ლექსიკონი და კომენტარები, როგორც საკუთრივ ლეონიძისეული ნოველები, რათა შემდეგ, „აზამბარის“ თუ „საწუთროს ჯამის“ ხსენებისას, კიდევ ერთხელ იგრძნონ გარდასულ დროთა სურნელი და ხიბლი.

დამოწმებანი:

ლეონიძე 2000: გიორგი ლეონიძე, „საქართველოს ცრემლები“, ლექსები, შედგენილი ნესტან ლეონიძის მიერ. თბ., 2000 წ.

ლეონიძე 2001: საიუბილეო კრებული „გიორგი ლეონიძე“ (შემდგენელი თამარ ბარბაქაძე). თბ., „საარი“, 2001 წ.

ლეონიძე 1962: გიორგი ლეონიძე, „ნატურის ხე“. თბ., „ნაკადული“, 1962 წ.

ლეონიძე 2000ა: გიორგი ლეონიძე, ერთტომეული, (შემდგენელი იზა ორჯონიკიძე, გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა, თბ., 2000 წ.

ლეონიძე 2008: გიორგი ლეონიძე, „ნატურის ხე“ (პოეზია, პროზა), ელ. კომპიუტერული კომენტარებისა და ლექსიკონის თანდართვით. თბ., „ნაკადული“, 2008 წ.



„ადრე ნასული კაცის ფიქრები“

ემზარ კვიციანი

ცაზი ღამწარი შრთაზი

(რატო (ტატო) ნინუას შამომამეღბითი ჰორტრამი)



შვილის სიკვდილზე უფრო დიდი და მოუნებელი ტკივილი არ არსებობს. უთუოდ ეს თავზარდამცემი, განუზომელი ტრაგედია დაელო საფუძვლად ბერძნების უღამაზეს და ამდენადვე სვედიან მითს იკაროსზე, უკიდევანო ცისკენ მიმსწრავ მორცნებე ჭაბუკზე, ვისაც, ლაჟვარდებში აჭრილს, გაჯარვარებულმა მზემ სანთლის ფრთები დაუნდო, დაუწვა და თვალშეუდგამი სიმაღლიდან დაქნებული მეტეორივით მოწყვეტილი, ზღვის წიაღში დაინთქა.

მაღე ოცი წელი შესრულდება ჩემი შვილის კატასტროფიდან და მწუხარება დღემდე არ გამწვლვბია. მთელი წიგნი ვუძღვენი მის ხსოვნას („იკაროსის დაღუპვა“), მაგრამ ამან არავითარი შუება არ მაგრძობინა. უნივერსიტეტში სწავლის დროს, თავის მოკვლამდე რამდენიმე წლით ადრე, დაწერა ჩემმა ბიჭმა, საქართველო პირამქმული უფსკრულის პირად იმყოფებო და მაშინ ეს მის ყმაწვილოვ აგზნებას დავაბრალე, რას ვიფიქრებდი, თუ ამდენი საშინელებანი გველოდა.

მუღმეგმა დამაბულობამ, ირგვლივ გამეფებულმა მარცვა-გლეჯვამ, იმეღების გაცრეკვამ ნერვები დაუფლითა მთელ თაობებს; ბეერმა თავი მოიკლა, უფრო მეტი ნარკომანიის შეეწირა და ეწირება, ათასობით საუკუეუსო ახალგაზრდა კი ვერაგულად თავსმოხვეულ, ეთნოკონფლიქტებით შენიღბულ აფხაზეთის ომს ემსხვერპლა. მანამდე კი 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ, რომელიც არაფრად არ სჭირდებოდა საქართველოს (საბჭოთა კავშირი უჩვენოდაც ინვრე-ოდა), მძიმე დღედი დაასვა ჩვენს სამშობლოს, წონასწორობა, სწორი გეზი დააკარგვინა. მაღე ჭეშმარიტად აპოკალიფსური სურათების მხიღველნი გავხდით.

გუშინდელივით მახსოვს 2000 წლის მაისის ის ავადმოსაგონარი დღე, როდესაც მთელ თბიღლისს საშინელი ამბავი მოეღო, უნივერსიტეტის აუღიტორიაში ახალგაზრდა პოეტმა თავი მოიკლაო. სახელიც ახსენეს – რატი ნინუა. მე მას არ ვიცნობდი, მაგრამ თვით ამბავმა შემადრწუნა, სულით ხორცამდე შემძრა, იმ საბედისწერო გასროლამ ყველა ჩვენგანის გული დაკოდა. უმაღ პაოლო იაშვილის ცხოვრების ტრაგიკული ფინალი გამახსენდა, მწერალთა სასახლის მღორე სართულზე სანადირო თოფით რომ მოიკლა თავი (იგივე ტრაგედია მოჰკონებია თამაზ წიფწივაძესაც, ვინაც რატი ნინუას მოხდენილად უწოდა „გალობელი ჩიტი“). იმ ხანებში გავიცანი დალუბულის მამა, რეჟისორი ზურაბ ნინუა (დღემდე არ გაუხდია შავი სამოსი), ვინც თითქმის ყოველდღე დადიოდა მწერალთა კავშირში, რომ ჩვენთან ყოფნითა და ლაპარაკით როგორმე გული მოეოხებინა. არ ვიცოდი ნუგემის რა სიტყვები მომეებნა ამ ცრემლგამშრალი, მკვირვალ ჩადგმული ვაჟკაცის გასამხნეებლად, ვისაც აღწერელი ტანჯვა აღბეჭდვოდა სახეზე. ახლავა ცვდიღობ, ჩემი მამინდელი სინანული რაიმე ფორმით გამოვხატო, თუმცა წინასწარ ვიცი – რატი ნინუას მგლოვიარე მამასა და ჩემს თავსაც წუხიღს ვერაფრით შევეუშუბუქებ. ანკი რა მოგვაკვენებს და დავგაშვმიღვბს, როცა სვედამწარებუღები ცხადად ეხეღეთ – სიძწრით გაზრ-



დიღ ჩვენს სვილებს – საქართველოს მომავალს, ზედიზედ უმოწყალოდ ნთქავს ცხოვრების – ამ ჯოჯოხეთურად დახლართული ლაბირინთის – ჯურღმულში ჩასაფრებული ურჩხულის – მინოტავრის – უძებნი ხახა.

ხშირად მივიქრია – რატი ნინუასა და მისნაირ ნიჭიერ, განათლებულ, კეთილშობილ ჭაბუკებს პაერი არ ეყვით, სუნთქვა გაუხუნლდათ ქაოსისა და განუკითხაობის, ძმათა მკვლელი შეტაკებების საშინელ წლებში, თორემ ბუნების ყველაზე დიდ სასწაულსა და ჯიღიღოზე, სიცოცხლედ რომ ჰქვია, არასგზით არ იტყვიდნენ უარს.

* * *

რატი (ჭატო) ნინუას დაღუპვიდან მეხუთე წლისთავზე გამოვიდა შედარებით მობრდილი, მრავლისმეტყველი კრებული „გაფრინდებით მე და შენ“, რომლის ერთ-ერთი რედაქტორი გიორგი გორთამაშვილი წინასიტყვაობაში გაუსაძლისი დროებისაგან სულშეხუთულ პოეტზე საგანგებოდ წერს: „...იგი თვლიდა, რომ განვითარება, ტექნიკისტური პროგრესი არაფერს მატებდა ადამიანის სულს, პირიქით, აღარბეზდა მას, რადგან ადამიანი მის მიერვე შექმნილ ნივთზე ხდებოდა დამოკიდებული“.

ევროპასა და მთელ მსოფლიოში, კარგა ხანია, ჰუმანიტარულ შემოქმედთა დიდი უმრავლესობა ამავე აზრისაა, რაშიაც არაერთხელ დავრწმუნებულვართ.

წიგნის ნამდვილი მშვენიერებაა რატი ნინუას სადიპლომო ნაშრომი „პაოლო იაშვილისეული თარგმანის სტილისა და თავისებურებათათვის“, რომელიც, თამამად შეიძლება ითქვას, ქართველ სიმბოლისტთა, „ციხფერყანწელთა“ თავკაცის შესანიშნავ ლიტერატურულ პორტრეტს წარმოადგენს და ამჟამად სცილდება სათაურში ნაგულისხმევ, თავისთავად მნიშვნელოვან პრობლემას.

მეოცე საუკუნის დამდეგის ლიტერატურული პროცესების მოკლე მიმოხილვაც ცხადყოფს, როგორ იყო ჩამირული ქართული პოეზია შტამების, ეპიგრამების მორევში და რამდენად აუცილებელი გახდა გამოხატვის საშუალებათა, ფორმათა თვისებრივი, ძირფესვიანი გადახალისება (ეს მოვლენა მთელ მაშინდელ ევროპულ და რუსულ ლიტერატურაში აღინშნებოდა).

„ციხფერყანწელები“ ითვალისწინებდნენ ფრანგული და რუსული სიმბოლიზმის გამოცდილებას, მაგრამ ეროვნულ ტრადიციებზე არასოდეს უთქვამთ უარი და თვითმყოფობას ინარჩუნებდნენ. შეძლებისდაგვარად ერიდებოდნენ მისტიციზმის ბურუსს, ბუნდოვანებას, დამოფრულ ენას. ქართულ სიმბოლიზმს პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის და სხვათა თეორიულმა ნააზრევმა, მანიფესტებმა და წერილებმა მოუწადა ნიავება.

გალაკტიონ ტაბიძე უშუალოდ არ მონაწილეობდა „ციხფერყანწელთა“ გაერთიანებაში, მაგრამ ყველაზე მეტად იგი იყო დავალებული სიმბოლიზმის პოეტიკისაგან, რაც თვალნათლივ და თავისებურად აისახა მისი ლექსების მეორე, გენიალურ კრებულში „არტიტული ყვაილები“.

გარკვეული კომპრომისების გარეშე, ტოტალიტარიზმის იდეოლოგიური წნეხის პირობებში, შემოქმედს გასაქანი არ ეძლეოდა და პაოლო იაშვილიც იძულებული იყო ეპოქისათვის ხარკი ეხადა, მაგრამ სახე ნამდვილად არ დაუკარგავს, თავისთავად არ დაუთმოა. სავესებთ მართალია რატი ნინუა, როდესაც წერს „...ლიტერატურის კრიტიკოსმა ალბათ გვერდი უნდა აუაროს პოეტის მიერ დროის კარნახით დაწერილ რამდენიმე ნაწარმოებს, როდესაც მსჯელობს პაოლო იაშვილის შემოქმედებით ხელწერასა და თავისებურებებზე“.

აქვე დიდი გემოვნებითაა გარჩეული პაოლი იაშვილის ლირიკის მწვერვალი „პოეზია“ და ვალერიან გაფრინდაშვილისადმი მიძღვნილი მისივე მშვენიერი ლექსი, რომელიც სამართლიანად არის მიჩნეული „რომანტიკული პოეზიის ნიმუშად“. „ეროვნულ მოტივებზე შექმნილი ნაწარმოებებიდან“ რატი ნინუა საგანგებოდ გამოაცალკევებს ქართული პროზის დიდოსტატზე, დაეთ კლდია-შვილზე, დაწერილ ორსტროფიან, გრაციოზულ „ოფორტს“, რაც საფუძველს აძლევს იფიქროს, რომ პაოლი იაშვილის სიმბოლიზში არ ყოფილა ჩაკეტილი.

ნაშრომის თემას პოეტის თარგმანები წარმოადგენს და ბუნებრივია, ყველაზე მეტი ყურადღება ეთმობა პუშკინის ლირიკის იაშვილისეულ მშვენიერ თარგმანებს. ყველაფრიდან ჩანს, თუ რამდენად ძვირფასი და ახლოობელი იყო რატი ნინუას შინაგანი წყობისათვის პუშკინის „მზიური გენია“ (იგი თავადაც თარგმნიდა პუშკინსა და ესენის). პაოლი იაშვილის გამარჯვებად თვლის, რომ „პოეტი და მთარგმნელი ერთგვარად „შეზავდა“ მასში“ და ზუსტად შეარჩია „სტილური ეკვივალენტი ქართულ ენაზე“, რომელიც პუშკინის პოეტურ მეტყველებას მიუსადაგა.

რატი ნინუა სწორად მიიჩნევს, რომ პაოლი იაშვილმა განსაკუთრებული ოსტატობით თარგმნა „ზამთრის საღამო“ („Зимний вечер“) – „რუსული კლასიკური პოეზიის შედევრი“, ცალკეულ სტრიქონთა შედარების საფუძველზე ასკენის, რომ „მისეული თარგმანი მართლაც ახლოსაა დედანთან, როგორც რიტმულ-მუსიკალური, ისე აზრობრივი თვალსაზრისით“. აქვე გვაწვდის თავის ერთ მახვილგონიერულ დაკვირვებას: „პ. იაშვილმა დედნისეული „МЛЮИ“ (წყვიადი) შეცვალა „გლოვით“ (ალბათ ეს ცვლილება სიტყვათა ბუნებრივმა მსგავსებამ უკარნახა). სიტყვა „წყვიადი“ სალექსო სტრიქონის ზომამი არ აჯდებოდა“, „გლოვამ“ კი ავტორის აზრს არაფერი ავნო. შეცვალა მხოლოდ ნიუანსი, განწყობილება კი უცვლელად დარჩა, შენარჩუნდა“.

რატი ნინუა საფუძვლიანად და მიუკერძოებლად განიხილავს მეორე ბრწყინვალე ლექსის „Зимняя дорога“-ს თარგმანს და ოსტატურად გამართული სტრიქონების გვერდით ე.წ. „ჩავარდნივც“ მოაქვს, ღირსებას საიმოვნებით წარმოაჩენს, მაგრამ ნაკლოვანებასაც არ ჩქმალავს.

ასევე გულმოდგინედ არის გარჩეულ-შედარებული პუშკინის სხვა საუკეთესო ლექსები („Пророк“, „Мечтателю“ და სხვ.), რის შემდეგაც მკვლევარი ზოგად შთაბეჭდილებას გვიზიარებს:

„ენა, რომელიც აირჩია პ. იაშვილმა პუშკინის ლექსების თარგმნისას, ზუსტად შეესაბამება პუშკინისეულ სტილსა და ხელწერას. იგი არც ზედმეტად მაღალფარდოვანია, არც მეტისმეტად „გახალხურებული“, ვულგარული. მთარგმნელმა დაიცვა, რუსულსავე გამოთქმას რომ დავესესხით, „ოქროს შუალედი“ ამ ორ უკიდურესობას შორის, რაც ზედმიწევნით ეთხზევა თავად ალექსანდრე პუშკინის ენობრივ პოზიციას“.

როგორც მოსალოდნელი იყო, მაღალ პროფესიულ დონეზეა განხილული პაოლი იაშვილის მიერ სხვა უცხოელ პოეტთა (არტურ რემბო, ბოდლერი, უაილი) ქმნილებების თარგმანები, მოხდენილადაა შეფასებული თითოეული მათგანი. დააკვირდით, რა მარჯვედ, ნათლად გამოხატავს წინამდებარე ნაშრომის ავტორი თავის პოზიციას: „...კარგი თარგმანი ისაა, რომელშიც არ ჩანს მთარგმნელის პიროვნება, მთარგმნელის სული. როცა მთარგმნელი „გამკვირვალე მინად“ გადაიქცევა, ჩვენ უშუალოდ ვხედავთ ლექსის ავტორს და ვგრძნობთ მის გულისცემას: სწორედ ასეთ შემთხვევაში გამოდის ხოლმე კარგი





თარგმანი“.

პაილო იაშვილის მთარგმნელობით ოსტატობას შესაშური სიზუსტით როცა აფასებს და უზადო გემოვნებას ავლენს, რატი ნინუას გაცნობიერებული აქვს, რა ძნელად გადასალახავ სიმწელებთან არის დაკავშირებული პოეზიის ერთი ენიდან მეორეზე გადატანა, მუდამ ითვალისწინებს მხატვრული თარგმანის ყველაზე გამართლებულ და გამოსადეგ პრინციპებს.

უთუოდ თავისთავადი ღირებულება აქვს, სტუდენტური ვალის მოსახდელოდ არ გახლავთ დაწერილი რატი ნინუას საკურსო შრომა „შოთა ნიშნიანიძის პატრიოტული ლირიკა“, რომელშიც პოეზიის ცოდნის გარდა, მრავალთავგან გამორჩეული შემოქმედებისადმი უადრესად კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ჩანს. აქ ხაზგასმულად, თანაც საკმაოდ ბევრი არის ნათქვამი პოეტის ნიჭზე, ოსტატობაზე, მაგრამ როგორც რატი ნინუას სწევია, იგი არც ხარვეზებზე ხუჭავს თვალს.

მნიშვნელოვან დაკვირვებად მიგვაჩნია, რომ პარალელა გატარებული გიორგი ლეონიძისთან, რაც პოეტურ სახეთა სისტემის ნათესაობაში გამოიხატება. რატი ნინუა ზუსტ სურათს წარმოგიდგინებს: „გიორგი ლეონიძის პოეზიას ახასიათებს სისხლსავსე მეტაფორები, „მსუყვე“ ვიზუალური ხატები და სახეები, ერთგვარი წარმართულ-დიონისური ტვიფრით აღბუჭილნი. ისინი უმთავრესად დაკავშირებულნი არიან „მზის“ ხატთან, ვენახის კულტთან, ღვინისა და ღვინის კულტთან...“. იქვე ნათქვამია, რომ შოთა ნიშნიანიძემ ეს თვისებები „თავის მწერლური ხელწერის ერთ-ერთ მახასიათებლად აქცია“.

ცალკეა გამოყოფილი ის ლექსები („რომი“, „ქართული ბაზარი“, „...მცხეთის ქალაქს მირონი დულს“, „თემურ-ლენგი“, „მონღოლები“, „ვეფხვი“, „თევზდორე“, „ცოტნე დადიანი“, „ციხე-ტაძართა საგალობელი“, „ვაზის სიმფონია“ და მისთანანი), რომლებიც, მთლიანობაში, შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებით პორტრეტს ქმნიან.

ნაშრომში საგანგებოდ არის დასახელებული პოეტის ძალზე მნიშვნელოვანი კრებული „უპირველეს ყოვლისა“ და საფუძვლიანად არის განხილული იქ დაბეჭდილი საუკეთესო ლექსთაგანი – „მე ვარ მისანი ხარი წიქარა“, რატი ნინუას შოთა ნიშნიანიძის თავისებურ ავტოპორტრეტად რომ ესახება. ხალხური ზღაპრიდან ნასესხებ სახეს პოეტმა ახალი სული შთაბერა, გაამდიდრა და გამარავალფეროვნა. ყველაზე მეტად ეს ლექსი აძლევდა მკვლევარს საბაბს, ეთქვა: „...პოეტი ერთგვარ სიახლოვეს ამჟღავნებს ძველ ქართულ წარმართულ ტოტემებთან და სიმბოლოებთან... მის ლექსებში ნაკლებადაა წარმოდგენილი ქრისტიანული კლასიკურ-ქართული ხატ-სიმბოლოები და უზვად ვგვხვდები პრექრისტაინული, წარმართულ-დიონისური კულტები და სახეები“. კეთილი და გამრჯე ხარის ვედრებაში თვით პოეტის ხმა გვესმის. რატი ნინუა ზუსტად მიუთითებს: „...პოეტს მოსწონს ხარი არა უპირველეს მისი სიძლიერისა, არამედ მისი ერთგულების გამო...“. ამ აზრს მოხმობილი ციტატა საესებიო ადასტურებს:

„შენი უღელი მემჩაბოს აგრემც,
 ქედზე რომ მადგას განაჩენივით.
 არ მომიდერო, გეთაყვა, სახრე,
 სიყვარულისთვის ვარ გაჩენილი“.



ჭეშმარიტია დასკვნაც, ამ ლექსზე დაკვირვებიდან ბუნებრივად რომ გამოძინარეობს: „ცხადია, წიქარას სახეში თავისთავს მოიაზრებს ავტორი. შოთა ნიშნიანის მსგავს პოეტთა მისია ერთგული ხარის მისიაა. ასე წარმოუდგენია პოეტს საკუთარი თავი (და ზოგადად ქართველი პოეტი) მამულის სამსახურის უღელქვეშ“.

ასევე გულმოდგინედ არის გარჩეული სხვა უძლიერესი პატრიოტული ლექსი „თევზორეც“, სამშობლოსთვის მსხვერპლად შეწირულ ლეგენდარულ მღვდელზე რომ დაიწერა. მასში საზომთა და რიტმთა თამამი, ნოვატორული მონაცვლეობა იქცევის ყურადღებას, რაც ნაწარმოებს ექსპრესიას მატებს. ლექსი უკიდურეს დრამატიზმს აღწევს, როცა პოეტი თავისებურად მოიხმობს რელიგიურ ხატ-სიმბოლოებს, მიმართავს სახარებისეულ აღუზიებს:

„შენ ხარ ვენახი აჩეხილი
მესიის სურვილი ამხდარი
ღვთის სახლი, სათნო სახლი – დამეხილი,
წაქცეული, დაქცეული საყდარი.
მამაო, გალობა ხარ შეწყვეტილი,
მამაო, სანთელი ხარ დამწვარი,
მამაო, ცეცხლი იყავ სვეკეთილი,
ახლა ხარ ნაცარი...“



ამ მოზრდილი ლექსის ზოგიერთი ადგილი, სრულიად სამართლიანად, რატი ნინუას ეწოთირება, რადგან პოეტს, ალაგ-ალაგ, მართლაც ღალატობს ზომიერების ესოდენ საჭირო გრძნობა. დასახელებულია კონკრეტული მაგალითები, რასაც მოსდევს საკმაოდ მკაცრი შეფასება: „აქ ჩანს ავტორის თვითმიზნური სწრაფვა მეტაფორულობისაკენ. სადაც ლექსი უბრალოდ, ყოველგვარი „გაფორმების“ გარეშე მიდინება, იქ ლირიული ეფექტი მაღალია, ხოლო მეტაფორათა ზედიზედ „მიყრა“ მკითხველის აღქმას ერთგვარად ამუხრუჭებს“.

საგულისხმოა, რომ მეოცე საუკუნის დიდი ესპანელი პოეტები (მანალო, ხიმენესი და სხვები) თავიანთ სახელოვან წინაპარს – გონგორას, მეტისმეტად ჭარბი მეტაფორულობის, მწელად მისახვედრი ბუნდოვანების გამო, საყვედურობდნენ და სტილის მეტ გამჭვირვალობას, სისადავეს უჭერდნენ მხარს. ასეთი ტენდენცია ყოველმხრივ გამართლებულია.

ასევე მართალია რატი ნინუა, როცა შოთა ნიშნიანიძეს უწუნებს მისთვის შეუფერებელ რამდენიმე „მოდერნისტულ-ავანგარდისტული“ მანერით დაწერილ ლექსს. ერთგან უხერხულობის ნიმუშად მოაქვს ხახულის ტამარზე დაწერილი ლექსის ნაწყვეტი, რომელიც არასასურველ, საჩოთირო შთაბეჭდილებას ახდენს:

„ტამარო, შორს ხარ დროსთან ჭიდილში,
დამარცხებისგან, ფრესგან...
ნამღვილად დიდი გამარჯვება
ხახულის ფრესკა“.

კიდევ არის მოტიანილი რამდენიმე, საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილი, შოთა ნიშნიანიძისთანა ოსტატისთვის შეუფერებელი „ყალბი ეგზალტაციითა



და პათეტიკით“ დაღდასმული სტრიქონი, მაგრამ ყოველივე ამას აქარწყლებს პიროვნულ კვილ სურვილთა გამოხსატველი, ყველაფრის გამაწონასწორებელი დასკვნა:

„ეს მცირედი შენიშვნები, რომლებიც გამოვქვით, ხელს არ გვიშლის შ. ნიშნიანძის პოეზიით ზოგად აღტაცებაში. მკითხველის სიმპათიებს უფოდ იმსახურებს პოეტის მიერ განვლილი რთული შემოქმედებითი გზა. ზოგადად პოეტი ხომ სწორედ იმიტომაც რთული და არაერთგვაროვანი, რომ მრავალ ასპექტში ცდის საკუთარ კალამს, საკუთარ შესაძლებლობებს... ქართველი მკითხველისთვის კი შ. ნიშნიანძე უწინარესად მაშულის მხიობტედ და მის ერთ-ერთ მეციხოვნედ რჩება და დარჩება მომავალშიც“.

ეს გამოკვლევა უფოდ საუკეთესოსათვისაა, რაც აქამდე შოთა ნიშნიანძის ღონიერ, ფერსავსე პოეზიაზე დაწერილა.

რატი ნინუა რომ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ღრმა, ზუსტი ანალიზის უნარით იყო დაჯილდოებული, ეს ჩანს მისი მცირე საკურსო შრომებიდანაც – „ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ ძირითადი პრობლემები ფსიქოლოგიური კვლევის შუქზე“.

აქ ამომწურავად არის დახასიათებული არამარტო საკუთარ თავთან დამარცხებული მთავარი გმირის უმძაფრესი განცდები, არამედ ამ ტრაგედიის გამოშვები მიზეზები, მრავალი კუთხით არის გარჩეული პოემა, რამაც მკვლევარს უფლება მისცა დაესკვნა:

„მარტო „განდეგილი“ რომ დაეწერა ილიას, იგი უფოდ შეირაცხებოდა დიდ ქართველ მწერალთა შორის ერთ-ერთად, რადგან „განდეგილი“ არის მშენებელი ქართული კლასიკური ლიტერატურისა, მას არ ამძიმებს რომანტიკული შტამები და კლიშეები, ესთეტიზმის და დეკადენტობის ფერუშარილი“, იგი რეალისტური ტილოა თავიდან ბოლომდე და ეს რეალიზმი შეეფერებოდა ილიას ხასიათს, მის პერსონოლოგიურ მონაცემებს.

უფოდ გამართლებულია, რომ კრებულში შეტანილია რატი ნინუას ბავშვობისდროინდელი (იგი ექვსი წლიდან წერდა) ნაწერები. უმთავრესად, სათვგვადსავლო ხასიათისა. ნამდვილად გასაკვირია, როგორ შეძლო თერთმეტი წლის ყმაწვილმა ისე ნათლად, დახვეწილად ეწერა, რომ ერთი ბუნდოვანი, გაუმართავი წინადადებაც არსად გვხვდება. ჭარბად იგრძნობა თანდაყოლილი იუმორის გრძნობა და ხშირია უცნაური ხილვები, რაც მის სრულიად განსხვავებულ ბუნებაზე მეტყველებს.

განსაკუთრებულად მოხიბლა რატი ნინუას პოეტურმა, ფერადოვანმა დღიურებმა, რომელთაც იგი ათი წლის ასაკში წერდა (ერთ-ერთში ასხენებს მასავით ნაადრევად დაღუპულ, ასევე დიდი მოძავლის მქონე ჭაბუკ ხელოვანს – დათო კრაწაშვილს) და ამდენ საფიქრალს აღძრავს.

ბიჭუნა ოცნებით, უსაზღვრო ფანტაზიით წარმოიდგენს იმ დღეს, როდესაც დღის სინათლეზე პირველად გაახილა თვალები. უნახოთ, რაოდენი ხალასი ნიჭი და თვითორიონია ამ ჯერ კიდევ მცირეწლოვანი არსების უცნაურ ნაზრევში:

„ეს მოხდა 1977 წელს, 27 თებერვალს.

„ეს მოხდა“... ისე ვთქვი, თითქოს ჩემი დაბადებით რაიმე განსაკუთრებული მომხდარიყო. დიდი არაფერი – უსასრულოდ გადაჭიმულ ოკეანეში ერთი წვეთი ჩავარდა ისე, რომ თვით ოკეანეს სრულიად არ უგრძენია არაფერი, წარბი შეუტოკდა მხოლოდ იმ ტალღას, რომელზედაც დაეცა ეს წვეთი...

რასაკვირველია, ის დღე და მომდევნო დღეები, კვირები არ მახსოვს, ანდა



როგორ უნდა მასსოვდეს, ჩემს მესსიერებას ნისლივით შემორჩენია ბუნდოვანი სურათები ბავშვობისა („ბავშვობაში“ ვგულისხმობ 3-4 წლის ასაკს). უფრო ნათლად ჩამჩენია გონებაში კოჯორი, სადაც ხუთიოდე წლისა ვისვენებდი დედ-მამასთან ერთად, დანგრეული ავტობუსი, შორიდან უშწუო ჩონჩხად რომ მოჩანდა გზისპირად მიედებოდა. მასსოვს მანვლისიც, სურნელოვანი, მაღალი ტყე, მინდორზე გატარებული ბედნიერი წუთები...“

გაოცებას იწყებს იმავე ათი წლის ასაკში როგორ შეძლო ასე ფიროსმანი-სეული სიმსუყით გადმოეცა თბილისის ისტორიული უბნის გაუხუნარი მშენიერება. არც კი ვჯერა, რომ ეს მომხილავი სტრიქონები 1987 წლის 4 ოქტომბერს არის დაწერილი; რატი თანატოლებთან ერთად, თბილისქალაქობის ზეიმს ელოდება. პაერში შემოდგომის დამათრობელი ბანვი ტრიალებს:

„შემოდგომა ძველი თბილისის მიდამოებს უხდება. აღმართებზე მალე ამარიშორდებიან ყვითელი და წითელი ფერები, ჩვენს ეზოს ორი ძირი ვაზი ამშვენებს; მათი ძველი ფოთლები დაბერებული დედაკაცებივით გამოიყურებიან, ყვითლდებიან, უფერულდებიან და ბერდებიან. მტკენები დამსწვილდნენ, ჩამრგვალდნენ და ახლა საწახელისა და რთველის დანახვა ისეთი სიხარულია, როგორც ბავშვებისთვის თბილისქალაქობა, რომლის დადგომასაც აღარაფერი უკლია...“

მრავალფეროვან განყოფილებაში „მოგონებები“ არაერთ საყურადღებო მახალას ვხვდებით. რატი ნინუას დასტირის თანამედროვე ქართული მწერლობის პატრიარქი, ღვთიური მადლითა და ნიჭით მოხილი პიროვნება ჭაბუა ამირჯიბი, ვისაც ერთი უთქმელი ტანჯვა არგუნა აფხაზეთში მისი ვარსკვლავივით პირშმოს, დაქირავებული სნაიპერის ხელით მოკლული ირაკლი ამირჯიბის დალუპვამ. უხუცესი მწერალი, ცოცხალი კლასიკოსი, წერს:

„რატი ნინუას ლექსებმა ცრემლი მომგვარა...
უზომოდ მტკივნეულია აზრი, რომ ამ საოცარი პოეზიის შემქმელი საწუთროს ასე ადრე გამოზრდა... საწუთროს, თორემ მარადისობაში მას ადვილი უკვე დააკვიდრებული აქვს – რატი (ტატო) ნინუას შემოქმედება დიდი ქართული პოეზიის ერთი მშვენიერი ფურცელია...“


სხვა კაცი იყო. „საკუთარ აღში დაიფერვლა“ და ადრე წასულ გენიალურ ჭაბუკთა გუნდს შეუერთდა“.

წრფელი სინანულით არის აღსავსე ანა კალანდამის გამოხმაურება ნადრევად მოცლილი უნიჭიერესი შემოქმედის დანატოვარზე. ეს სტრიქონები სამიოდე წლით ადრე დაიწერა, ვიდრე ქართული პოეზიის დედოფლის ნემსტს უკვდავთა სავანე, მთაწმინდის ღვთივეკუთხეული მიწა, მიხარებდა. მომაქვს პირველი აბზაცი:

„დიდი, ინტერესით გავეცანი ახლგაზრდა პოეტის, რატი (ტატო) ნინუას, როგორც თავად ბრძანებს, „რუღუნებით ნახელავს“, – მის „გონებაში ნასათუთები და ნალოლიავეები ბალის“ დაჩრდილულ ბილიკებს გავეყვი და მოვიხილე ის „ზეციური ყვავილები“, რომელთა „თავისებური სურნელი დიდხანს გამყვება“.

უსახლვრო მწუხარებით, სითბოთი და სიყვარულითაა გაჯერებული მოზრდილი წერილი გურამ პეტრიაშვილისა, ვისაც თავად გარდაცვლილმა უმშვენიერესი ესეე უძღვნა. გურამ პეტრიაშვილი, სრულიად სამართლიანად, ასე აფასებს ამ საშინელ მოვლენას:





„ეს არ იყო ტრავმადია,
ეს იყო პროტესტი“.

გურამ პეტრიაშვილს სათუთად უგროვებია და ამოუწერია გამორჩეული სტრიქონები რატი ნინუას სხვადასხვა ლექსიდან. ბავშვობის წმინდა ათინათი ადგას ორ სტრიქონს, ალერსიან შემზინებას თანატოლ გოგონასთან, ვის გვერდით ყოფნაც მისთვის კეთილ მოგონებად ქცეულა. ჩვენს უხამს დროში ასე თითქმის აღარავინ წერს:

„გახსოვს მანგლისი, ლურჯ ტყეში სოკო,
იები ძაფით შენაკონები?“

უზუნაქის გასაგონად აღმოთქმულ ლოცვად გაისმის სიცოცხლის ყინით, მინდიასული გრძნეულებითა და სიბრძნით განათებული სიტყვები, ზვარაკად შეწერიული ჭაბუკის ბაგეებს რომ დასცდენია:

„არსთგამრიგე, დიდება შენდა,
ყველა ნიშანი შენზე მიმოწმებს,
აწ ბალახსა და ყვავილში გხედავ,
გხედავ ცვარში და შრიალში ხეთა,
კვლავაც გხედავდე – ამაღ ვილოცებ“.

კრებულის თანარედაქტორი, შესანიშნავი ფილოლოგი თამარ ინჯია საე-სებით სწორია, როცა სათაყვანებელ ჭაბუკს „სევდიან რაინდად“ და რომანტიკოსად თვლის, ვინაიდან სევდიანობაც და რომანტიკოსობაც რომელიმე კონკრეტული დროის კუთვნილება არ გახლავთ, მეტ-ნაკლებად ყველა დროს ახასიათებს.

ასევე მართალი, უტყვარია თამარ ინჯიას შეგრძნება, როცა თავისი წინათქმით („სიბრძნე და სევდა თითქოს თანდაყოლილია“), ერთგან თორმეტობიდე წლის რატი ნინუას რამდენიმე სტრიქონი შოაქვს:

„გაწვიმდა სევდა დაღლილ სულში წვიმის წვეთებად,
წვიმის სიცივე ჩემს ლექსებსაც სევდად ეღება...
და იკაწრება სტრიქონებით სამარის ლოდი“.

რატი ნინუას წმინდა და ალალი ლექსი, მისი ტრაგიკული ხვედრით გულ-დამწვარი ჭირისუფლის უშუალოდ გაუთავისებია ჩემი სიყრმის მეგობარს, ჭაბუა ამირეჯიბის მუღლეს, საუკეთესო პოეტსა და ღვთისმოსაობით გამორჩეულ ადამიანს თამარ ჯავახიშვილს. მინდა მოზრდილი აბზაცი მოვიტანო მისი წერილიდან („ერთი მკითხველის სიტყვა“), რათა ზემოთ ნათქვამი ცხადი გახდეს:

„რატი ნინუა სულის მხატვარია, სულის მუსიკოსი და მესიტყვე... მთელი არსებით სამყაროს ნათელ საწყისთან იყო მიერთებული და ყოველწამიერად ასხივებდა ამ სინათლეს. ასეთი დაიბადა: თანდაყოლილი შინაგანი მუსიკით, შინაგანი ხილვებით, ამქვეყნად თითქოს ერთხელ უკვე ნამყოფის სიბრძნით. ამიტომაც ლაღი და უწვალბეელია მისი პირველივე ლექსები. მათ არ ატყვია მოს-



მნილისა თუ წაკითხულის – ლიტერატურული ინერციის კვალი. ყველაფერი თავისია. თავად გაზარდა თავისი თავი, როგორც პოეტმა, რატის ადრეულმა ლექსებმა გამახსენა ოდესღაც შემთხვევით ნანახი თავანკარა წყაროს სათავე – მიწის გულდიან ამოჩქროლილი, წინწყლებს რომ ისვრის ნაპერწკლები და პაწია ცისარტყვლებს აციმციმებს. ცისა და მიწის სილამაზე ერთდება მასში. ასეთია რატის ლექსიც, ღვთიური ჰაერის სურნელება ტრიალებს მის სტრიქონებში...

თამარ უფრადლებოდ არ დაუტოვებია ბარათაშვილივით „სულით ობოლი“ ჭბუკის წინასწარმეტყველური სტრიქონი („მე ავფინდები ცაში აისზე“), მაისის იმ მოულოდნელად დათალხულ დღეს ასე ზუსტად რომ ახდა.

მართლაც შემაკრთობელია ზღაპრული პეიზაჟებით დახუნძლული, მითოსური ხილვებით გაწყობილი მისტიკური ლექსი „მოჯადოებული ღამე“, რომელსაც მოუხიბლავს თამარ ჯავახიშვილი. შექსპირის „მაკბეტში“ დახატული კუდიანების საუფლო გაგახსენდება, ასეთ სურათს როცა წააწყდები: „ფრთა უცივდებათ – ღამურები ქსოვენ სიბნელეს, ჭვარტლიან ქოხის სარკმელიდან კანკალებს აღი...“. ამ განწყობილებას დასაბამს აძლევს პირველივე სტროფი, რომელსაც ხსენებული წერილის აღფრთოვანება გამოუწვევია:

„შედეგული მდუმარება დააწვთ ხეებს,
 ღურჯი ღამეა და გრძნეულნი ზარმავენ ფაფას.
 ახლა მახინჯი გველემაში მთვარეს ჩაყლაპავს,
 მთვარის სიცივე მუცელს ატკენს და გაახელებს...“

თამარ ჯავახიშვილისავე უტყუარ აღღოზე მეტყველებს მის მიერ ციტირებული ურიტო ლექსი, საქართველოსათვის თავშეწირული მამულიშვილების მოსაგონრად რომ არის დაწერილი, გვაღელვებს და შორეულად გვახსენებს იაკონური პოეზიის შედეგებს:

„ყოველ ახალ წელს
 ჩემს ნაძვის ხეზე,
 სათამაშოებს შორის
 ერთი ჰკიდია ცრემლი...“

ძალზე პოეტური და ამაღლებებელია ქართული ხალხური სიმღერების დაუცხრომელი ამაღარის – ანზორ ერქომაიშვილის ჩანახატი „ორი დიდი მგალობლის“, „საოდებელი“, რომელშიც იგი რატი ნინუას პოეზიას „პროლივით თავანკარა და ნაღველივით გულშიჩაშვდომ დიდ სიმღერად“ თვლის და მის ჰანგებს ჰამლეტ გონაშვილის გამოგონებელ ხმას ადარებს.

გაკვირვებლობს არ დაეთანხმო ბატონ ანზორს, როცა იგი ამბობს:

„რატი ნინუა ამქვეყნიური რომ არ იყო, თავიდანვე ეტყობოდა. იგი სულ სხვა განზომილებაში ცხოვრობდა, სხვა დროში, სხვანაირად აზროვნებდა და იღწვოდა. ამიტომ ვერ გაუძლო ამ ცოდევილ წუთისოფელს და წინაპართა სულებს შუერთდა ქვეყნის გადასარჩენად“.

როსტომ ჩხეიძის, ზინაია კვერენჩილაძის, ეფერ თათარაიძის, ამირან არაბულის, მყვალა გონაშვილის, რევაზ მიშველაძის, მერი გაბრიაძის, კობა არაბულის, თამაზ ტყემალაძის, გივი სიხარულიძის, გოჩა კუჭუხიძის, დათო





ტურაშვილის, რატი ამაღლობელის და სხვათა მოვონებები ნაირგვარი კუთხით წარმოაჩენენ განსვენებულის განუმეორებელ, ტრაგიკულ პიროვნებას, ფერსა და ლაზათს მატებენ მას.

უმურველი კაცის, ჩემი უფროსი მეგობრის, ფრიდონ ხალვაშის ნაღვლიანი სტრიქონებიდან შევიტყვე, რომ ნინუები ბათუმელები ყოფილან და მათი ოჯახის ბაიუმიდან წამოსვლის მერეც რატი თურმე მუდამ ესწრაფვოდა ამ ულამაზეს ქალაქში ჩასვლას.

ფრიდონი ალაღად, გულღიად წერს, როგორც საერთოდ სჩვევია:

„მის ლექსებში დიდი ფიქრება, მოულოდნელი ხილვები და მიგნებებია, თავისთავადობა...“

რატი ნინუას ნიჭის ნაშუქი სხვი, მჯერა, ქართულ კაზმულ სიტყვიერებას ოქროს სირმად ჩაეწნება...“

დიდებული და მართალი შეფასებაა მარადისობაში გადასული ჭაბუკისა.

* * *

მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა რატი ნინუას პირველ პოეტურ კრებულზე „აღუღლის იაღქნები“, რომელიც მეთერთმეტე კლასის მოსწავლემ, 17 წლისამ გამოსცა და რომლითაც იგი თავისი პოეზიის „დაჩრდილულ ბაღში“ თავაზიანად გვეპატიეება.

მართალია, აქ წარმოდგენილ ლექსებს, ალაგ-ალაგ, გამოცდილი ხელი აკლია (ეს დრო სულ მალე დადგებოდა), მაგრამ ყმაწვილის ფანტაზია იმდენად თავისებური და უსაზღვროა, შეუძლებელია მკითხველი გულგრილი დატოვოს.

ძალზე შთამბეჭდავი, თავისებურია ერთ-ერთი პირველი ლექსი „უდაბნო“, სადაც, „მთერალი ხომალდის“ დარად, ავტორი თვით უდაბნოს ალაპარაკებს:

„თხემი სიცხიანი შზეს გადავუდაფნო
 ჩემი უმხურვალეს ხორშაკის ხელებით,
 ბაგეებდამსკდარი ვიზრჩობი – უდაბნო,
 გადამშრალ ქვიშათა მტვრიანი ხელებით“.

ამ ლექსში მრავალი მძაფრი, ეგზოტიკური ხატია და თავიდან ბოლომდე ასეთი დინამიკურია, მაგრამ ცალკეული სტროფების ამოწერას აღარ შევუძლები.

სხვაგან („სიჩუმის ხმა“) განწყოხილება მშვიდი, მინორულია და ამას, ცხადია, თუმა, სათქმელი განაპირობებს, ერთგვარი ვედრების კილო:

„არ ამიძვრიოთ დაწმუნდილი იღუმალეება,
 მე აუძვრეველს ვუსმენ სიჩუმეს“.

მეტად საინტერესოა პოემად განზრახული მოზრდილი ნაწარმოები („სანთლები ლაყვარდში“), რომელიც ვარსკვლავებით მოჭდილი ცისკენ გვახედებს და კოსმიური სურათებითაა დახუნძლული. 12 წლის ავტორი აქ თავისუფალია რითმის არტახებისგან და სტრიქონები ნებიერად მიედინება. მოვიტან მხოლოდ პირველი ნაკვეთის ნაწილს, სადაც აშკარად ჩანს ნორჩი შემოქმედის უჩვეულო, თავისებური აზროვნება:



„ტატრობის სუსხმა დამითოვლა თბილი ფიქრები.
მაშინ ვუცქერდი გაშლილ სივრცეს, მკერდატკივებულს,
ქუნაში თოვლა ცის ცრემლები და ვარსკვლავები,
მტკიონდა ღამის აყვავება, სივრცის აჩრდილი
და მახარებდა ჩემი ფრთების რბილი სითუთრე.
უმთვარო ღამის ცივ კვიელში შემომათუნდა,
დიღამ სიჩუმეს დაუკაწრა ღაწვისთავები“.



თორმეტი წლის ასაკშივე დაუწერია თავიდან ბოლომდე დახვეწილი, მედიტაციური ხასიათისა და მინორული ელერადობის თავისუფალი ლექსი „აჩრდილები“, სადაც ფონი საუცხოოდაა შერჩეული. ავტორთან ერთად, ჩვენც თითქოს იღუმალების გარინდულ სამყაროში მივგაბიჯებთ. სურათი სურათს ენაცვლება და აზრის მდინარება არსად არ ბრკოლდება, ერთ კალაპოტშია მოქცეული:

„ქუჩაც ნაღვლიანია.
ნელი ნაბიჯით მივუყვები მას
და ვფიქრობ.
გამდნარ ასფალტზე
ნებიერად თვლემენ
გაფოთილილი ხეების,
მხიარული ადამიანების,
უნაპირო ღამპიონების
მწკრივთა ჩრდილები...
უხალისოდ ვაბიჯებ მათ და
თითქოს ვერც ვგრძნობ,
დანაშაულს რომ ჩავდივარ...
იქნებ ამ უხმო,
ცივ ჩრდილებსაც აქვთ
საკუთარი სული და ფიქრი“.

ასეთსავე განცდას ბადებს მცირე უსათაურო, რომელშიც მინავლული შემოდგომის დაუწიწყარი სურათია დახატული. ეს სტრიქონებიც არ ჰგავს ბავშვის დაწერილს, მაგრამ სხვა გზა არაა, ფაქტია და უნდა ვირწმუნოთ. აქ არ არის ძალად ორიგინალობა, ეს ხილვები ბიჭუნას თავისით ეცხადებოდა. მათი გონებით წვდომა, ახსნა შეუძლებელია:

„გარდაიცვალნენ შემოდგომის ცივი ხელები.
მკვდარი ნოემბრის მტკრიან სულში აყვავდა მთვარე.
ფოთლები ქრიან და ტბორავენ ტბას ვახელებით.
წვეს შემოდგომა... და არავინ უხუჭვს თვალებს“.

უცნაური ყმაწვილის სულიერ სიმდიდრესა და სიფაქიზეს მოწმობს ორსტროფიანი მშვენიერი ლექსი „წარწერა წიგნზე „გრაფი მონტე-კრისტო“. თითო-ორილა დეტალით („ხელთათმანები... ბულვარი... ეტლი“) აცოცხლებს დიუმას ცნობილი სათავგადასავლო რომანის პასაჟებს და სასურველ განწყობი-



ლებას ქმნის. რომანტიკული ბუნების ბაღლი პოეტი ცხადლივ ხედავს თოვლის ბურუსში გახვეულ მსოფლიოს ულამაზეს ქალაქს:

„იყო შეკროთმა და გაფიქრება,
განცდა – ლტოლვაზე უანკარესი.
ცას თოვლი წვაგდა თეთრი თითებით
და ნისლის მტკვერში თვლემდა პარიზი“.

შეუძლებელია, ასეთი პიროვნების გატაცებით საკითხავი არ ყოფილიყო სერვანტესის უკვდავი რომანი და სწორედ ამ წიგნის გაუნელებელმა სიყვარულმა დააწერინა მოზრდილი ლექსი „ღონ კიხოტი“ ჩემს მაგიდაზე“. სინანულით და თანაგრძნობით არის აღსავსე ხსენებული ლექსის სტრიქონები, უსამართლობის დასათრგუნავედ ამხედრებულ და ბევრჯერ იმედგაცრუებულ „მწუხარე სახის რაინდს“ რომ ეძღვნება:

„მან ოცნებები ვერ აიცხადა
და სიკვდილამდე დარჩა მწუხარედ“.

ჩვენ თვალწინ იშლება შორეული ესპანეთის ულამაზესი პეიზაჟები, ყველასათვის მახლობელი ადგილები, სადაც ღონ კიხოტი თავის ერთგულ საჭურველმტკირთველთან ერთად დაეხეტებოდა. ორადორ სტრიქონში ცოცხლდება კეთილშობილი ლამანჩელი იდღვოს ყველაზე უფრო განმაურებული ფათურაკი:

„ის აქ იწვევდა მახინჯ ჯადოქრებს
და სიბოროტეს ქარის წისქვილთა“.

რატი ნინუამ უმწვავესად განიცადა აფხაზეთის დაკარგვა და იქ ჩახოცილი ქართველი ჭბუკების საშინელი ხვედრი. დაღუპულია ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსი 1993 წლით არის დათარიღებული, როცა გარეშე მტრის მოძალდებითა და შინაურთა მოღალატური საქციელით სოხუმი დაეცა. ჩვენი სამშობლოს ახლო წარსულში მომხდარი ეს უდიდესი ტრაგედია სულისშემძვრელი ძალით არის დანატული ერთ სტროფში:

„აფხაზეთის სისხლი მეწამული
ავი დაჟინებით წვიმდა...
წვიმდა და გვაგები ფერწასული
იწვინ უსახელო კლდის ქიმიან“.

ხალხური შაირით გამართული ძლიერი ლექსი ეძღვნება საქართველოს თავისუფლებისათვის ერთ-ერთ უპირველეს და უანგარო მებრძოლს, რაინდული სულის გაუტეხელ ვაჟკაცს, ძალზე საეჭვო ვითარებაში დაღუპულ მერაბ კობახიას (ეტეობა, მისი არსებობა და ავტორიტეტი ვილაცას ხელს უშლიდა და ბნელმა ძალებმა მას სიცოცხლე მოუსწრაფეს).

კრებულის ერთ-ერთი უძლიერესი ლექსია „მოჯადოებული ღამე“, რომელზედაც ადრე გამოეთქვი ჩემი აზრი და ამჯერად აღარაფერს დავამატებ.



და ბოლოს, უნდა ვახსენო ცოცხალი, ხალისიანი ლექსი „მეჯლისი ზამთარში“, რომელშიც სახალწლო განწყობილება, ახალგაზრდული აღტიკონება, კარნავალური სიჭრელე თავბრუდამხვევი რიტმით გადმოუცია თხუთმეტი წლის რატი ნინუას. აქ მრავლადაა ულამაზესი სურათები. ყველაფრის აღნუსხვა გაძნელებდა და, ამდენად, ერთ სტროფს უნდა დავეჯერდეთ, რათა ჯადოსნურად განაჩანახებულ დარბაზსა და სახეგაბრწყინებულ მოცეკვავეებს მოვავლოთ თვალი:

„წყვილები ბრუნვით უვლიან დარბაზს
და სინარარეს აფენენ სივრცეს,
ჭაღები აფრქვევს სადაფს და ალმასს
და მერე უკან იბრუნებს ისევ,
წყვილები ბრუნვით უვლიან დარბაზს“.

* * *

მძლავრი ტალანტის მქონე პიროვნებებს, თუკი დასჭირდათ, ხელეწიფებათ, მოღვაწეობის ერთი სფეროდან, მკვეთრად გამოეჩნულ მეორე სფეროში გადაინაცვლონ და იქაც თავიანთი კვალი დატოვონ. ასეთი მეტამორფოზები ხდება. მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა ეუნდერკინდმა, ლიტერატურაზე, პოეზიაზე სამუდამოდ გულაყრილმა და აფრიკაში წასულმა არტურ რემპომ (ცხრამეტი წლისამ, მან პირწმინდად მიატოვა ლექსების წერა), რომელიც იქ ნეგოციანტი, უაღრესად სანდო, პატიოსანი მეწარმე გახდა, ოგადენის პროვინციაზე დაწერა საქმიანი, რამდენადმე შშრალი ანგარიში (ძნელი დასაჯერებელია, რომ იგი „მოვალეი ხომადლის“ ავტორის ნახელაეია). პარიზის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ, რომელიც მსოფლიო სახელის სწავლულებისგან შედგებოდა, დიდად მოიწონა ეთნოგრაფიული მასალებით მდიდარი ეს ანგარიში და 1884 წელს თავის ბოლექტენში გამოაქვეყნა.

რატი ნინუას მწუხარე ბედმა შეუძლებელია არ გაგვახსენოს, აგრეთვე, გენიალური ვერმანელი ჭაბუკი, ვენის უნივერსიტეტის პროფესორი ოტტო ვაინინგერი, ვინაც თავისი ეპოქალური წიგნი „სქესი და ხასიათი“ ოცდასამი წლისამ დაწერა და თავიც მოიკლა. უსაზღვროდ იყო განათლებული; მუსიკის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის და სხვათა გარდა, გამოკეთილი ლიტერატურული ინტერესები ჰქონდა (საკმარისია ვაინინგერთ მისი უღრმესი დაკვირვებები იბსენის დრამატურგიაზე, კერძოდ „პერგოუნტზე“), ნიცშეს დარად, უყვარდა თავისი შეხედულებების აფორისტულად გამოთქმა.

წიგნზე ბავშვობიდანვე ფანატიკურად შეფერავებული რატი ნინუა თითხმეტი წლისა იყო, როცა ფრიდრიხ ნიცშეს ნაწერებმა და პიროვნებამ გაიტაცა (ნიცშეით დაინტერესება საკმაოდ ხშირია ნაკითხ ჭაბუკთა შორის). იმდენად შეძრა „ზარატუსტრას“ ავტორის ტრაგედია, თავისი ხანმოკლე ცხოვრების ექვსი წელი ფსიქიატრიის, მედიცინის ამ ურთულესი დარგის საფუძვლიან შესწავლას მონადომა, გაეცნო მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერთა ნაშრომებს, ყველაფერი ნიცშეს მიუყენა, გამოსარიცხი გამოირცხა, დაავადების უფრო სარწმუნო სიმპტომები ცალკე დაავჯეუფა და ორი საუკუნის წინ გარდაცვლილი დიდ ფილოსოფოსს თავისებური „დიაგნოზი“ დაუსვა, რაზედაც ქვემოთ ვიტყვი, რადგან მოკლედ მაინც უნდა დავახსიათო ხანგრძლივი შრომის ნაყოფი, რატი ნინუას მეტად მნიშვნელოვანი, ძალზე საყურადღებო გამო-





კვლევა „ფრიდრიხ ნიცშეს ტრაგედია“.

წიგნს წამძღვარებული აქვს რედაქტორის, გიორგი გორთამაშვილის მცირე წინასიტყვაობა, სადაც ლაპარაკია რატი ნინუას მიერ დახატული დიდი გერმანელი ფილოსოფოსის ფრიდრიხ ნიცშეს ფსიქოლოგიურ პორტრეტზე, ვის არსებაშიც ძალზე საცნაურია დუალიზმი, გაორება, კეთილი და ბოროტი საწყისების მძაფრი ჭიდილი („ნიცშე ამ ბრძოლაში ლუციფერის მხარეს აღმოჩნდა, ეს ტრაგედიაა მისთვის“, – წერს რედაქტორი), რასაც ბოლოს მისი ცნობიერების გახლეჩა მოჰყვა, შიზოფრენიით დაავადდა.

აქვე მინდა აღვნიშნო – მშვენიერია თამარ ჯავახიშვილის „ბოლოთქმა“, რომელშიც სამაგალითო სიბოთით და სიყვარულითაა დახასიათებული რატი ნინუას ნაშრომის ღირსებები, თავდადება, ნამდვილი ჭირისუფლობა ნაადრევად დაღუპული პოეტისა, ვინც გაითვისა, უშწავლესად განიცადა „ნიცშეს სულიდან დაძრული ცოდვა“, შეძლო „ტანჯული ფილოსოფოსის სულის ხსნა“.

ბოლოთქმა ასე მთავრდება:

„რატი ნინუამ მნიშვნელოვანი რამ გვითხრა. ყოველივე ამაზე დაფიქრება კი ჩვენი ვალია“. დაფიქრება ნამდვილად ღირს.

ცნობილია, რომ ნიცშეს ავადმყოფური მიდრეკილება ჰქონდა ტანჯვისადმი; მის არსებაში ღრმად იყო, აგრეთვე, ფესვგადგმული განდიდების მანია (მაგალითად, ერთ კერძო წერილში აღნიშნავდა – გერმანულად ყველაზე უკეთ ვწერ, ვიდრე ოდესმე რომელიმე გერმანელი წერდაო). ამ მოუღენას რატი ნინუა საგანგებო თავს უძღვნის და შეგვახსენებს: „ქრისტიანული მორალის მიხედვით პირველი ცოდვა ამპარტავენება“.

მარტოსულობა, სხეებისაგან განდგომა ნიცშეს ბავშვობიდანვე ახასიათებდა და უტყუარ ფაქტებს ემყარება რატი ნინუას განცხადება: „მისი ფსიქიკის რღვევა დაიწყო უფრო ადრე, ვიდრე ის ლუესით დაავადდებოდა“. ამდენად, ნიცშეს ფსიქიკური აშლილობის მიზეზი სიფილისი არ ყოფილა; ამ უმძიმესმა ვენერიულმა დაავადებამ, რომლის მკურნალობა მეცხრამეტე საუკუნეში არ ხერხდებოდა (მას კიბოსთან ათანაბრებდნენ), მხოლოდ გაააწვავა ფილოსოფოსის შერყეული ჯანმრთელობის მდგომარეობა. საბოლოოდ დადგენილი ფაქტია, რომ „ზარატუსტრას“ ავტორი 1889 წლის 3 იანვარს შეიშალა იტალიის ქალაქ ტურინში.

უკიდურესობამდე მიყვანილმა ინდივიდუალისტობამ ნიცშეს ისიც კი ათქმევინა – ავადმყოფობამ უდიდესი საქმე გამოიკეთა, ყველა დანარჩენებისაგან გამომარჩიაო. სიცოცხლის ბოლო წლებში პირდაპირ ჯვარს ეცვა. აუტანელი თავის ტკივილები აწამებდა. ყოფილა შემთხვევები, ღებინება სამ დღე-ღამეს გაგრძელებულა და სიკვდილს ნატრობდა.

ამპარტავენება, მედიდურობა სიცოცხლის არცერთ პერიოდში არ აკლდა: 1886 წლის 7 დეკემბერს ავუსტ სტრინდბერგს წერდა: მე საკმაოდ ღონიერი ვარ საიმისოდ, რომ კაცობრიობის ისტორია ორ ნაწილად გავხვდითიო. ესეც განუცხადებია – მე ყველაზე დიდი დიაბაზონის სული მაქვს იმათ შორის, ვისაც ევროპაში უცხოვრია და ამჟამად ცხოვრობსო. ღმერთი მკვდრად გამოაცხადა, ანტიქრისტიეს სახელი დაიკვიდრა. გასაკვირი არ იყო, რომ მისი სულიერი წყობისა და შეხედულებების პატრონი ყველაფრის გადაფასებას მოითხოვდა, ამაყობდა, ყოველგვარ შემთხვევაზე მძლავრ ვგაგვარ, პირველი იმპორალისტი ვარო.

ნიცშეს გენიალობაში ძნელად თუ შეიტანს ვინმე ეჭვს, მაგრამ მისი ცალ-



კული ხისტი გამონათქვამები აშკარად კატმოძოლის ნაზრევს ჰკავს. მისთვის მოუღებელი იდებებს მიმართ დაუნდობელი ნიცშე ადამიანებთან ურიეთობისას საკვირველად დელიკატური ყოფილა. იმოწმებენ ბარონ ფონ ზაილიციის შთაბეჭდილებას – მასზე უფრო არისტოკრატიული პიროვნება არც მინახავსო.

რატი ნინუას აზრით, ნიცშეს პიროვნებაში გამოკვეთილია ფსიქიკური გადახრის უძლიერესი სინდრომი – დეპერსონალიზაცია „ანუ „განპიროვნება“ (ინგლისურად – „dispersonalization“). შენი „მე“-ს დაკარგვის ან დეფორმირების განცდა“ (გვ. 60). „ფრიდრიხ ნიცშეს ტრავმის“ საკვანძო მომენტად მიიჩნია მესამე ნაწილის ის ადგილი, სადაც მკვლევარი წერს:

ნიცშეს უკანასკნელ ნაწარმოებში „დიონისეს დითირამბში“, რომელიც დაწერილია სულ ცოტა ხნით ადრე, ვიდრე იგი ფსიქოზით დაავადდებოდა, კლასიკურადაა აღწერილი დეპერსონალიზაციური განცდები. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ პერიოდში ნიცშეს ჰქონდა მძიმე სუბიექტური დეპერსონალიზაცია, კერძოდ, ყველა თავისი გამოვლინებითა და სრული სიმპტომატიკით (გვ. 61).

ცოტა ქვემოთ კი რატი ნინუა კიდევ უფრო მეტი დაბეჯითებით აცხადებს: „ნიცშეს უძველად სუბიექტურად განცდილი, ავადმყოფობად შეცნობილი დეპერსონალიზაცია ჰქონდა. სხვანაირად ის მას არ დატანჯავდა და შეაწუხებდა, ფილოსოფოსი კი დეპერსონალიზაციურ განცდებს კლასიკურად აღწერს თავის უკანასკნელ ნაშრომში“ (გვ. 62).

რატი ნინუას, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში საკმარისად ჩახედულს, უნდა ვუნდოთ, რომ „დიონისეს დითირამბში“ ამ კუთხით (ფსიქოპათოლოგიური ნიშნების მოძებნა) მანამდე არავინ დაკვირვებია და ეს თავი, როგორც მკვლევარს, აღმოჩენად მიიჩნია. მოუხსინით თვით მას:

„ნიცშე და დეპერსონალიზაცია, ვგონებ, ვერ არავის დაუკავშირებია ერთმანეთისათვის, მიუხედავად იმისა, რომ „დიონისეს დითირამბში“ სპეციალისტი აშკარად დაინახავს დეპერსონალიზაციურ სიმპტომატიკას. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ჩვენი ფსიქიატრები ნიცშეს არ კითხულობენ, ხოლო ფილოსოფოსები – ფსიქიატრიულ ლიტერატურას“.

უმთავრესი მაინც ის მგონია, რომ დიდი ცოდნისა და ანალიტიკური უნარის გარდა, წინამდებარე ნაშრომში ჩანს მისი ავტორის სამაგალითო ეთიკური სახე, იშვიათი ზნეობრივი სიწმინდე და უმაღლესი ჰუმანურობა. ამიტომაც ინსენებს იგი მილოშ ფორმანის გენიალურ ფილმს „ვიღაცამ გუგულის ბუღის გაღოფრინა“, რომელშიც სულით ავადმყოფთა საშინელი ტანჯვაა ნაჩვენები. აუღელვებლად ვერ წაიკითხავ, რასაც რატი ნინუა წერს: „ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სამყარო ორად არის გაყოფილი რკინის მათუფლხარით. აქეთ ვართ ისინი, ვინც თავს „ნორმალურებს“ უწოდებთ, „იქით“ კი ისინი, ვისაც გიუყვები დაგრაქვით. ჩვენ არ გვინდა ბარიერს იქით გადახვდეთ, რადგან იქ გამუდმებული ტანჯვაა, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ჩვენ ვიცით: რომც გადავიხედოთ, სასიკეთოს ვერაფერს დაინახავთ. ამიტომ გვირჩევნია ისევ ჩვენს პატარ-პატარა საამოვნებებით შევიქცეთ თავი“.

რატი ნინუას, ეტყობა, ხელთ ჩაუვარდა მისსავე პოზიციაზე მყოფი ცნობილი ფსიქიატრის ფერგიუსონის ფრიად მნიშვნელოვანი, ჰუმანური თვალთახედვით დაწერილი წიგნი „სიგიჟესთან ბრძოლა“, სულით ავადმყოფებთან, ექიმთა მხრიდან, ქრისტიანული სიყვარულით მიღვთმას რომ ქადაგებს და ნათელიყოფს – ამ საშინელი სნეულების დაძლევა მხოლოდ მედიკამენტებით არ შეიძლე-





ბა. ხსენებული წიგნი გასული საუკუნის სამოციან წლებში გამოიცა, ვვინც ქართულადაც თარგმნა, მიუღ მსოფლიოში დიდი გამოძახილი პოვა; მინდოდა ხელახლა წამკითხა, მაგრამ, სამწუხაროდ აღარ შემიძინა.

ქრისტიაწიულ პოზიციაზე მდგომი რატი ნინუა იმ აზრისაა, რომ დღემთმა არ აპატია ნიცშეს უდიდესი ცდომილება, სატანის მხარეს ყოფნა და სასჯელიც უმძიმესი არგუნა. მისი ხვედრი იყო „...ფსიქოზთა შორის ყველაზე აეთვისებანი – შიზოფრენია, ხოლო შიზოფრენიულ „კვანუში“ ყველაზე საშინელი – ბირთვული შიზოფრენია“ (ამ დროს ადამიანი, მისი სულის ბირთვი მილიანად ირღვევა).

„ფრიდრიხ ნიცშეს ტრაგედიის“ ავტორი იმედს გამოთქვამდა, რომ ოცდამეერთე საუკუნეში მეცნიერება დაადგენდა შიზოფრენიის გამოწვევებზე მიზეზებს. მწილი სათქმელია, რამდენად გამართლებდა ეს ვარაუდი.

ფიქვობით, უთოოდ სასურველია, რატი ნინუას ორიგინალურობით გამოჩენილი ნაშრომი ითარგმნოს რუსულ და ვეროპულ ენებზე. მას უნდა დაერთოს სპეციალისტთა საფუძვლიანი კომენტარები და მამინ ალბათ სრულად წარმოჩინდება „ფრიდრიხ ნიცშეს ტრაგედიის“ უდავო მეცნიერული ღირებულება, მისი ავტორის ნოვატორული კვლევის მასშტაბები.

* * *

მე აღრე არ მითქვამს, რომ მრავალმხრივ საყურადღებო კრებული „აფფრინდებთ მე და შუნ“ თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მოქანდაკის, ჩვენი საამყო ხელოვანისა და პიროვნების, მერაბ ბერძენიშვილის, უშუალო თანადგომითაა გამოცემული და მას „უანგარო დახმარებისათვის უღრმეს მადლობას“ უხდიან რატი ნინუას ჭირისუფლები და ახლობლები. სხვაგვარი დახმარება მერაბ ბერძენიშვილისაგან, ვისაც უამრავი სამაღლო საქმე გაუკეთებია, ვინ მოთვლის რამდენი გაჭირვებულისთვის გაუმართავს ხელი, წარმოუდგენელია.

ახლანან მერაბ ბერძენიშვილს დაბადების ოთხმოცი წელი შეუსრულდა და თავისი ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს თარიღს იგი მართლაც რომ ღირსეულად, არნახული, ტიტანური ძალისხმევით შეეგება (გარეგნობაც – არწივისებური გამოხევა, ვულკანის საბერველივით წამოზიდული მკერდი – ტიტანისა აქვს) – შექმნა საკუთარი შემოქმედების გვირგვინი, რუსთაველის ყველასაგან გამორჩეული ქანდაკება, რომელშიც მთელი სიღრმითა და სიდიადითა განსხეულებული მისი სათაყვანებელი პოეტისა და ბრძენკაცის სახე.

ამა წლის 10 ივნისს მოქანდაკის სამოთხისდარ ეზოში, ვეება სახელოსნოს წინ, მრავლად მოიყარეს თავი თბილისის თითქმის ყველა თაობის საუკეთესო წარმომადგენლებმა, რათა თავიანთი ხალხით ეთბილარის ახალი თვედვრი, რომელსაც საბურველი ჩამოაკალა გენიალურობის ნიშნით აღბეჭდილმა ნორჩმა მუსიკოსმა ირმა გიგანმა. ყველა იქ მყოფმა გამოხატა აღფრთოვანება ფიქრში წასული, ღლად შემართული და მუსნთქავი მონუმენტური ფიგურის ხილვისას. ფრიად ამალეკებული იყო გამოსვლა თავად მოქანდაკისა, ვინც მთელი ცხოვრების მანძილზე იღვწის რუსთაველის სახის გამოსაკვეთად (მრავლის მეტყველია ის ფაქტი, რომ სიჭაბუკის დროინდელი მისი ბრწყინვალე სადიპლომო ნამუშევარი – რუსთაველი – მოსკოვში, ქართველთა ყოფნის ისტორიულ ადგილს ამშვენებს „ბოლშაია გრუზინისკაიაზე“).

მერაბ ბერძენიშვილმა ამ დაუვიწყარ დღეს ამაყად განაცხადა – ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ დიდი რუსთაველის შთამომავლები ვართ

– მისი გენის ნათელი საუკუნეების განმავლობაში წინ გვიძღოდა და გვასწავლიდა ყველაზე დიდ სიბრძნეს – მოყვასისათვის თავდადებას. სხვაგვარად ცხოვრება წარმოუდგენელია; თვითონაც ასეთი იყო, ამაოდ როდი ათქმევინა თავისი პოემის უსაყვარლეს გმირს, სწორუპოვარ რაინდს, ავთანდილს: „შე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოსჭამს კიტრად, ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“.

იქ მყოფი მოგვჩვენა, რომ სწორედ ეს ღირსსახსოვარი სიტყვები ეწერა შთაგონებით ანთებული რუსთაველის დადაფნულ შუბლს. მაშინ ისიც ვიფიქრე, რომ ეგ ზომ ნაადრევად წასულ რატი ნინუას, ვისაც არ დასცალდა ბოლომდე გაეშალა თავისი იშვიათი ნიჭი, შეცნობილი ჰქონდა, ურყევად სწამდა – იგი რუსთაველის პირდაპირი მემკვიდრე იყო და ისე იცხოვრა, როგორც აკვფხისტყაოსნის“ შემქნელს ესახებოდა ყველა ღირსებით შემკული ზნესრული ადამიანი.

ამ სისხლით გაჟიებული, ცოდვებით დამძიმებულ მიწაზე მორარულს, თავად ცოდილს, როცა უძირო ლაყვარდი მოკრიადებულა და თაკარა, ცეცხლოვანი მზე ზენიტშია, ზოგჯერ, როცა მალლა ავიხედავ, ბედისწერისაგან გამეტებული ზღაპრული ჭბუკის ქათქათა, ცაში უღმობელი მნათობის მხურვალეებისაგან დამწვარი ფრთები მელანდება.

ცისკენ ჯიუტი ლტოლვა და ფრენაზე დაუოკებელი ოცნება მსხვერპლს ითხოვს.

25 ივნისი, 2009 წ.



შტრიხები პორტრეტისთვის

როსტომ თიგაშვილი

ლომი



იმ დღესაც დაახლოებით იმავე დროს გამოჩნდნენ, როგორც არაერთხელ. ნათია — მაგრა გარუჯული, რესპექტაბელური ქალბატონი დალი და ფანჯო — ოდნავ მოშვებული, მაგრამ შინაგანად, როგორც ყოველთვის, მოზღვავებული ენერგიით დამუხტული. მე იქვე, ნაპირზე, დაახლოებით, ასე, ერთი მეტრის სიღრმეზე ვყვინთავდი მარჯვედ და უალრესად კმაყოფილი, ფართოდ გახელილი თვალებით ვაკვირდებოდი სხვადასხვა ზომის ფერადოვან ქვებს, კენჭებს, ბურუსით მოცულ წყალქვეშა სამყაროში.

— რა არის, რომ მაგ წუმპეს ვერ მოსცილებიხარ, — დანახვისთანავე გამომეხმაურა გურამი, — სიამოვნება თუ გინდა, აი, იქამდე უნდა გახვიდე, სადაც კრიალა და გამჭვირვალე წყალია, — მიმანიშნა ხელით, სანამდეც თვალი წვდებოდა — ზღვის ბოლო ნიშნულამდე.

— რას ამბობ, გურამ, მაგდენი სად შემიძლია! აქ მირჩენენია-მეთქი.

— მაშ, თუ ეგერა, კარგი, ლომო, ჩვენ იქ სუფთა წყალი გველოდება, შენ კი აქ იჭყუმალავე შენს გემოზეო.

ნაპირზე ამოვდი და მოჯადოებულნი ვუყურებდი მათ მწყობრ, ლამაზ მკლავებს. სვენებ-სვენებით მიიწვენდნენ წინ. ხან ზურგზე წეებოდნენ და შემდეგ ისევ ცურვის მრავალფეროვანი ელემენტების დემონსტრირებას ახდენდნენ ოსტატურად. თანდათან შორდებოდნენ ნაპირს და ჯერ გაურკვეველ საგნებად, შემდეგ ლაქებად და ბოლოს ნერტილებად ქცეულნი, შთაინთქნენ წყლის უზარმაზარ მასაში.

სილაზე დატოვებულ მათ პირსახოცებთან დავეჯექი და იმაზე დავიციე ფიქრი, თუ სადამდე, რა სიშორეზე აპირებდნენ გაცურვას.

თავიდან მშვიდად ვიჯექი. ირგვლივ ერთი ჟრიაბული იდგა და იქით მქონდა გადატანილი ყურადღება. მაგრამ გავიდა ხანი, ხალხმა თანდათანობით იკლო და მეც მოუსვენრობამ ამიტანა: სად არიან აქამდე?! ისინი ხომ უკვე დიდი ხნის გამოსულები უნდა იყვნენ ზღვიდან?! მართალია, ზღვა წყნარი იყო, ირგვლივ იდილიური სიმშვიდე სუფევდა, მაგრამ ძალიან რომ დააგვიანეს? აფფორიაქდი, სული შემეხუთა, ათასი რამ წარმოვიფიქრე, ვაითუ უჭირთ რამე, შველა სჭირდებათ-მეთქი. მოთმინებადაკარგული წამოვხტი, რომ უსიამოვნო ფიქრებისაგან დამეღწია თავი და ანგარიშმოუცემლად ისევ ზღვაში შევიჭერი! ასე ვიდექი კარგა ხანს ჭიბამდე მომდგარ წყალში, რომ მოულოდნელად ზურგიდან ვილატე მთელი ძალით დამეტაკა ახარხარებული და მე ცხვირ-პირით აღმოვჩნდი ზღვის ფსკერზე სილაში ჩარჭობილი. ძლივ-ძლივობით წამოვდექი, თან ხველებსაგან ვიგულებოდი. ბუნდოვნად ვხედავდი ირგვლივ ვილაცებს. მერე მოშორებით ნაცნობ სილუეტს მოვკარი თვალი, რომელიც გამშაგებით მოაპობდა მოლოკივით მომცრო ტალღებს, თან მალიმალ ჩემკენ პირშემობრუნებული გულიანად იცინოდა.

ვიცანი ჩემი სიძე, ისიც გურამი — მისი წყალობით ვყვლურნე თურმე



ბლომად მლაშე წყალი!

— გურამ! — დაუძახე და აღელვებულმა ვუთხარი, რაც მაშფოთებდა.

— ნუ გეშინია! — გამოძახა შორიდან, — შენ მანდ იყავი, ფეხი არ მოიცვალო. ვიცი, სადაც არიან, გურამთან ისედაც საქმე მაქვს და მალე ერთად დავბრუნდებითო.

დრო გადიოდა. მოსალამოვდა. სანაპირო თითქმის მთლიანად დაცალა. თავი ეულად ვიგრძენი. ტანზე დამბურძღლა — ცალკე ნერვიულობისაგან და ცალკე სიგრილისაგან. იმათზე დარდი არ მეყოფოდა, ახლა ეს ჩემი სიძეც რომ დაემატა! აღარ ვიცოდი რა გზას დავდგომოდი. დარდასაც ვერავის გავუშხელებდი, რადგანაც ჩემ სიხალღოვან სულიერი არ ჭაჭანებდა, მაგრამ თუნდაც ყოფილიყო ვინმე, სულ ერთია, დარდას მაინც ვერავის გავუზიარებდი, რადგანაც, ჯერ ერთი, დამცინავ მზერას ხშირად ვანყებობდი ჩემი მკაცრად შემოზღუდული სანუნაო აკვატორიის გამო, მეორეც, უსათუოდ პანიკორად და მშიშარად გამომაცხადებდნენ. დაძაბულობისა და ნერვიულობისგან რეალობას მოვწყდი, ადგილს ვერ ვპოულობდი, გონებადაბინდულს უკვე რაღაცები — არარსებული საგნები — მელანდებოდა, მერე ყოველივე ქრებოდა და ისევ უკიდევანო წყლის მოჩვენებასთან ვრჩებოდი პირისპირ, როგორც უსუსურობისა და არარაობის განსახიერება. ფსიქოლოგიური წნეხისა და უარყოფითი ემოციებისგან ლამის გონება დავკარგე, თუმცა ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. აი, კიდევ რაღაც მოძრავი ლაქები შევინიშნე თვალსანიერზე და მორიგი იმედგაცრუებისთვის მოვემზადე, მაგრამ ისინი იზრდებოდნენ და ნაპირისკენ მოინევენ. ცოტა ხანიც და გულზე ოდნავ მომეშვა, — სამი მოცურავე ტაქტით, შესაშური სიმშვიდით მიახლოვდებოდა.



წყლიდან მხნედ და ენერგიულად ამოვიდნენ ფანჯო და მისი ცოლ-შვილი, დაღლის არავეითარი ნიშანწყალი არ ეტყობოდათ.

— ლომო, როგორ არის საქმე? — მკითხა გურამმა — ალბათ შეშფოთების ღრმა კვალი შემამჩნია სახეზე.

— კინალამ სული დამელია თქვენს ლოდინში, ასე ჯერ არ დაგიგვიანათა, სად იყავით, შემთხვევით ნებტუნს ხომ არ გადაეყარეთ-მეთქი, — ამოვხეთქე გულიდან საყვედური.

— შენ იქ უნდა ყოფილიყავი და გეგრძნო ნამდვილი სამოთხე. დალამდა თორემ წამოსვლა აღარ გვინდოდა, ნებტუნს კი მაღლობა ასეთი მასპინძლობისთვისო.

— გურამი, ჩემი სიძე, თქვენკენ წამოვიდა და ხომ არ გინახავთ-მეთქი.

— გურამისთვის თვალი არ მოგვიკრავს, მაგრამ შენ ცუდი არ იფიქრო, მალე გამოჩნდებაო.

მართლაც, სად იყო და სად არა, ზედ იმ დატანებაზე მეორე გურამიც გამოჩნდა, სანაპიროთი ჩვენკენ მომავალი.

— შენ რაღა დაგემართა, ასე უცბად როგორ დაიკარგე, ნეტა სად დაბოდილობ, აკი გურამის ნახვა გინდოდა! — მთელი წყენა ჩემს სიძეზე გადავიტანე.



— სულ დამავინყდა მეთქვა — გურამისა და მისი ცოლ-შვილის დაპატივება მინდოდა, მაგრამ ვერ მივაგენი, ეტყობა, ძალიან შორს იყვნენ ზღვაში გასულები. მე კი მეთევზეებისაგან, ნახე, როგორი კეფალი ვიყიდე!

— ეგ რა, დაპატივების გურული ფორმაა? აქ ვერ დაპატივებდი, ნორმალურ, წყნარ გარემოში?

— აბა რა გითხრა, უცნაური კაცი ხარ, იშვიათი ეგზემპლარი! შენ ვერ გაიგებ, რა განსხვავებაა შუა, კამკამა ზღვაში და ამ შენს საყვარელ ბაყაყების გუბეში კი კაცის დაპატივებას შორისო, — ჩაიცინა ჩემმა მოყვარემ.

— ძალიან სულელური არგუმენტი! ნეტა რას იგონებ, მგონი, სულ გააფრინე-მეთქი.

ცოტა ხნის შემდეგ ჩემი სიძის ბინაში ავედი, რა თქმა უნდა, გურამ ფანჯიკიძის ოჯახთან ერთად. იგი იმ პირობით წამოგვეყვა, რომ სასმელს არ გაეკარებოდა, რადგანაც დაეფიცა, ერთ თვეს არ დაეღვე და ახალ წიგნზე ვიმუშავებო. მართლაც, სიტყვისთვის არ გადაუხვევია, წვეთიც არ გაუსინჯავს. ისე, დანაწებთ კი თქვა, ასეთ პურ-მარილზე ნამდვილად ცოდვია, ღვინოზე უარის თქმაო.

საერთოდ, ფანჯოს გარემოცვაში მყოფნი ისეთ უცნაურ ფანჯოს, რომელიც მტკიცედ იცავდა მშრალ კანონს, პირველად ვხედავდით, და, უნდა გამოვტყდე, ჩვენთვის მაშინ ეს კატასტროფის ტოლფასი იყო, ვინაიდან მასთან ქეიფი ერთ რამედ ღირდა. მიუხედავად იმისა, რომ მე და ჩემი სიძე, მართალია, ეგოისტურად, ოდნავ მბუჭტავი იმედით, სანწყლად მიეჩერებოდით, იქნებ როგორმე შეეცვალა ესოდენ მკაცრი ვერდიქტი, რომელიც საკუთარ თავსა და ჩვენ გამოგვიტანა, იგი მაინც ბოლომდე შეუვალი აღმოჩნდა.

მომდევნო წელსაც, ზაფხულში, ოჯახით ქობულეთში ჩავედი ჩემს სიძესთან. გზაში ვილაცებისგან გავიგე, გურამ ფანჯიკიძე დაიღუპაო. ბოროტ ხუმრობად ჩავთვალე, რადგანაც ცნობილ ადამიანებზე მსგავსი ჭორები ბევრჯერ გაუვრცელებიათ. თან როგორი საქმე იყო ამგვარი რამის დაჯერება — ზღვაში დაიხრჩოო! როდის იყო ზღვის ლომი წყალში იხრჩობოდა! მე ხომ საკუთარ თავზე გამოვცადავ ნინა წელს მისი ოჯახური ლომური ოდისეა! და მაინც გული მეკუშმებოდა ტკივილისაგან ცუდის მოლოდინში! — ვაითუ სიმართლეა! და, მართლაც, ეს საშინელება დადასტურდა: ზღვაში არც ისე შორს შესულს თურმე გულმა უმტყუნა...

მაშინვე წაყვანათ თბილისში დიდი ჰუმანიტი, პოპულარული, გამორჩენილი მწერალი, საზოგადოების გული და სული, განუმეორებელი კოლორიტული პიროვნება, რომელსაც ისევე მისმა საყვარელმა ზღვამ დამართა ეს უბედურება!..

ქობულეთში უყვარდა დასვენება ოჯახთან ერთად. სულ იმას ამბობდა, აქ დასასვენებლად ჩამოვედი ცოლ-შვილთან ერთად, მაგრამ ვინ დაგასვენებსო. მართლაც, მის გვერდით ყოფნის მოთხოვნაზე ურიცხვ ადამიანს უჩნდებოდა!

გავიხსენოთ: ეს ის გურამ ფანჯიკიძეა, რომლისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ვაჭაკური, ღირსეული ადამიანების საზოგადოებაში ყოფნას. არასოდეს ახარისხებდა მათ განსაკუთრებული ცენზისა და თვალსაჩინო მდგომარეობის მიხედვით. ყველასთან

ერთნაირად უშუალო დამოკიდებულებას ამყარებდა, მედოლ-მეგარ-
მონე იქნებოდა, მუშა, მწერალი თუ დიდი მეცნიერი. პიროვნებაში
კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, ერთგულებას, ნიჭს აფასებდა.
საზოგადოების დაბალ-მაღალი ფენები, ხელოვნური ბარიერები და
შეზღუდვები მისი სულიერებისთვის მიუღებელი იყო. უბრალოება და
სისადავე ცხოვრების წესად ჰქონდა. სიმთვრალე რა იყო, არ იცოდა.
ლამენათევს შეეძლო პირდაპირ საწერ მაგიდას მისჯდომოდა და მოზ-
ღვაკეულები ენერგიით შესდგომოდა ახალ-ახალი იდეებისა და თემების
ხორცშესხმას. მისგან ცუდ სიტყვას ვერასოდეს გაიგებდი, მუდამ კო-
რექტული და საინტერესო მოსაუბრე იყო.

მოვლილი ჰქონდა მთელი მსოფლიო და ზღვა და ოკეანე არ დარ-
ჩენილა, რომლის ტალღებშიც მას არ შეეცურა. დედამიწის ნებისმიერ
ნერტილში, თუკი რაიმე მასშტაბური, ღირსშესანიშნავე შემთხვევა იყ-
რობდა საყოველთაო ყურადღებას, ფანჯო, როგორც წესი, მის ეპიცენ-
ტრში უნდა ყოფილიყო. ბევრი რამ აინტერესებდა, უკვე შეცნობილიც
და შეუცნობელიც. უფრო გლობალური მიმართულების თემებსა თუ
საკითხთა ჯგუფს ეცნობოდა საფუძვლიანად და ამომწურავად და დამ-
აჯერებლად გადმოსცემდა ნანახს, განცდილს, შეცნობილს მხოლოდ
მისთვის დამახასიათებელი ხელწერით. იყო საინტერესო მოვლენებისა
და ისტორიების თვითმხილველი და მკვლევარი, ძალგულოვანი ადამი-
ანი, რომელიც არაფრის ნინაშე არ დაიხევდა, ოღონდაც ჭეშმარიტეი-
სათვის მიეკვლია. თავისი ბუნებით, ხასიათით, ცხოვრებით ფანჯო ნამ-
დვილი ლომი იყო.

გავიდა რამდენიმე წელი და ქობულეთშივე, სრულიად უწყინარ და
იღუმალებით მოცულ ვითარებაში ტრაგიკულად დაიღუპა ჩემი სიძე —
გურამ მამინაშვილი, რომელმაც, როგორც ფანჯოს დიდმა დამფასე-
ბელმა და გულშემატკივარმა, თითქმის მისი ხვედრი გაიზიარა.

მეუღლესთან ერთად



 საყმანვილო ლიტერატურა



მწერალმა გიზო ზარნაძემ დაასრულა შემეცნებითი ხასიათის საყმანვილო წიგნი „მისმინე, ტატო!“. გთავაზობთ რამდენიმე თავს იქიდან.

გიზო ზარნაძე

წიგნიდან: „მისმინე, ტატო!“

ანი და ჰოე

ა ანუ ანი ჩვენი დედაუნის პირველი ასო-ბგერაა, ჰ ან ჰოე – ბოლო.

ფიგურალური გამოთქმაცაა ქართულში – „ანი და ჰოე“ ანუ ამა თუ იმ მოვლენის დასაწყისი და დასასრული.

მოდი, დღეს სიცოცხლესა და სიკვდილზე ვისაუბროთ ანუ, მოდი, ვი-აზროვნოთ, რადგან, როგორც ფილოსოფოსი ამბობს: „ვაზროვნებ, მაშას-ადამე, ვცოცხლობ!“

სიცოცხლის დასაწყისი (დაბადება) ანია, სიცოცხლის დასასრული (გარდაცვალება) – ჰოე.

ამქვეყნად უკვდავი არავინ და არაფერია, ადამიანი იქნება ის, ცხოველი თუ მცენარე.

ყოველი ცოცხალი არსება იბადება (ჩნდება), იზრდება, ვითარდება, თან-დათანობით ბერდება და კვდება.

ყველაფერზე ითქმის კვებაო, ადამიანის გარდა, რადგან ადამიანი მხოლოდ გარდაიცვლება!

„მოკვდა“ მეტიმეტად მარტივი და მწირი შინაარსის სიტყვაა. მოკვდა ანუ არსებობა შეწყვეტა! იყო და აღარ არის! მოისპო, გაქრა, გაცამტკვერა, მივიწყებას მიეცა...

„გარდაიცვალა“ გაცილებით ტყეადი და შინაარსიანი სიტყვაა, განგები-სეული; ხოლო განგება იგივე ღმერთია, ყოვლის შემქმნელი და ყველგან და ყველაფერში არსებული.

ცოტაც რომ წამოიზრდები და ქართველთა უპირველეს წიგნს, „ვეფხ-ისტყაოსანს“ გადაშლი, ნახავ, რომ დიდი შოთა რუსთაველი სწორედ ამ სიტყვებით იწყებს თავის უკვდავ ქმნილებას: „რომელმან შემქნა სამყარო ძალითა მით მღიერთა“–ო (ღმერთზე ლაპარაკობს).

ჩვენ, ქართველები, გარდაიცვალაო, მხოლოდ და მხოლოდ, ადამიანზე ვამბობთ, რადგან ცხოველი თუ მცენარე ვერ გარდაიცვლება, მხოლოდ მოკვდება!..

აქედანვე იცოდე: არაერთ სიტყვათა მსგავსად, „გარდაცვალება“ წმინდა წყლის ქართული სიტყვაა ანუ ისეთი სიტყვა, რომლის ზუსტი შესატყვისი

სხვათა ენებში არ მოიპოვება! (ასეთი სიტყვებია: „დედაბოძი“, „დედამიწა“ და სხვ.).

მაგალითად, ისეთი მრავალრიცხოვანი ერის ლექსიკაში (ლექსიკა არის სიტყვათა მარაგი), როგორც რუსი ერია, გარდაცვლილზე იტყვიან: „უმერ“, „სკანჩალსია“ ან, თუ მაინცდამაინც გულზე არ ეხატებათ, „პომერ“!.. რაც ქართულად, მხოლოდ და მხოლოდ, ასე თარგმნება – „მოკვდა“.

რუსისთვის სულ ერთია, ვინ გამოესალმება სიცოცხლეს: პრეზიდენტი თუ ხარაზი, გამოჩენილი პოეტი თუ ყასაბი, – მოკვდა! მორჩა და გათავდა! (დედიკოს რომ არ ჰკითხო, მე გეტყვი: ხარაზი წულა-ჩუსტების მკერავს ჰქვია, ყასაბი – საქონლის დამკვლელს ან ხორცის გამყიდველს).

ჰოდა, იმას ვამბობდი, მათი ჭკუით, პეტრე დიდიც მოკვდა, იოსებ სტალინიც, ალექსანდრ პუშკინიც და დალაქი სტიოპაც!..

(მამიკოს რომ პარიკმახერთან დაჰყავხარ, იმას „დალაქს“ ეძახდნენ ქართველები უწინ).

„უმერ ალექსანდრ სერგეევიჩ პუშკინ“. არც მეტი, არც ნაკლები! უმერ! ქართველი კაცი, ყოველ შემთხვევაში, ზრდილი და განათლებული ქართველი, მტერსა და მოღალატეზე თუ იტყვის, მოკვდაო, თორემ ვის მოუგა აზრად ან ენა ვის მოუტრიალდება, თქვას – დავით აღმაშენებელი მოკვდაო!..

პოეტური შემახილიც გვაქვს ქართველებს: „ამაღლი ჭერო, მოკვდი, მტერო!“

დაიხ, თუ მტერი და მოღალატეა, ის უნდა მოკვდეს! მტერი ვერ გარდაიცვლება! მისთვის ამ დიად სიტყვას ვერ გავიმეტებთ!..

„გარდაიცვალა“ ანუ კი არ მოკვდა, კი არ გაქრა, არამედ – გარდაიქმნა, გარდასხვაფერდა, გარდაისხა ანუ სახე იცვალა, შეუწყდა ამქვეყნიური არსებობა, მაგრამ მხოლოდ **სამშენიველს** გამოეთხოვა!

გახსოვდეს, ჩემო პატარა და უცნობო მეგობარო: ადამიანი შედგება სულისა და სხეულისაგან. თვითონ სული კიდევ ორ ნაწილად იყოფა: უკვდავ სულად და სამშენიველად, ანუ ამქვეყნიური სიცოცხლისთვის აუცილებელ სულად.

დასაწყისში „ფიგურალური გამოთქმა“ ვახსენე და ახლა ავიხსნი, რასაც ნიშნავს იგი.

ავიღოთ ასეთი წინადადება: „სოფელ სავანეში გაძიძავებულ აკაკის სწორედ რომ გაფურჩქნის ხანა ედგა“. ეს ნიშნავს იმას, რომ, როდესაც პატარა თავადიშვილი, აკაკი წერეთელი, შენზე კიდევ უფრო პატარა, მშობლებმა სავანელი გლეხის ოჯახს მიადიძავეს ანუ აღსაზრდელად მიიბარეს, მას გაფურჩქნის ხანა ედგა – ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარების ხანა.

ფიქრობ, აქ შენთვის ყველაფერი გასაგები უნდა იყოს, მაგრამ გაფურჩქნა ხომ ვარდის თვისებაა? („ვარდს გაფურჩქნა კოკორი...“). კი, აგრეთ, მაგრამ, როდესაც ადამიანზეც ასე იტყვიან, სწორედ ამას ჰქვია ხატოვანი ანუ ფიგურალური გამოთქმა.



ტატო



ასლა „პარმონიულიც“ უნდა განემარტო, სხვა რა გზაა! თითქოს, ერთსა და იმავეს უნდა ნიშნავდეს „ყოველმხრივი“ და „პარმონიული“, მაგრამ კარგად თუ ჩაკუფიქრდებით, განსხვავებას უსათუოდ აღმოვაჩნთ.

ყოველმხრივი განვითარებული ისეთ ადამიანზე ითქმის, რომელიც ფიზიკურადაც სრულყოფილია, ზნეობრივად, განათლებულიცაა, კულტურულიც, ეკლესიურიც და ა.შ. მაგრამ, ხომ შეიძლება, იგივე ადამიანი, განათლებული უფრო იყოს, ვიდრე – ეკლესიური? ან, უფრო კულტურული, ვიდრე – ზნეობრივი?

პარმონიულად განვითარებულ ადამიანში კი ყველა ეს ნიშან-თვისება: სპორტული აღნაგობა, განათლებულობა, კულტურულობა, ეკლესიურობა, ზნეობრიობა, პროპორციულ თანაფარდობაშია ერთმანეთთან ანუ ადამიანი თანაბრად განვითარებული.

აქ კიდევ ერთი უცხო სიტყვა გამოტყვრა – **პროპორციული!** (მამიკოს რომ არ ჰკითხო, მე ავიხსნი: **გამოტყვრა** ანუ მოულოდნელად, უეცრად გამოჩნდა).

რას ნიშნავს **პროპორციული**?

ვეცდები, მარტივად ავიხსნა ამ ლათინური სიტყვის მნიშვნელობა.

ადამიანის სხეულის ან მისი რომელიმე ორგანოს აგებულება ყოველ ადამიანში ერთნაირია. ნებისმიერ ნორმალურ ადამიანს, ვთქვათ, ხელზე ცერა თითი უფრო მსხვილი და მოკლე აქვს, ვიდრე – შუათითი. ასევე, წარმოუდგენელია, ადამიანს შუბლი უფრო დაბალი ჰქონდეს, ვიდრე – ნიკაბი! ან თვალები – ყურებზე უფრო ფართო და დიდი!

სწორედ ესაა პროპორციული თანაფარდობა.

ასოციაციური საუბარი

ისე, რომ იცოდე, ნამეტანი **ასოციაციური** საუბარი გამოგვდის.

რაო? „ასოციაციური საუბარი“ რა არისო?! ასლავე ავიხსნი.

ასოციაციურია საუბარი მაშინ, როდესაც რაიმე საგნის, ნივთის, მოვლენის გაგონებაზე, მისი მსგავსი ან საპირისპირო საგანი, ნივთი თუ მოვლენა გაგახსენდება და, ძალაუნებურად, მასზე გადაიტან ფიქრს, მასთან დაკავშირებულ ამბავს წამოიწყებ.

ვთქვათ, თანამოსაუბრემ ახსენა სიტყვა „**მჭადი**“. ადვილი შესაძლებელია და ბუნებრივიც იქნება, „**მჭადის**“ ხსენებაზე გონებაში ამოგიტივტივდეს მეორე სიტყვა – „**ყველი**“ („მომიტეზე ყველი, მოგიტეხავ მჭადს!“).

საზრიან ბავშვს „**ყველის**“ გაგონებაზეც მოაგონდება რაიმე სიტყვა, რომელიც მასთან, „**ყველთან**“, იქნება დაკავშირებული. ასეთი სიტყვაა, სხვათა შორის, „**ყვავი**“. ხომ გახსოვს, ყვავს რომ ყველი ჰქონდა პირში გაჩრილი და ეშმაკისფეხმა მელიამ ჰკითხა: ძვირფასო ყვავო, რატომ ბრძანდებით

უქმად ტოტზე ჩამოშვდარი, თქვენი ხმის პატრონი რატომ არ მღერიოთ?!
(და არა – მღერისხართო!).

რა თქმა უნდა, მელია კულივრძეას სურდა, ყვავს დაეყრანტალა და, როგორც კი პირს გააღებდა, ყველი გადმოუვარდებოდა და პირდაპირ მელი-ის ხახაში აღმოჩნდებოდა!

ახლა, მელიის ხსენებაზე, შესაძლებელია, „საქათმეც“ გაგახსენდეს – „საქათმეში შეპარულა მელა“ – და ასე შემდეგ და ასე დაუსრულებლად.

თუ გახსოვს, ზემოთ ვთქვი, ქართულ სასაუბრო ლექსიკაში მოიაზრება ისეთი სიტყვები, მხოლოდ ქართულ სინამდვილეში რომაა დაბადებული და არც ერთ უცხოურ ენაში მათი პარალელი არ შეინიშნება-მეთქი.

„პარალელი“ ბერძნული სიტყვაა და მათემატიკაში იგი ნიშნავს ისეთ ორ სწორ ხაზს, რომლებიც ერთმანეთს თავის დღეში არ გადააკვეთენ. („თავის დღეში“ ანუ არასოდეს!). პარალელური შეიძლება იყოს ორი, სხვადასხვა დროს მომხდარი მოვლენა, რომლებიც რაიმე ნიშნით ერთმანეთს ედრება. მაგალითად, ქრისტეშობის დღესასწაული ანუ შობა, შეიძლება, თავისი სიდი-ადით შევადაროთ ბრწყინვალე აღდგომას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!



ისევ სიცოცხლეზე

იქნებ არც ისე დროული იყოს შენი ასაკის ყმაწვილთან სიცოცხლის ხანმოკლეობაზე საუბარი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რაც უფრო ადრეულ ასაკში შეიგნობ სიკვდილის ვერაგულ ბუნებას, მის უღმობელობას, მით უფრო დააფასებ და გონივრულად გამოიყენებ ცხოვრებაში ყოველ დღეს, საათსა და წუთს!..

ჩვენმა ბრძენმა წინაპარმა იმთავითვე მშვენიერ პოეტურ ჩარჩოში მოაქცია ადამიანის ყველაზე დიდი საგანძურის, სიცოცხლის ხანმოკლეობის უაზრობაზე წუხილი; მან სიცოცხლეს, ამქვეყნიურ ცხოვრებას, „წუთი-სოფელი“ უწოდა და, დროდადრო, სვედიანად ღლინებდა კიდევაც: „წუთი-სოფელი რა არი? ავორებული ქვა არი, როგორც კი დაეიბადებო, იქვე სამარეც მზა არი!“ შენ ჯვარი გეწეროს და ღვთისმშობელი იყოს შენი მფარველი!..

კი, ჯერჯერობით, ნამდვილად ცოტას ცოცხლობს ამქვეყნად ადამიანი!.. „ჯერჯერობით“ რას ნიშნავსო?

სიტყვა „ჯერჯერობით“ იმის მაუწყებელია, რომ, დღესდღეობით თუ ასეა, ხვალ, შესაძლოა, სხვანაირად იყოსო!

მაგალითად, წარმოვიდგინოთ სრულიად ბუნებრივი დიალოგი ორ კეთილშობილურ ნაცნობს შორის:

- რას შერება შენი ბიჭი, დაოჯახდა?
- ჯერჯერობით, არა.

მე მგონი, თვითონაც მიხვდი, რომ, ადრე თუ გვიან, ის ბიჭი დაოჯახდება! მაშ, რა ყოფილა „დიალოგი“?



საუბარი ორ ან რამდენიმე ადამიანს შორის.

ასე რომ, როცა ვამბობთ, ადამიანი, ჯერჯერობით, ცოტას ცოცხლობს-თქო, ივარაუდება, რომ მისი სიცოცხლის გახანგრძლივება მომავალში შესაძლებელია!..

გაოგნებული სტუმარი

„გარდაცვალების“ არ იყოს, „დედამიწაც“ მეტად შინაარსიანი, ტყე-დი სიტყვაა და ვერც მას დაეძებნება ავრე იოლად სხვათა ენებში ზუსტი შესატყვისი.

არაერთ გამოჩენილ ქართველ პოეტთა გვერდით, ერთი გულანთებული და უქართველესი პოეტიც გვყავდა, ათიოდე წლის წინათ გარდაცვლილი, **ზაურ ბოლქვაძე**. დაადგეს ნათელი!..

ზაური ყველაფერს მომეტებული თრთოლვით აღიქვამდა, რაც კი მშობ-ლიურ ქვეყანას წარმოაჩენდა. საოცრად ორიგინალური პოეტური სახე შე-ქმნა მან ოთხტაეპიან ლექსში – „მთა“:

„მოიცებს მთანი დაჯანღებულნი
და მათი ცაში ღამის თევანი,
მთა არის მიწა აჯანყებული,
დედამიწაზე დაუტყვარი“.

(„ორიგინალური“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს თავისებურს, განსა-კუთრებულს. „ორთოლვა“ ქართული სიტყვაა და ძლიერ აღელვებას ნიშ-ნავს).

ერთხელ, კომუნისტების დროს, ჩვენს დედაქალაქში სტუმრად მყოფ გამოჩენილ რუს პოეტს, ბელა ახმადულინას ვუქე ეს პატარა ლექსი, სა-ხელდახელოდ ვუთარგმნე, უფრო სწორად, გავაცანი ბოლო ორი ტაეპის (ტაეპი სტრიქონს ნიშნავს) შინაარსი: „გარა – ეტო ვოსტაეჰაია ზემლია, ნე პომესტიეჰაია ნა ზემლე“.

გაოგნებული მომაჩერდა! მე რომ მეკონა, აღტაცებული დარჩებოდა და „ბრავოსაც“ შესძახებდა („ბრავო“ იტალიურად მოწონების შეძახილია), უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა: „ზემლია ნა ზემლე?“ დამერთო ჩემო, რა უაზ-რო ტაეტოლოგიააო! („ტაეტოლოგია“ ბერძნულად ნიშნავს ერთი და იმავე სიტყვის ხშირ, უმიზნო გამეორებას).

რატომ მოეჩვენა რუს პოეტს იგი (ზემლია ნა ზემლე) უაზრო გამეო-რებად?

იმტომ, რომ ქართულში „მიწა“ და „დედამიწა“, შინაარსობრივად, ძა-ლიან განსხვავებული სიტყვებია და არანაირად არ აღიქმება ტაეტოლო-გიად! ხოლო რუსულ ენაში „მიწასაც“ და „დედამიწასაც“ ერთი სიტყვა გამოხატავს – „ზემლია“...

არადა, ამას შენც ხვდები, „მიწასა“ და „დედამიწას“ შორის რომ ვეებერ-
თელა განსხვავებულა. (ვეებერთელა ანუ ძალიან დიდი, უზარმაზარი, უშველე-
ბელი).

მაგალითითვის ასეთი წინადადება ავილოთ: „სიმონმა ერთი მუჭა მიწა
აილო, ცხვირსახორცში შეახვია და უბეში შეინახა“. „მიწა“ და „დედამი-
წა“ რომ ერთი და იგივე ყოფილიყო, მაშინ ასეც ხომ შეგვეძლო ვეუქვა:
„სიმონმა ერთი მუჭა დედამიწა აილო, ცხვირსახორცში შეახვია და უბეში
შეინახა!...“

ხომ სასაცილოდ უღერს „ერთი მუჭა დედამიწა“?! ვიცი, ვაგვეცნებოდა.

ჩვენ ობოლი ერი ვართ

დიდი ილია ჭავჭავაძე ხომ გახსოვს, ერის მამად აღიარებული და წმინ-
დანად შერაცხული ილია მართალი! იგი ბრძანებდა: ყოველი ერი თავისი
ისტორიით სულდგმულობსო! ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება,
საკუთარ ისტორიას როცა ივიწყებსო.

რა ძალა გვადგია, დაევიწყოთ და აღარ გვახსოვდეს?! მით უმეტეს,
ისეთი გმირული და სახელოვანი ისტორია, როგორც ჩვენა გვაქვს!

თანამედროვე დიდი ქართველი მწერალი, ჭაბუა (შხეჭაბუკ) ამირეჯიბი
ამბობს, ჩვენ, ქართველები, ობოლი ერი ვართო!

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სისხლით მონათესავე ერები არ გვყავს, რომ
ერთადერთი ვართ მთელ დუნიაზე!

თუმცა, რამდენიმე ვერსია არსებობს, მაგრამ არც ერთი არაა სარწმუნო.
მაგალითად, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ნიკო მარი ამტკიცებდა,
რომ ჩვენ ანუ კავკასიელი იბერები და ესპანელი იბერები ერთი და იგივე
ხალხი ვართ. (ძველად საქართველოს „იბერია“ ერქვა).

თავის მოგზაურობის შთაბეჭდილებებში იგი წერს: როცა პარიზიდან
სამხრეთით გავემგზავრეთ, მოლეონს რომ გავცდით და სოფელ ტარდეცში
შევედით, სასწაულს შევესწართ: კავკასიაში აღმოვჩნდით, გურიაშიო!

არის სხვა მოსაზრებებიც.

ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე, მთელი ორიათას ხუთასი წლის წინათ
ამტკიცებდა, რომ ქართველები ევვიპტური წარმომავლობის ხალხიაო.

თუმცა, მრავალი მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად, ყველანი თანხმ-
დებიან, რომ ქართველები უხსოვარი დროიდან დღევანდელი მიწა-წყალის
პატრონები ვართ!

სულდგმულობს ანუ სული უდგას, არსებობს.

ერის დაცემა და გათახსირება ანუ როცა ერი ვეღარ უვლის საკუთარ
თავს და სახელი უტყდება სხვების თვალში.

მთელ დუნიაზე ანუ მთელ ქვეყანაზე.

ვერსია ანუ რაიმე ფაქტის, ამბის სხვადასხვანაირად გააზრებიდან ერთ-
ერთი.



ნიგნები

„არტანუჯი“ გთავაზობთ

2009-2010 სასწავლო წლის სახელმძღვანელოები



ჩვენი სამეოპოლსი მატინა	V	რ. მეტრეველი, ბ. კუდავა	4
ქართული ენა და ლიტერატურა	VII	თ. ბოლქვაძე, ბ. სარია	10*
ქართული ლიტერატურა	X	ბ. ნიფურია	11.5*
გეოგრაფია	X	ზ. ტატაძე, ზ. სეფერთელაძე, გ. მარგველანი, ლ. კვერენჩილაძე, ზ. ლაოშვილი	8.75*

*-ით აღნიშნულ ნიგნებზე მოქმედებს ფასდაკლების შემდეგი სისტემა:
 1 ეგზემპლარიდან - 10 ეგზემპლარამდე გაიყიდება მითითებული ფასით;
 10 ეგზე-დან - 50 ეგზე-მდე - 15%-იანი ფასდაკლებით (თითოეული დასახელება);
 50 ეგზე-დან ზევით - 20%-იანი ფასდაკლებით (თითოეული დასახელება).

სახელმძღვანელოების ღირებულება შემოიღიანთ შეიძინათ ჩვენს ანბარიშპაზე:
 შპს „გამომცემლობა „არტანუჯი“

ს/კ 204952015

ბანკი „რესპუბლიკა“
 კოდი: 220101757
 ანგ. № 3608011403

ს/ს „თი-ბი-სი ბანკი“
 კოდი: 202101830
 ანგ. № 20467085

ს ა ც ა ლ ო ფ ა ს ა დ

სახელმძღვანელოები იყიდება შემდეგ მისამართზე:
 ვაჭლის მოედანი, №2, მაღაზია „თბილისელები“.
 ცოტნე დადიანის ქ. №43, მაღაზია „პრიმვერა-ჯორჯია“.


ს ა ბ ი თ ე მ ო ვ ა შ რ ო ბ ა

თბილისი, ვახუშტი ბაგრატიონის № 77. ტელ.: 47-55-54
 საიუთაში ვაჭრობა მიმდინარეობს გეოლოგ უნაღლო ანბარიშპორებით
 (გაფარისპიშით).

„ინტელექტი“ გთავაზობთ

ახალი სახელმძღვანელოები. 2009-2010 სასწავლო წელი

ამთავაზიკა I ნაწილი	IV	გ. გოგიშვილი, თ. ვეფხვაძე, ი. მებონია, ლ. ქურჩიშვილი	6.75
ამთავაზიკა II ნაწილი	IV	გ. გოგიშვილი, თ. ვეფხვაძე, ი. მებონია, ლ. ქურჩიშვილი	6.75
რუსული ენა	IV	მ. ლორთქიფანიძე, ი. ჩხეიძე, მ. შენგელია, თ. ჩიმაკაძე.	10
ინგლისური ენა	IV	თ. ჯეჯელაშვილი, მ. მგელაძე	10+3
პარმაწული ენა	IV	ლ. კობახიძე, ლ. მეტრეველი	8.75
მუსიკა	IV	მ. ჩიკვაძე	6.5
ამთავაზიკა	VII	გ. გოგიშვილი, თ. ვეფხვაძე, ი. მებონია, ლ. ქურჩიშვილი	12.5
რუსული ენა	VII	მ. ლორთქიფანიძე, ი. ჩხეიძე, თ. ჩიმაკაძე	8.75
პარმაწული ენა	VII	ლ. კობახიძე, ლ. მეტრეველი	7.5
პარმაწული ენა	VII	ლ. კობახიძე, ლ. მეტრეველი	6.25
მუსიკა	VII	მ. ჩიკვაძე	5.25
ამთავაზიკა	X	გ. გოგიშვილი, თ. ვეფხვაძე, ი. მებონია, ლ. ქურჩიშვილი	12.5
ფიზიკა	X	გ. გედეშიძე, ე. ლაზარაშვილი	7.5
ქიმიკა	X	მ. ვარდიანიშვილი, ს. ადამია	6.5
ბიოლოგია	X	ნ. ვეკუა, რ. გაფრინდაშვილი	6.5
მუსიკა	X	მ. ჩიკვაძე	5
რუსული ენა	X	მ. ლორთქიფანიძე, ი. ჩხეიძე, თ. ჩიმაკაძე	7.5



ჯამოაწინებულ წიგნებზე მოქმედებს ფასდაკლების შემდეგი სისტემა:
 1 ეჭემპლარიდან - 10 ეჭემპლარამდე გაიყიდება მითითებული ფასით;
 10 ეჭ-დან - 50 ეჭ-მდე - 15%-იანი ფასდაკლებით (თითოეული დასახელება);
 50 ეჭ-დან ზეით - 20%-იანი ფასდაკლებით (თითოეული დასახელება).

სახელმძღვანელოების ღირებულება შემოიკლავთ შიბრით ჩვენს ანბარებზე:

შპს „გამომცემლობა „ინტელექტი“

ს/კ 202959101

ბანკი „რესპუბლიკა“	„საქართველოს ბანკი“
კოდი: 220101757	კოდი: 220101502
ანგ. № 3608011195	ანგ. № 400467260

ს ა ც ა ლ ო ფ ა ს ა დ

სახელმძღვანელოები იყიდება შემდეგ მისამართზე:

ვაჭლის მოედანი, №2, მალხია „თბილისელები“.

ცოტნე დადიანის ქ. №43, მალხია „პრიამევერა-ჯორჯია“.

ს ა ბ ი თ შ მ ო ვ ა შ რ ო ვ ა

თბილისი, ვახუშტი ბაგრატიონის №77. ტელ.: 47-55-54

საბითუმო ვაჭრობა მიმდინარეობს მხოლოდ უსაღლო ანბარებში
 (ბაზარიცხვით).

081/30

საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ ბაიდოშვილი
ბადრი ტალახაძე
მართა ნიკლაური
ალექსანდრე ვიქტორიძე



გაომცემლოა ინტელექტი

0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ

25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54

ფაქსი: 25-05-22, 91-22-83

www.intelekti.ge info@intelekti.ge

რედაქტორი: 8(99) 90-37-22

F 255
2009



 ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC
საქართველოს ეროვნული ბანკი